# HELLO!
GEORGIA

#003 • 4.00₾
ოქტომბერი • 2016

ISSUN 2449-2590



ქართული ღვინის
8000 წლიანი ტრადიცია

+250
საშემოდგომო ტრენდი

## ბრან
## ჯელინა

XXI საუკუნის ზღაპრული
სიყვარულის დასასრული

ექსკლუზივი

ანიტა&ოთო
ბედნიერი დღის
დეტალები





**ლიდერი ესპანეთში** დიზაინის, მშენებლობის, დეკორაციის მიმართულებით – **ახლა უკვე კავკასიაშია**

**grupolasrosasinternacional.com** **+995 577 122 208**






Grupo Las Rosas
INTERNACIONAL

# რედაქტორის წერილი

*მინდა მადლობა გადაგიხადოთ ყველა დადებითი შეფასებისთვის, რომელიც წინა ნომრისთვის არ დაიშურეთ. თქვენი აზრი, როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნე, ჩვენი რედაქციისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ძვირფასია.*

**ახლა კი გაგაცნობთ ახალი ნომრის მთავარ გმირებს,** მნიშვნელოვან აქცენტებს, და მოდისა თუ სილამაზის სიახლეებს. ოქტომბერში, ცხადია გვერდს ვერ ავუვლიდით უმნიშვნელოვანეს და უძველეს ქართულ ტრადიციას – რთველსა და ღვინოს.

**საუკეთესო ღვინის ბარები,** ყურძნის სასარგებლო თვისებებზე დაფუძნებული სპაპროცედურები, ღვინო, როგორც მოდური ინსპირაციის წყარო, და საქართველო, როგორც ამ ჯადოსნური სითხის ისტორიული სამშობლო. ოქტომბრის ნომრის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ქართულ ღვინოსა და რთველს მიეძღვნება.

ცხადია უყურადღებოდ არ დავტოვეთ თემა, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ მთელი მსოფლიო აალაპარაკა – **ანჯელინა ჯოლისა და ბრედ პიტის განქორწინება** ალბათ კიდევ დიდხანს იქნება ყველაზე აქტუალური თემა მსოფლიო მედიაში.

რაც შეეხება ქართველ ვარსკვლავებს: HELLO!-ს ამჯერად ცნობილმა  დიზაინერებმა – **თამუნა ინგოროყვამ** და **ლაკო ბუკიამ** უმასპინძლეს. ორი განსხვავებული ხედვის მქონე შემოქმედი ქალბატონის სამუშაო გარემოსა და პირად სივრცეს სწორედ ჩვენი ფურცლებიდან გაიცნობთ. მათთან ერთად ასევე შეხვდებით **ანიტა რაჭველიშვილს** – საოპერო შემსრულებლის ქორწილს ჩვენი გუნდიც დაესწრო და ამ უბედნიერესი დღის ექსკლუზიურ დეტალებსაც გაგაცნობთ.



**Lifestyle-ის რუბრიკაშიც ძირითადი აქცენტები სწორედ ღვინოსთან და შემოდგომასთანაა დაკავშირებული**: სეზონის ფავორიტი მოდური ფერი ცხადია ბორდოსფერია. მასთან ერთად სხვა ტენდენციებს – მეტალიკს, პლისეს, ვინტაჟურ დენიმს და ხავერდსაც განვიხილავთ. ოქტომბერში სილამაზისა და თავის მოვლის სფეროც საკმაოდ სეზონურია – ღვინისფერი მაკიაჟი, მანიკიური და ღვინის სასარგებლო თვისებებზე დაფუძნებული სპაპროცედურები.
ვფიქრობთ საკმაოდ საინტერესო და დროული ნომერი გამოგვივიდა, რომელსაც ჭიქა ღვინოსთან ერთად სიამოვნებით წაიკითხავთ.

გემშვიდობებით ნოემბრამდე და ველით თქვენს გამოხმაურებას.

*ნინო იოსელიანი*
*მთავარი რედაქტორი*

## რედაქტორის არჩევანი


გვ. 122


გვ. 102


გვ. 95


გვ. 136


PROFLINE
COSMETICS
INSTAMATIC by COLOR TOUCH
OCEAN STORM
KOLESTON PERFECT
BLONDOR
MULTI BLONDE
Color.id
100 ml / 3.38fl. oz.
WELLA
PROFESSIONALS
WELLA PROFESSIONAL-ისა და LONDA PROFESSIONAL-ის
ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში
Profline Cosmetics
ვ. დოლიძის ქ. 46
032 229 58 00
facebook.com/WellaProfessionalsStudioGeo

HELLO! GEORGIA
#003 • ოქტომბერი • 2016

# სარჩევი



95 საშემოდგომო ტრენდები




ფოცხიშვილები 18



ჯანლუკა ვაკი 34



ფილიპ პლაინი 8



თამთა გოდუაძე 62

## ვარსკვლავური ისტორიები


8 **ფილიპ პლაინის** ფრანგული რივიერა **HELLO!**-ს ობიექტივში

18 **ფოცხიშვილების** ოჯახური პორტრეტი

34 **ჯანლუკა ვაკი** – ინტერნეტსივრცის რევოლუციონერი

44 **ლაკო ბუკია და თამუნა ინგოროყვა** არასამუშაო გარემოში

52 **ანიტა რაჭველიშვილის** ბედნიერი დღის ექსკლუზიური დეტალები

68 **ბრანჯელინა** – ზღაპრული სიყვარულის დასასრული

76 **დედოფლის გარდერობი** – ექსკლუზივი ბუკინგემის სასახლის კულისებიდან


## მუდმივი რუბრიკები


26 **CINEMA MATTERS** შუქი! კამერა! მოტორი!

48 **PANORAMA** ქართველი მოჭადრაკეები მსოფლიო ასპარეზზე

50 **30 დღე** მსოფლიო მოვლენების მიმოხილვა

62 **INSIDE STORY** ექსკლუზიური დეტალები ვარსკვლავების ცხოვრებიდან

138 **HALF HOUR** ანა ბიანი


დასაწ. 95 გვ.-დან

**lifestyle**

მოდა • სილამაზე • რჩევები




GEOX
RESPIRA
ჯეოქსი
geox.com
Geox - Respira - are trademarks of Geox Spa
NEBULA™
ფეხსაცმელი, რომელიც სუნთქავს
ვაჟა-ფშაველას გამზ. 26; ც. დადიანის 7 ს/ც "ქარვასლა";
www.icr.ge



ფილიპ პლაინმა, რომელსაც ერთნაირად ხიბლავს პოპკულტურაცა და ეგზოტიკური დეტალებიც, კანში ჯადოსნური სახლი აიშენა, რომელსაც „მეფური ჯუნგლები“ (La Jungle du Roi) უწოდა.





ახალგაზრდა, მრავალფეროვანი, თანამედროვე და შრომისმოყვარე დიზაინერის – ფილიპ პლაინის სახლი მადონასა და ბიონსეს რეზიდენციებს უფრო მოგაგონებთ, ვიდრე უბრალო საზაფხულო რივიერას. 38 წლის დიზაინერი გრაფიკებითა და სლოგანებით გაფორმებული ტანისამოსითა და პოდიუმის ექსტრავაგანტური შოუებითაა ცნობილი. მის ჩვენებებზე ხან კარუსელების, ხან გიგანტური სატვირთო მანქანების, ხან თხილამურების და ხანაც ბლოკბასტერების თემატიკაა. ეს მრავალფეროვნება პლაინის სახლშიც იგრძნობა. სწორედ აქ, კანის რივიერაზე, დიზაინერი HELLO!-ს პირველ კარიერულ ნაბიჯებზე ესაუბრება.

„ყველაფერი შემთხვევით დაიწყო“, – იხსენებს იურიდიული ფაკულტეტის ყო- ▶



„ჩემი მთავარი მიზანია ავიხდინო ოცნებები მოდაშიც და პირად ცხოვრებაშიც. თითოეული სახლი ჩემი განხორციელებული ოცნებაა“

# მდიდრული ფრანგული რივიერის მფლობელი
# ფილიკ კლაინი
## დიზაინერი, რომელმაც ფანტაზია რეალობად აქცია



„მთავარია ოცნებებს მისდიო და მიზნისკენ მიმავალი გზიდან არაფრის გამო არ გადაუხვიო“











**ფილიპი საცურაო აუზში შეყვარებულთან – რუმინელ ანდრია სასუსთან ერთად ნებივრობს (ზევით). ბეწვის ხალიჩები, სარკის კედლები და მარმარილოს დეტალები სწორედ ის არის, რაც დიზაინერის გემოვნებაში იდეალურად ჯდება. პლაინის სახლს ხშირად სტუმრობენ კოლეგები და თანამშრომლები, რომლებიც სათამაშო ოთახში ერთობიან ხოლმე (მარცხნივ). მიღწეული წარმატების წყალობით, ფილიპი მანქანების სიყვარულსაც არ ივიწყებს და სხვადასხვა „ახდენილი ოცნებით“ ტკბება. პლაინი თავის Bentley-სთან, Lamborghini-სა და Rolls Royce-თან ერთად პოზირებს (ქვევით).**

ფილი სტუდენტი, რომელმაც საქმიანობა ავეჯის დიზაინით დაიწყო. ერთხელ კი შემთხვევით შეკერა ვინტაჟური სამხედრო პიჯაკი, რომელმაც ყველას ყურადღება მიიქცია. სწორედ ამის შედეგი იყო ბრენდი Philipp Plein-ი, რომელიც 2004 წელს ჩამოყალიბდა და დღეს უკვე 80-ზე მეტ მაღაზიას ფლობს.

რაც შეეხება ბოლოდროინდელ ამბებს, ფილიპმა იტალიელ ბიზნესმენ ფლავიო ბრიატორესთან ერთად ახალი თავგადასავალი დაიწყო და მისი Billionaire Couture-ის ხაზის მთავარი დიზაინერი გახდა. „ეს არის ტანსაცმელი იმ გავლენიანი მამაკაცებისთვის, რომლებსაც მოდა და კარგი ცხოვრება უყვართ“, – აღნიშნავს პლაინი, – „ვისაც სურთ, ჰქონდეთ საკუთარი სტილი და იყვნენ ბოლომდე თავისუფლები“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფილიპი დიზაინს სწორედ თავისნაირი ადამიანებისთვის ქმნის. ის ბევრს შრომობს, გართობას არ იკლებს და არც თავის ოცნებებს ივიწყებს. სწორედ ამ ოცნებების ნაწილი იყო მდიდრული ვილა, რომელიც საფრანგეთის სამხრეთში აიშენა... ▶







თეთრ კედლებზე სხვადასხვა ცხოველის მინიატურული ფიგურებია გამოქანდაკებული (ზევით), უზარმაზარ მიკი მაუსს (ქვევით) კი სახლში თავისებური ხალისი შემოაქვს.



**ფ.პ. ფილიპ, მართლაც შოკისმომგვრელი სახლი გაქვთ. რა იყო ამ დეკორაციების მთავარი მიზანი?**

ის, რომ აქ ყოფნით მაქსიმალური სიამოვნება მიმეღო. სახლის დასრულებას ორი წელი მოვანდომე. ვეცადე მისი აურა ჩემს ხასიათთან მაქსიმალურად ახლოს ყოფილიყო. პირადად ვიზრუნე ავეჯის დიზაინზეც. დეკორში კი, ისევე როგორც ჩემს ბრენდში, ცვლილებები დღემდე შემაქვს.

**ფ.პ. რა იყო თქვენი შთაგონების წყარო?**

ყველაფერი, რაც ყოველთვის მომწონდა – დაწყებული პოპკულტურიდან, დამთავრებული ეგზოტიკური დეტალებით.

**ფ.პ. როგორც გავიგეთ სახლს „მეფურ ჯუნგლებს“ (*La Jungle du Roi*) უწოდებთ. რატომ?**

ეს სახელი სან-ტროპეს ერთ-ერთმა კლუბმა Les Caves du Roy შთამაგონა. გარდა ამისა, ვიდრე ცვლილებებს შევიტანდი, ჩემი ბაღი სწორედაც ჯუნგლებს მოგაგონებდათ.

**ფ.პ. როგორია თქვენი ფრანგული ცხოვრება?**

ვიღვიძებ, ვცურავ, ვმუშაობ და ვვარჯიშობ. სინამდვილეში ეს სახლი მეგობრებსა და




**„ამ სახლის დეკორირებისას ჩემი შთაგონების წყარო იყო ყველაფერი, რაც ოდესმე მომწონებია – დაწყებული პოპკულტურიდან, დამთავრებული ეგზოტიკური დეტალებით“**

სახლში წარმოდგენილი თანამედროვე ხელოვნების ნიმუშები, რომელიც ამერიკელი ქუჩის არტისტის – ალეკ მონოპოლის ფერად ნახატსაც მოიცავს, შერწყმულია კლასიკურ დიზაინთან.

კოლეგებთან შეხვედრის ადგილია. მინდოდა საქმიანობა სიამოვნებასთან შემეთავსებინა.

**ფ.პ. გამოდის, მაშინაც მუშაობთ, როცა დასასვენებლად მიდიხართ...**
მთელი ჩემი ცხოვრება ერთი დიდ არდადეგებს ჰგავს, მაგრამ ასე არ არის. ყოველდღე ვმუშაობ.

**ფ.პ. სახლები შვეიცარიაში, ნიუ-იორკსა და ლოს-ანჯელესშიც გაქვთ. თუმცა, გერმანიასთან, რომელიც თქვენი სამშობლოა, არაფერი გაკავშირებთ...**
ზოგადად, ეროვნებას დიდ ყურადღებას არ ვაქცევ. გერმანელი ვარ, მაგრამ კომპანია შვეიცარიაში დავაარსე. ჩემი მთავარი მიზანია ავიხდინო ოცნებები მოდაშიც და პირად ცხოვრებაშიც. თითოეული სახლი ჩემი განხორციელებული ოცნებაა.

**ფ.პ. რომელ ქვეყანაში ამჯობინებთ ცხოვრებას?**
გულწრფელად მწამს, რომ სახლი მართლაც ის ადგილია, სადაც გულს ტოვებ. მე მსოფლიოს მოქალაქე ვარ და იქ ვცხოვრობ, სადაც კონკრეტულ მომენტში ეს მსიამოვნებს.

**ფ.პ. რისი კეთება გსიამოვნებთ თავისუფალ დროს?**
განსაკუთრებულ სიამოვნებას მანიჭებს არაფრისგან რაღაცის შექმნა და ოცნებების რეალობად გადაქცევა.

**ფ.პ. როგორი დამოკიდებულება გაქვთ ცხოვრების მიმართ?**
მთავარია ოცნებებს მისდიო და მიზნისკენ მიმავალი გზიდან არაფრის გამო არ გადაუხვიო.

**ფ.პ. ბევრი ტატუ გაქვთ...**
თითოეული რომელიღაც ამბავს ყვება და ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენას ასახავს. ბევრი მათგანი რელიგიურ ხასიათსაც ატარებს. ზოგადად, ძალიან მორწმუნე ვარ და ყოველდღე ვლოცულობ.

**ფ.პ. აშკარაა, მანქანებიც გიტაცებთ...**
მე ხომ გერმანიიდან ვარ – მანქანების ქვეყნიდან. ეს ჩემი კულტურის ნაწილია. მანქანებში ბევრი რამ მიტაცებს: სიჩქარე, ტექნოლოგია, დიზაინი... მიუხედავად იმისა, რომ მძღოლი მყავს, ხშირად მარტოც დავსეირნობ ხოლმე.

**ფ.პ. როგორ აღმოჩნდით ავეჯის დიზაინიდან მოდაში?**
1998 წელს, დანაზოგისა და მამაჩემის დახმარებით, პირველი კოლექცია წარვადგინე, რომელიც ინტერიერისა და ექსტერიერის ავეჯს მოიცავდა. ასევე შევქმენი სპეციალური ავეჯი ძაღ- ▶



ფილიპის დიზაინით გაფორმებულ სახლს ვენეციური ჭაღები ამშვენებს.



ლებისთვის. ჩემი ნამუშევრები ყველაზე მნიშვნელოვან ფესტივალებზე გამქონდა. მახსოვს, ერთ-ერთი კარადის წარსადგენად ვინტაჟური სამხედრო პიჯაკი შევკერე, რომელიც სვაროვსკის თვლებით იყო გაფორმებული. ამას იმხელა გამოხმაურება მოჰყვა, რომ გადავწყვიტე ბედი მოდის ინდუსტრიაშიც მეცადა. მოკლედ, ყველაფერი ერთი შემთხვევით დაიწყო.

**ფ.პ. მამათქვენი როგორ დაგეხმარათ?**
საუკეთესო რჩევა მომცა: არასოდეს დამეხარჯა იმაზე მეტი, ვიდრე მქონდა. ეს ბიზნესის ოქროს წესია. სწორედ ამის გამოა, რომ ჩემი ყველა კომპანია საკუთარ თავს თვითონ ინახავს. არავისთან არაფრის ვალი არ მაქვს.

**ფ.პ. ესე იგი, ყველაფერი კარგად მიდის...**
2015 წელს ბრუნვა 200 მილიონ ევროს აღემატებოდა. ახლა კი, Billionaire-თან თანამშრომლობის შედეგად ეს მონაცემი უფრო გაიზრდება.

**ფ.პ. რამ გადაწყვიტა თქვენი და ფლავიო ბრიატორეს თანამშრომლობა?**
მონტე-კარლოში ყოფნისას ხშირად ვსტუმრობდი მის რესტორან Twiga-ს. ერთხელ, საუბრისას, Billionaire Couture-ის პროექტის დეტალები გამანდო. ვიგრძენი, რომ ძალიან დიდი შანსი გვქონდა ერთად უნიკალური კოლექცია შეგვექმნა. დღეს ამ პროექტის მთავარი დიზაინერი ვარ და მთელი მონდომებით ვმუშაობ. ფლავიო საოცარი ადამიანია. მას სწამს, რომ არაფერია შეუძლებელი. ჩემი კრედოც სწორედ ესაა. მისი ყურადღება, მონდომება და ენთუზიაზმი გადამდებია.

**ფ.პ. რას აბრალებთ თქვენს წარმატებას?**
ჩემს მიზანდასახულობას. არასოდეს ვუხვევ მიზნისკენ მიმავალი გზიდან. ეს სისხლში მაქვს გამჯდარი.

**ფ.პ. ლონდონში კიდევ ერთ ახალ მაღაზიას ხსნით. როგორ მოახერხეთ ასეთ მცირე დროში ასე გაფართოება?**
ისევ და ისევ მიზანდასახულობის წყალობით. ყოველთვის ზუსტად ვიცი რა მინდა და მიზნის მისაღწევად ძალიან, ძალიან ბევრს ვმუშაობ. შესაძლოა ვინმეს მოეჩვენოს, რომ ყველაფერი სწრაფად და მარტივად ხდება, მაგრამ ასე არ არის. ნულიდან დავიწყე. 20 წლის რომ ვიყავი, იურიდიულზე ვსწავლობდი. პარალელურად დავიწყე ინტერიერის დიზაინის შესწავლაც. ამ ეტაპამდე პატარ-პატარა ნაბიჯებმა მომიყვანა.

**ფ.პ. როგორია თქვენი სარეკლამო სტრატეგია?**
საუკეთესო რეკლამა კარგი მაღაზია და პროდუქციაა. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ის, თუ რა გზავნილს აწვდის ბრენდი მომხმარებელს და რამდენად ესატყვისება მამაკაცის, ქალისა და ბავშვის კოლექციებს.

**ფ.პ. როგორია ფილიპ პლაინის ერთი სამუშაო დღე?**
დილით, 8 საათზე ვიღვიძებ და ვვარჯიშობ. არასოდეს ვსაუზმობ. შემდეგ სამუშაო რუტინა იწყება. შესვენებაზე ჩემი გუნდის წევრებთან ერთად გავდივარ და მათთან სხვადასხვა საკითხს განვიხილავ. საღამომდე ან ღამემდე ვმუშაობ. თუ გვიანობამდე შემოვრჩით, ჩემი გუნდის წევრებს სავახშმოდ ვეპატიჟები. ვიცი, რომ მათ დიდი ენერგია სჭირდებათ... ▶

**სპაგანყოფილებამდე სარკიან კედლებს მივყავართ (ზევით). სააბაზანო ოთახი მარმარილოთია შეფუთული და ზუსტად იმეორებს სეულის Park Hyatt hotel-ის დიზაინს. სამზარეულოც თეთრი, ნათელი, პრიალა და კაშკაშაა (ქვევით).**









„შემიძლია ვთქვა, რომ უკვე მომავალში ვცხოვრობ და ჩემი მომავალი სწორედ დღევანდელი დღით იწყება“



საძინებელ ოთახში დიდი საწოლი, ბეწვის გადასაფარებლები და ბალიშებია. სახლის თითქმის ყველა ოთახშია ამოტვიფრული ის სლოგანები, რომლებიც ფილიპის დიზაინით შექმნილ ტანსაცმელს ამშვენებს. ასეთივე სიხშირით შეხვდებით სახლის სახელწოდებასაც – La Jungle du Roi



ფილიპი ასეთივე წარმატებული ფლორისტია და სიამოვნებით აფორმებს თავის სახლს დიდი ყვავილებით, რომლებიც საოცარ სურნელს აფრქვევენ. სასადილო ოთახში მარმარილოს უზარმაზარი მაგიდაა, რომელზეც სახლის სახელწოდებაა ამოტვიფრული.



**ფ.პ. თქვენი ჩვენებები ყოველთვის გამოირჩევა დრამატულობითა და ორიგინალურობით...**
ვმუშაობ იმ ადამიანებთან ერთად, რომლებიც მუდმივად ეძებენ სიახლეს, ახალ ტრენდებსა და იდეებს, რომლებსაც პრეზენტაციის სახით მაწვდიან. თითოეული შოუ თვეების განმავლობაში იგეგმება და იფუთება. ჩვენებები საუკეთესო საშუალებაა აუდიტორიასთან ურთიერთობისთვის. მიყვარს როდესაც ერთობიან და ოცნების სურვილი უჩნდებათ. ჩვენი თითოეული გამოსვლა უზარმაზარი გამოცდილებაა.

**ფ.პ. ვინ არიან თქვენი ყველაზე ვარსკვლავური მომხმარებლები?**
მადონა, ბიონსე, ნაომი კემპბელი, რიტა ორა, სიარა, ელი გულდინგი... პერის ჰილტონი ჩემი ახლო მეგობარია. უბედნიერესი ვიქნებოდი, თუ Philipp Plein-ის სამოსს ოდესმე სოფი ლორენი ან შერი ჩაიცვამდნენ.

**ფ.პ. რას იტყოდით შემოდგომა-ზამთრის კოლექციაზე?**
ახალი კოლექციის შთაგონების წყარო ჩემი საყვარელი გმირები – ქალი-კატა, შურისმაძიებლები და კაპიტანი ამერიკა არიან, თავიანთი მისტიკური შესაძლებლობებით, ამტანობითა და ხასიათით. მასში გაერთიანებულია გრძნობები და ძალა, სპორტი და დრამა, გამოკვეთილი სილუეტები, კაშკაშა აქსესუარები, ოქროსფერი, შავი და ვერცხლისფერი დეტალები...

**ფ.პ. როგორ წარმოგიდგენიათ მომავალი?**
შემიძლია ვთქვა, რომ უკვე მომავალში ვცხოვრობ და ჩემი მომავალი სწორედ დღევანდელი დღით იწყება. H

**ტექსტი**: NANA BOTTAZZI
**ფოტო**: FERNANDO LOMBARDI
**სახლის ფოტოები**: GIORGIO BARONI

მარცხნივ: დიზაინერი თეთრი მაისურითა და ჯინსებით პოზირებს.
მარჯვნივ: მის ვარსკვლავურ მომხმარებლებს შორისაა პერის ჰილტონიც, რომელიც ფილიპის ახლო მეგობარია. წლის ბოლომდე პლაინის ბრენდს უკვე 80-ზე მეტი საერთაშორისო მაღაზია ექნება.





Diplona®
PROFESSIONAL
სალონური მოვლა
აღმოაჩინე
საკუთარი თმა
HAIR SALON
HAIR GROWTH SERUM
VOLUME + ENERGY SHAMPOO
COLOR + SHINE SHAMPOO
COLOR + SHINE CONDITIONER
HYDRO + REPAIR SHAMPOO
HYDRO + REPAIR CONDITIONER
SILICONE-FREE | VEGAN
დამზადებულია გერმანიაში
ფარმადეპო
PHARMADEPOT

ცნობილი ოჯახის მეამბოხე შთამომავლები

# ბასა და თამრიკო ფოცხიშვილები

**„ადამიანი ვინმეზე უნდა იყოს მიბმული. მარტო ადამიანი ძალიან ცოდოა. გყავდეს და, რომელიც შენი მთავარი საყრდენი და იმედია – ეს ღვთის საჩუქარია“**



დღეს თამრიკოს და ბასას გზები გადასაღებ მოედანზე ხშირად იკვეთება და დების ასაკობრივი სხვაობა წაღმა ტრიალდება, რადგან გადაღებაზე ბასა რეჟისორია, ანუ უფროსი, თამრიკო კი – მხატვარი. გადაღებაზე არ უყვარს ბევრი ლაპარაკი. „დაუნდობელია“, მკაცრი და მომთხოვნი.




**„პირველი ჰონორარით
ანტიკვარული, ლამაზი ნივთი
შევიძინე. მამამ რომ ნახა,
დედას უთხრა – ჩვენ უკვე
ბავშვებს აღარ ვჭირდებითო“**



## „რაღაც ცუდის გაკეთება რომ მინდა, თავს ვიკავებ, რადგან მე მხოლოდ ჩემს სახელზე არ ვარ პასუხისმგებელი“

სცენა ერთი, კადრი ერთი, დუბლი ერთი - „მატორრრ!“ ეს ფრაზები ყველაზე ხშირად ესმით და ყველაზე ხშირად ამ სიტყვებს თავად ამბობენ. ყველა კადრის კომპოზიციას თვითონ აწყობენ. ძირითადად კადრს მიღმა, კამერის ობიექტივის მიღმა დგომა უწევთ და მსახიობებს მთავარ შენიშვნებსა თუ მითითებებს აძლევენ. თუმცა დღეს წესები იცვლება და გადასაღებ მოედანზე, ფოტოკამერის წინ, მთავარ როლში ბასა და თამრიკო არიან. წინასწარ დაწერილი სცენარის ნაცვლად კი, მათ მიერ მოყოლილი ისტორიებით, ანუ დოკუმენტური მასალით ფოცხიშვილების მხატვრული, ოჯახური საგა იწერება.

ლარსის ქუჩაზე მდებარე სახლის (რომელშიც თამრიკო და ბასა ფოცხიშვილები გაიზარდნენ) სადარბაზოს შესასვლელთან, კედელზე, მორის ფოცხიშვილის ლექსის სტრიქონს ამოიკითხავთ: „ავფრინდები და... ფრრი...“ სწორედ ამიტომ ინტერვიუ ბავშვობასა და მორისზე საუბრით

იწყება. ბასას მიაჩნია, რომ ცხოვრებაში ისეთი დიდი ნახტომი ჯერ არ გაუკეთებია, რომ ეს სიტყვები გაემართლებინა.

ბასას და თამრიკოს ზღაპრული ბავშვობა ჰქონდათ, რომელშიც თავს „ყველაფერი“ იყრიდა – მუსიკა, ლექსები და ნახატები. შინ სტუმარი ყოველთვის იყო. მორისთან 60-70-იანი წლების ის თაობა იკრიბებოდა, რომელიც მუდმივად ახალს და განსხვავებულს ქმნიდა. უფროსებისთვის ხელი რომ არ შეეშალა, თამრიკოს მისაღებ ოთახში პატარა მაგიდას უდგამდნენ და სახატავ რვეულსა და ფერად ფანქრებს აძლევდნენ. საათობით იჯდა უფროსებთან ერთად, გულისყურით უსმენდა მათ საუბარს და ხატავდა ყველაფერს, რასაც ისმენდა და რაც მის გარშემო ხდებოდა.

მამა ვერ იტანდა დოგმებს, შეზღუდვებსა და უაზრო პირობითობას. ამიტომ ცდილობდა შვილები სრულ თავისუფლებაში გაეზარდა. მთელი ბავშვობა ასწავლიდა, რომ ადამიანი მუდმივად ახალი აღმოჩენებისა და ძიების პროცესში უნდა იყოს. შინაგანად მეამბოხეები უნდა ყოფილიყვნენ, უსამართლობისა და არასწორი ქმედების წინააღმდეგ კი ყოველთვის ხმა უნდა აემაღლებინათ. თვითონ უსაზღვროდ თავისუფალი, ყველანაირი ყოფითის გარეშე, პოეტური პიროვნება იყო. გოგოებს არაფერს უკრძალავდა და ყველაფერში მაქსიმალურ თავისუფლებას აძლევდა. ფოცხიშვილების მამაშვილობა თავისუფლების ის „დერეფანი“ იყო, რომლის „სახურავიც“, თვითნებურად გამომუშავებული რიდი და უდიდესი პატივისცემის გრძნობა გახლდათ.

მორისი ყოველთვის ცდილობდა და ახერხებდა, რომ შვილებისთვის თითოეული ახალი დღე ნამდვილ დღესასწაულად ექცია. უცხო ქვეყნებიდან ხშირად ჩამოჰქონდა ოჯახისთვის ისეთი ნივთები, რომლებიც საბჭოთა საქართველოში ძნელად ან საერთოდ არ იშოვებოდა. თბილისში ერთ-ერთი პირველი ვიდეომაგნიტოფონი ფოცხიშვილების ოჯახში გამოჩნდა, რომელიც მამამ, შვეიცარიაში ახალი წიგნის დასაბეჭდად წასულმა იყიდა და გოგონებს საჩუქრად ჩამოუტანა. ხშირად უყურებდნენ ისეთ ფილმებს, რომლებსაც საბჭოთა საქართველოში არ აჩვენებდნენ. უყვარდათ თავისუფლებაზე ფილმების ნახვა.

მორისის საყვარელი ფილმი „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“ იყო. არ იცოდა გაბრაზება და შვილებისთვის შენიშვნის მიცემას ერიდებოდა. თამრიკოს დღემდე ახსოვს სირცხვილის ის გრძნობა, როცა მამასთან სტილზე საუბრისას აღმოაჩინა, რომ გუსტავ ფლობერის წიგნი წაკითხული არ ჰქონდა.

ბასას და თამრიკოს შორის სხვაობა 4 წელიწადნახევარია. დები ფაქტობრივად ერთად გაიზარდნენ, თუმცა ხასიათითა და ინტერესებით ბავშვობიდან რადიკალურად განსხვავდებოდნენ. ბასა მეგობრებთან ერთად ყოფნას ამჯობინებდა.

თამრიკოს მეგობრებთან ერთად ხშირად იყო ხოლმე მამაც, რომელსაც გოგონები არაფერს უმალავდნენ. პირიქით – ▶

**ერთმანეთის შემოქმედების პირველი, ყველაზე კრიტიკული და ობიექტური შემფასებლები ოჯახის წევრები იყვნენ. მამა ყოველ ახალ ლექსს ჯერ მეუღლეს, შემდეგ კი გოგონებს უკითხავდა. გოგონებიც საკუთარ ნამუშევრებს პირველად მამას აჩვენებდნენ და თითოეული კადრის შინაარსსა და კომპოზიციას გათენებამდე განიხილავდნენ.**

**„დედა ხუმრობით ყოველთვის ამბობდა, ბასა აღზრდის შედეგი არ არის, იმიტომ, რომ თამრიკოც ხომ ჩემი აღზრდილიაო. თამრიკო კარგია და ბასა ჩემი ბრალი არ არისო“**






## ბოლო ოცი წელია დები ქართულ და საერთაშორისო პროექტებზე აქტიურად მუშაობენ და თითქმის სრულ 24 საათს გადასაღებ მოედანზე ატარებენ

ყველაზე საინტერესო ამბებსა და რჩევებს მისგან ისმენდნენ. წლების მატებასთან ერთად, საერთო ინტერესები გაჩნდა და 16 წლიდან დები ერთმანეთის საუკეთესო მეგობრები გახდნენ. კინო ორივეს ბავშვობიდან იტაცებდა, ამიტომ მორისს მათი არჩევანი არ გაკვირვებია.

მამამ გოგონებს პროფესიის არჩევაშიც სრული თავისუფლება მისცა. ბასას ბავშვობიდან უნდოდა კინორეჟისორობა და ზუსტად იცოდა, რომ რეჟისორი გახდებოდა. მამა გოგონების ყველა გადაწყვეტილებას ერთი პრინციპით იღებდა – „გინდა და გააკეთე. ოღონდ ერთი პირობით – რაც უნდა გააკეთო და ვინც უნდა გამოხვიდე, უნდა იყო ძალიან მაგარი“. თამრიკო სამხატვრო აკადემიას ამთავრებდა, როცა ლანა ღოღობერიძემ კინომხატვრობის კურსის წაკითხვა შესთავაზა. ბასა ამ დროს თეატრალურ ინსტიტუტში სწავლობდა, საბოლოოდ კი ისე მოხდა, რომ თამრიკო ბასას ლექტორი გახდა და ე.წ. „რასკადროვკის“ ხატვას ასწავლიდა.

ერთმანეთის შემოქმედების პირველი, ყველაზე კრიტიკული და ობიექტური შემფასებლები ოჯახის წევრები იყვნენ. მამა ყოველ ახალ ლექსს ჯერ მეუღლეს, შემდეგ კი გოგონებს უკითხავდა. გოგონებიც საკუთარ ნამუშევრებს პირველად მამას აჩვენებდნენ და თითოეული კადრის შინაარსსა და კომპოზიციას გათენებამდე განიხილავდნენ. გასაკვირი არაა, რომ შვილების ყველაზე დიდი გულშემატკივარი იყო. მათი თითოეული მიღწეული წარმატებით ყველაზე მეტად ხარობდა და სიცოცხლეს იხანგრძლივებდა. ბასას და თამრიკოს დაუვიწყარი კინოკადრივით ახსოვთ ორი ფრაგმენტი, როცა მამა ამაყი და უბედნიერესი იყო. პირველად მაშინ, როცა რეზო ჩხეიძე შეხვდა და ბიჭვინთაში, 16-მილიმეტრიან ფირზე, დათო მიქაუტაძეზე – ბასას გადაღებულ სადიპლომო ნამუშევარზე

მორისი ყოველთვის ცდილობდა და ახერხებდა, რომ შვილებისთვის თითოეული ახალი დღე ნამდვილ დღესასწაულად ექცია. უცხო ქვეყნებიდან ხშირად ჩამოჰქონდა ოჯახისთვის ისეთი ნივთები, რომლებიც საბჭოთა საქართველოში ძნელად ან საერთოდ არ იშოვებოდა. თბილისში ერთ-ერთი პირველი ვიდეომაგნიტოფონი ფოცხიშვილების ოჯახში გამოჩნდა, რომელიც მამამ, შვეიცარიაში ახალი წიგნის დასაბეჭდად წასულმა იყიდა და გოგონებს საჩუქრად ჩამოუტანა. ხშირად უყურებდნენ ისეთ ფილმებს, რომლებსაც საბჭოთა საქართველოში არ აჩვენებდნენ. უყვარდათ თავისუფლებაზე ფილმების ნახვა.



**მამის რჩევას არ ივიწყებენ: „რაც უნდა მოხდეს, ყველაფერი უნდა იყოს ლამაზი“. ეს არის მთავარი დევიზი და კრედო, რომელიც მუდამ თან სდევთ და მათ ყოველ ნამუშევარში იგრძნობა. სილამაზე უნდა იყოს ყოფაში, სიცოცხლეში, სიკვდილში და შემოქმედებაში**



უთხრა, მაგარი ფილმია და მაგარი გოგო გყავსო.

მეორედ მაშინ, როცა უკვე ავად იყო, თუმცა მაინც მოახერხა და წავიდა დაჯილდოებაზე, სადაც ფილმისთვის „რჩეული“, თამრიკოს წლის საუკეთესო მხატვრის პრიზი გადასცეს.

დღეს თამრიკოს და ბასას გზები გადასაღებ მოედანზე ხშირად იკვეთება და დების ასაკობრივი სხვაობა წაღმა ტრიალდება, რადგან გადაღებაზე ბასა რეჟისორია, ანუ უფროსი, თამრიკო კი – მხატვარი. გადაღებაზე არ უყვარს ბევრი ლაპარაკი. „დაუნდობელია“, მკაცრი და მომთხოვნი. თამრიკო ცდილობს, რომ დას მაქიმალურად გაუგოს და საქმეში ბოლომდე მიყვეს, ამაში კი ეხმარება ის, რომ დები არიან და ერთმანეთის უსიტყვოდ ესმით. ბასას გადაღებაზე უფრო დაძა- ▶



ბასას და თამრიკოს ზღაპრული ბავშვობა ჰქონდათ, რომელშიც თავს „ყველაფერი“ იყრიდა - მუსიკა, ლექსები და ნახატები.



მორისთან 60-70-იანი წლების ის თაობა იკრიბებოდა, რომელიც მუდმივად ახალს და განსხვავებულს ქმნიდა. უფროსებისთვის ხელი რომ არ შეეშალა, თამრიკოს მისაღებ ოთახში პატარა მაგიდას უდგამდნენ და სახატავ რვეულსა და ფერად ფანქრებს აძლევდნენ. საათობით იჯდა უფროსებთან ერთად, გულისყურით უსმენდა მათ საუბარს და ხატავდა ყველაფერს, რასაც ისმენდა და რაც მის გარშემო ხდებოდა.

## „მამა იყო პოეტი. ეს ერთი სიტყვა ბევრს ნიშნავს და ყველაფერს აერთიანებს“

## „გვეკრძალებოდა ის, რომ რაღაც არ გვცოდნოდა“

ბულია, ვიდრე სხვა რეჟისორებთან მუშაობისას. ბასა ჯიუტია, თუმცა წლების გამოც-დილებამ აჩვენა და ბოლო 5 წელია მიხვდა, რომ თამრიკოს გადაღებაზე აღარ უნდა ედავოს. იცის, რომ რაც შეეხება კოსტიუმს, ფერს, ზომასა და ფორმას, თამრიკო ამ საქმეში საუკეთესოა.

ბოლო ოცი წელია დები ქართულ და საერთაშორისო პროექტებზე აქტიურად მუშაობენ და თითქმის სრულ 24 საათს გადასაღებ მოედანზე ატარებენ. დღეს სარეკლამო ბიზნესი, მუსიკალური კლიპები, დოკუმენტური და მხატვრული, მოკლე თუ სრულმეტრაჟიანი ფილმები თამრიკოს მხატვრობისა და ბასას რეჟისურის გარეშე თითქმის წარმოუდგენელია. უყვართ კარგი, ხარისხიანი კინოს შექმნაც და ნახვაც. აქვთ ინდივიდუალური ხელწერა, რომელიც ყველასგან გამოარჩევთ. მამის რჩევას არ ივიწყებენ: „რაც უნდა მოხდეს, ყველაფერი უნდა იყოს ლამაზი“. ეს არის მთავარი დევიზი და კრედო, რომელიც მუდამ თან სდევთ და მათ ყოველ ნამუშევარში იგრძნობა. სილამაზე უნდა იყოს ყოფაში, სიცოცხლეში, სიკვდილში და შემოქმედებაში. H

**ტექსტი**: ზურა მახარაშვილი
**ფოტო**: იკა პირველი


PHYTO
PARIS
PHYTOELIXIR
ფიტოს ახალი ინოვაციური, ულტრა მკვებავი
ფიტოელექსირის გამა, მაკადამიას ზეთისა
და ნარგიზის ყვავილის
სინერგიული მოქმედებით მყისიერად:
კვებავს
აღადგენს
ატენიანებს
სირბილესა და ბზინვარებას ანიჭებს თმას.
Masque nutrition intense
CHEVEUX ULTRA-SECS
Intense nutrition mask
ULTRA-DRY HAIR
PHYTOELIXIR
PHYTOELIXIR
Cleansing care cream
ULTRA-DRY HAIR
ექსკლუზიურად მხოლოდ ჯიპისის სააფთიაქო ქსელში
ჯიპისი GPC





# ჰოლივუდური ციებ-ცხელება ვენეციაში

ფერადი ეკრანების ვარსკვლავებმა ვენეციის კინოფესტივალზე გადაინაცვლეს. ყოველწლიური ღონისძიება, რომელიც ლიდოს ნაპირებს სექტემბრის თვეში სტუმრობს, ახალი მიუზიკლით La La Land გაიხსნა. მისი მთავარი გმირი – ემა სტოუნი პრემიერაზე Atelier Versace-ის ვერცხლისფერი საღამოს კაბით გამობრწყინდა. ბრიტანელმა ჯემა არტერტონმა კი, რომელიც ფესტივალის ჟიურის წევრიც გახლდათ, გულშემატკივრების წინაშე თავი Stella McCartney-ის შავი კაბით მოიწონა.

კინოფესტივალის გამორჩეული სტუმრები იყვნენ ჯერემი აირონსი და შინეიდ კიუსაკი, რომლებმაც კიდევ ერთხელ დაამტკიცეს რაოდენ მშვენიერია სიყვარული რომანტიკულ ვენეციაში. ყურადღება მიიქციეს ალისია ვიკანდერმა და მაიკლ ფასბენდერმაც, რომლებიც ფილმის The Light Between Oceans წარსადგენად ერთობლივად გამოჩნდნენ. ფოტოგენურმა წყვილმა პრესკონფერენციაზე ერთმანეთის სამსახიობო ნიჭსა და ნამუშევრის ღირებულ შინაარსზე ისაუბრა. აღსანიშნავია, რომ ისინი უკვე 18 თვეა ერთმანეთს ხვდებიან, თუმცა საზოგადო-



ტექსტი: ელენე მარგველაშვილი ფოტო: GETTY IMAGES



ებრივი თავშეყრის ადგილებს იშვიათად სტუმრობენ. „ის ერთ-ერთი ყველაზე დიდებული მსახიობია, ვისაც კი ვიცნობ", – აღნიშნა ალისიამ. მას არც ჯერემი ჩამორჩა, რომელმაც აღიარა, რომ ყველაზე დიდ სტიმულს სწორედ საყვარელი ქალბატონის ნიჭიერება და მხარდაჭერა აძლევდა. გახმაურებულ კინოფესტივალს ასეთივე ხმაურიანად ეწვივნენ ემი ადამსი და ჯერემი რენერი, რომლებმაც სატრანსპორტო საშუალებად საზღვაო ტაქსი აირჩიეს. ორივე მათგანი ვენეციას ერთი მიზნით სტუმრობდა – წარედგინათ ახალი სამეცნიერო ფანტასტიკა Arrival, რომელშიც მთავარ როლებს ასრულებენ.






# ნიკა თავაძე და ნანა შონია ელდარ შენგელაიას ახალ ფილმში „სავარძელი“

20-წლიანი პაუზის შემდეგ გენიალური რეჟისორი **ელდარ შენგელაია** მორიგი შედევრით ბრუნდება. ფილმ „**სავარძელის**“ სცენარის ავტორი თავად რეჟისორი გახლავთ. ტრაგიკომედიის მთავარი თემები კი სიყვარული და ძალაუფლებაა.

**ნიკა თავაძე** ფილმში ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს. ***„ერთი შეხედვით ფილმი ჩვეულებრივ ამბავს მოგვითხრობს, თუმცა მისი განსხვავებული, უჩვეულო კუთხით გადმოცემა, სწორედ ბატონ ელდარის ხელწერაა***“, – ამბობს მსახიობი, რომელიც ფილმში მინისტრს ასახიერებს, გადის პოლიტიკოსისთვის დამახასიათებელ ყველა ეტაპს, არჩევნებს, თანამდებობაზე დანიშვნას. მეორე მხრივ მნიშვნელოვანია მისი პირადი ცხოვრებაც. ***„ბატონ ელდართან მუშაობა ნამდვილი სიამოვნებაა. ის საშუალებას გაძლევს გახდე მისი ამბის თანამონაწილე და თანაავტორიც. ამ დროს სხვა დამოკიდებულება ჩნდება და იქმნება სრულიად ახალი, განსხვავებული და ორიგინალური ისტორია***“.

ერთ-ერთ გამორჩეულ როლს „სავარძელში“ მსახიობი **ნანა შონია** ასრულებს, რომელსაც რეჟისორთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. ფილმში ის უარყოფით გმირს თამაშობს. ***„კარგია, როდესაც პერსონაჟის ხასიათი გარდასახვის საშუალებას იძლევა. ბატონ ელდართან მუშაობა კი ჩემთვის ყოველთვის უდიდესი ბედნიერებაა. მისი ენერგია და შემართება გადასაღებ მოედანზე გადამდებია***“.

„სავარძელი“ გაჯერებულია „ელდარისებური“ იუმორით, რაც რეჟისორის მთავარი იარაღია. ნიკა თავაძესა და ნანა შონიასთან ერთად ფილმში იხილავთ **ნინელი ჭანკვეტაძეს**, **ქეთი ასათიანს**, **ივანე გოგიტიძეს**, **გია აბესალაშვილს** და **ზუკა დარჯანიას**.

ფილმის პრემიერა მომავალი წლისთვის არის დაგეგმილი.





**ტექსტი**: ლულუ კახიანი. **ფოტო**: ბაჩი ტაბატაძე.



Beverly Hills Formula
ჰოლივუდის ღიმილის საიდუმლო
ამ კბილის პასტის ფორმულაშია!
Beverly Hills Formula გთავაზობთ აქტივირებული ნახშირით დამზადებულ პირის ღრუს მოვლის სერიას!
შავი მათეთრებელი კბილის პასტა, სავლები და ის რაც ერთი შეხედვით წარმოუდგენელია! — აქტივირებული ნახშირის, კბილის პასტა მგრძნობიარე კბილებისათვის!
NEW
SHAKE TO ACTIVATE!
MOUTHWASH
PERFECT WHITE BLACK
Scientifically Formulated to Combat Bad Breath
With Activated Charcoal
Perfect Stain Removal
Mouth Feeling Fresh for Longer
500ml ℮
SHAKE TO ACTIVATE!
Beverly Hills Formula
TOOTHPASTE
PERFECT WHITE BLACK SENSITIVE
freshmint
Scientifically Formulated for Sensitive Teeth
With Activated Charcoal & Hydroxyapatite
Perfect Stain Removal
Low Abrasion
Money Back Guarantee
100ml/130g ℮
With Activated Charcoal & Hydroxyapatite
Did you know that...
TOOTHPASTE
PERFECT WHITE BLACK
With Activated Charcoal
100ml/130g ℮
ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში შპს GBC
პროდუქცია იკითხეთ საათიაქო ქსელებსა და ჰიპერმარკეტებში
+995 322 212 228
www.gibici.ge
info@gibici.ge
Georgia—Beverly Hills Formula







# HBO-ს გახმაურებული სერიალი „ახალგაზრდა პაპი“ ჯუდ ლოუს განსხვავებულ სახეს წარმოაჩენს

როგორც იქნა პაოლო სორენტინოს ახალი ნამუშევარი **„ახალგაზრდა პაპი“** მაყურებლის წინაშე წარდგა. სერიალი, რომლის მიმართაც უდიდესი მოლოდინი იყო, ვენეციის კინოფესტივალს ესტუმრა და აუდიტორიას პირველი ორი ეპიზოდი „გაუმხილა“.

„ახალგაზრდა პაპი“ უპირველესად იმითაა გამორჩეული, რომ სერიალში **ჯუდ ლოუ** მონაწილეობს, თანაც – **დაიან კიტონთან** ერთად. გარდა ამისა, სიუჟეტი ძალიან საინტერესო ამბავს გვიამბობს. საქმე ეხება **ლენი ბელარდოს**, იგივე **პიუს XIII**-ს, რომელიც კათოლიკური ეკლესიის პირველი ამერიკელი ლიდერი ხდება და ცდილობს ხალხში უფლის შიში გააძლიეროს და ძალაუფლება მოიპოვოს. რეჟისორის თქმით, მას მეამბოხე, მიზანდასახული და მტკიცე ხასიათის მქონე პერსონაჟის შექმნა სურდა.

***„პიუს XIII აბსოლუტურად განსხვავდება დღევანდელი ლიბერალი პაპისგან“***, – აღნიშნა **პაოლო სორენტინომ** პრესკონფერენციაზე, – ***„თუმცა სრულიად შესაძლებელია ერთ მშვენიერ დღეს კათოლიკური ეკლესიის სათავეში სწორედ ასეთი ადამიანი ვი-ხილოთ. არ მგონია, ეკლესიის თანამედროვეობისკენ მიმავალი გზა მუდმივი და დაუბრკოლებელი იყოს“***. პირველმა ორმა ეპიზოდმა უკვე დაამტკიცა, რომ სერიალი წარმატებისა და საოცარი პოპულარობისთვისაა „განწირული“. „ახალგაზრდა პაპის“ მონაწილე მსახიობთა სიაში **ჯეიმს კრომველი**, **სილვიო ორლანდო**, **სკოტ შეფარდი** და **სებასტიან როშეც** არიან.

**HBO**-ს, **Sky-**სა და **Canal Plus**-ის ერთობლივი ნამუშევარი, პირველი ათი ეპიზოდით, ევროპულ ეკრანებზე ოქტომბერში გამოჩნდება. ამერიკული პრემიერა კი 2017 წლის თებერვალშია დაგეგმილი.

ტექსტი: ელენე მარგალიტაშვილი. ფოტო: GETTY IMAGES




# Dar el Marsa

სანაპიროზე

აღმოჩენილი სამოთხე

Etere Agency

+33 674 61 89 38; +995 577 12 22 08



„ჩემი გმირი მარტოხელა ახალგაზრდა კაცია, რომელიც სასიყვარულო სამკუთხედშია ჩაბმული. არის საკმაოდ რისკიანი, გულწრფელი გრძნობითაც გამოირჩევა, თუმცა, სამწუხაროდ, არცთუ წინდახედულია“



# სატელევიზიო ფილმების ციკლი აკა მორჩილაძის სცენარების მიხედვით

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ახალი პროექტი 10 დამოუკიდებელ სატელევიზიო ფილმს აერთიანებს. ყველა სცენარის ავტორი **აკა მორჩილაძე** გახლავთ; რაც შეეხება რეჟისორებს, ისინი კონკურსის წესით შეირჩნენ. ყოველ ფილმს თავისი რეჟისორი ჰყავს. პროექტის ფარგლებში უკვე გადაღებულია ცხრა ფილმი. Hello! სწორედ მეცხრე კინოსურათის გადაღებებს დაესწრო. ფილმის რეჟისორია **ოთარ შამათავა**, მთავარ როლებში კი დაკავებულნი არიან: **მირიან ჯეჯელავა**, **აპოლონ კუბლაშვილი**, **ნანა ფაჩუაშვილი**, **თინათინ ალექსიშვილი**, **ანა ნიჟარაძე**, **ნინო კუნჭულია.**

მირიან ჯეჯელავა: ***„უპირველესად, მინდა აღვნიშნო, რომ ბატონ ოთართან მუშაობა ჩემთვის უდიდესი კომფორტი და სიამოვნებაა. ეს არის ადამიანი, რომელსაც ბოლომდე ენდობი და ძალიან ბედნიერი ვარ, რომ კიდევ ერთხელ მომეცა მასთან თანამშრომლობის საშუალება. რაც შეეხება ჩემს გმირს – იგი მარტოხელა ახალგაზრდა კაცია, რომელიც სასიყვარულო სამკუთხედშია ჩაბმული. არის საკმაოდ რისკიანი, გულწრფელი გრძნობითაც გამოირჩევა, თუმცა, სამწუხაროდ, არცთუ წინდახედულია“***.

ნანა ფაჩუაშვილი: ***„ეს ფილმი და მისი სცენარი ოთარ შამათავას 37 წლის წინ გამოსულ ფილმთან „სუფთა დაფა“ არის კავშირში. რეჟისორის ჩანაფიქრის მიხედვით ჩემი პერსონაჟია გმირი იმ ფილმიდან, რომელსაც ამჯერად აქ ვასახიერებ – რასაკვირველია წლების შემდეგ. გმირზე მუშაობის პროცესში მეც ვავლებ პარალელებს, თუმცა რეჟისორი ამას უკეთ გრძნობს“***.

სასიყვარულო სამკუთხედის გმირების ისტორიას მაყურებელი მალე იხილავს.

**ტექსტი:** ლელა კახიანი. **ფოტო:** ბაჩო თაბატაძე



# La Taniere

ფრანგული ოაზისი
სრულყოფილი დასვენებისთვის

Etere Agency

+33 674 61 89 38; +995 577 12 22 08



ჯანლუკა და ჯორჯა H2O-ს სამფლობელოში ჩვეული ჩაცმულობით, ღიმილითა და განწყობით პოზირებენ.

„ცეკვა ძალიან მარტივი და სახალისოა. ის დადებითი აურისა და მხიარულების გადამტანია. სწორედ ამიტომ გაიზიარა ჩვენი ცეკვა ამდენმა ადამიანმა“

„დღეში ოთხ საათს ვმუშაობ, რაც ჩემთვის სრულიად საკმარისია. აქციონერი ვარ და ვფლობ კომპანიას, რომელიც ჩემი მშობლებისგან 25 წლის ასაკში შევიძინე“




კადრი ვიდეოდან, რომელმაც სოციალურ ქსელებში ნამდვილი რევოლუცია მოახდინა.

ჯანლუკას ცხოვრების სტილიც ისეთივე არაორდინარულია, როგორიც მისი გემოვნება და ფიზიკური მონაცემები. ჯანლუკას სამყარო რამდენიმე ადგილზეა გადანაწილებული – ბოლონიაში, მილანში, სარდინიასა და კორტინაში. ვაკი აქციონერია და ფლობს 40-მდე კომპანიას. პირველი მათგანი მშობლებისგან 25 წლის ასაკში შეიძინა. 7000-მდე დასაქმებული ადამიანი პლასტმასის, მანქანის ფარების, სარეცხი მანქანის ნაწილების, წყალგაუმტარი შეფუთვებისა და მსგავსი მასალების წარმოებაში მონაწილეობს. თავად ჯანლუკა დღეში ოთხ საათს მუშაობს და მიაჩნია, რომ ეს სრულიად საკმარისია.

„ცეკვა მარტივია. ყველას შეუძლია კარგად იცეკვოს და მელოდიას მოძრაობებით აჰყვეს. თანაც, ცეკვა სახალისოა და გადამდები. ინტერნეტსივრცეში ხომ სწორედ ამ ორი კომპონენტის მოთხოვნილებაა?! სწორედ ამიტომ აიტაცეს ჩემი და ჯორჯას ცეკვა“, – ასე განმარტავს თავს დამტყდარ პოპულარობას ჯანლუკა ვაკი, რომელიც უკვე საყოველთაოდ აღიარეს სოციალური ქსელების მეფედ და საკულტო სტილის მქონე მამაკაცად. ▶

ჯანლუკამ HELLO! თავის ძვირფას სახლებსა და საინტერესო ცხოვრებაში ამოგზაურა

# საოცარი ცეკვითა და ცხოვრების სტილით გამორჩეული

# ჯანლუკა ვაკი

## ინტერნეტსივრცის რევოლუციონერად იქცა



### იალქნიანი სასახლე

**იახტას, რომელიც სიგრძეში 14 მეტრია,** 1050 ცხენის ძალა აქვს. ჯანლუკა მას „იალქნიან სასახლეს“ უწოდებს: „ის უზარმაზარია და ამავდროულად, უძლიერესი. წარმოიდგინეთ, სამ ძრავას 1050 ცხენის ძალა აქვს! მთავარი ატრიბუტები მაინც დიდი დივანი და დიდი იალქანია. ჩემი იახტა კაკლის ნაჭუჭია, რომელიც წყალში ტივტივებს. აქ თავს საოცრად კომფორტულად ვგრძნობ“.



**მის 34 კომპანიაში 7000-მდე ადამიანია დასაქმებული. ისინი პლასტმასს, მანქანის ფარებს, სარეცხი მანქანის ნაწილებს, წყალგაუმტარ შეფუთვებსა და მსგავს მასალებს აწარმოებენ.**



ჯანლუკა თავის ძაღლებსა და ციგასთან ერთად თოვლში პოზირებს.



## კორტინას შალე

**ეს ალპური ვილა კორტინა-დ'ამპეცოში ჯერ კიდევ 1781 წელს აშენდა** და კურორტის ერთ-ერთ ყველაზე ძველ შენობად მიიჩნევა. მისი თავდაპირველი იერი ნაწილობრივ შენარჩუნებულია, ბოლო სართულზე კი ყველაფერი ისეა დატოვებული, როგორც პირველ წლებში იყო. აქ განლაგებულ მუზეუმში ვაკი კორტინას კულტურისთვის დამახასიათებელ ნივთებს ინახავს. ჯანლუკას შალე, რომელშიც მფლობელმა თავისებური პოზიტივი, თანამედროვეობა და ხალისი შეიტანა, საუკეთესო საკურორტო სახლების 25-ეულშია შესული.



ხედი შალედან, რომლის ინტერიერი მთლიანად ხითაა მოპირკეთებული.

მისი და ჯორჯა გაბრიელის ცეკვამ ინტერნეტ-სივრცეში ნამდვილი რევოლუცია მოახდინა. როგორც ამბობენ, ვიდეო სპონტანური იყო და წინასწარი გათვლა არცერთ მათგანს არ ჰქონია: „ამ ცეკვის გადაღება უცებ მოვიფიქრეთ. მე და ჯორჯა ხშირად ვცეკვავთ ხოლმე. წინასწარ არაფერი დაგვიდგამს და რაც ნახეთ, ყველაფერი სრული იმპროვიზაცია იყო“.

გარეგნობიდან გამომდინარე, გასაკვირი არცაა, რომ ცნობილ „მოცეკვავეს“ სოციალურ ქსელში 200 000-ზე მეტი მიმდევარი ჰყავს. მათთვის არასოდეს იშურებს რჩევებს ჩაცმის, თავის მოვლისა თუ ცხოვრებისეული დაბრკოლებების გადალახვის შესახებ. „მიმაჩნია, რომ თანამედროვე „დენდი“ ვარ – გემოვნებიანი, მოდურად ჩაცმული მამაკაცი. ახალგაზრდებისგან ვისწავლე, როგორ გამოვიყურებოდე ექსტრავაგანტურად და თან ისე, რომ არავისი დასაცინი არ ვიყო“, – ამბობს ვაკი HELLO!-სთან საუბრისას და ტატუებზეც ორიოდე სიტყვით გვიყვება. როგორც ▶






**„უამრავი ტატუ მაქვს, რომელთაგან ბევრი ძალიან დიდი მნიშვნელობის მატარებელია: ჩემი მშობლებისა და დეიდაჩემის გამოსახულებები, ბებიაჩემის წერილი და დედაჩემის სიტყვები, რომლებიც უბედური შემთხვევის შემდეგ დაწერა“**

ვილაში განთავსებულ სპაგანყოფილებაში ჯანლუკას შეყვარებული ქალთევზასავით ცურავს მაშინ, როცა წინა პლანზე ვაკი კამერებთან პოზირებს.

## H2O

**სარდინიის ეს სამოთხე უზარმაზარი აუზითაა გარშემორტყმული.** სწორედ ამიტომ ეძახიან H2O-ს. ჯანლუკას 1200 კვ.მ.-ის სამფლობელო ორსართულიანია და წყალში ჩადგმულ ოაზისს მოგაგონებთ. აუზები უფრო დიდი იყო ხოლმე, თუმცა ვაკიმ მათი ზომის შემცირება და ხიდის აშენება გადაწყვიტა, რამაც საზაფხულო სასახლე კიდევ უფრო გაალამაზა.



ვილა და აუზი სარდინიაზე. აქვეა ე.წ. კრიოსაუნაც, რომელშიც ტემპერატურა მინუს 160 გრადუსამდე ეცემა.









ამბობს, 70-მდე ტატუდან რამდენიმეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მათ შორისაა მშობლებისა და დეიდის გამოსახულებები, ბებიის წერილი და დედის სიტყვები, რომლებიც უბედური შემთხვევის შემდეგ დაწერა. აღიარებს, რომ მისი ექსტრავაგანტურობა სწორედ ოჯახის წევრების დამსახურებაა.

ეს ყველაფერი არ არის – ჯანლუკას განკარგულებაშია ვერტმფრენი, სამი „ბენტლი“ და უზარმაზარი იახტა, რომლის მშენებლობა მარტში დასრულდება და რომელსაც 1050 ცხენის ძალა ექნება! **H**

**ტექსტი**: NANA BOTAZZI
**ფოტო**: ANDREA SAVINI, ESTUDIO LAMAR, GIORGIO BARONI

## ბოლონიური მუზეუმი

**ჯანლუკას ბოლონიაში შთამბეჭდავი სახლ-მუზეუმი აქვს,** რომელიც ნახატებით, ქანდაკებებითა და ხელოვნების სხვა ნიმუშებითაა გაფორმებული. აქვეა სპაგანყოფილება და საშხაპე გვირაბიც, რომელსაც ტემპერატურა და არომატი სურვილისამებრ ეცვლება. თანამედროვე „დენდის“ განკარგულებაშია თურქული აბანო, მასაჟი, ასევე მანიკიურისა და პედიკიურის 24-საათიანი მომსახურება.









„მიმაჩნია, რომ თანამედროვე „დენდი“ ვარ – გემოვნებიანი, მოდურად ჩაცმული მამაკაცი. ახალგაზრდებისგან ვისწავლე როგორ გამოვიყურებოდე ექსტრავაგანტურად და თან ისე, რომ არავისი დასაცინი არ ვიყო“

## ფრანგული სახლი მილანში

**ჯანლუკას სახლს მილანის ყველაზე გლამურულ და მდიდრულ უბანშიც მიაგნებთ.** ვინაიდან ფრანგული გარემოს შექმნა სურდა, ვაკიმ ინტერიერი 1900-იანი წლების სტილში გადაწყვიტა და დიზაინში ხავერდი და ოქროსფერი დეტალები გამოიყენა. სხვაგვარად რომ გითხრათ, ამ მილანურ სახლში ვერაფრით იგრძნობთ, რომ იტალიაში ხართ.



ფოტო მილანის სამფლობელოშია გადაღებული. ჭკვიანი, ორიგინალური, ექსტრავაგანტური და პოზიტიური ჯანლუკა თავისივე ფეხსაცმელებითა და ჰალსტუხებითაა გარშემორტყმული. მისი საძინებელი ოთახის კედლები კრემისფერია. ინტერიერის დიზაინში უმეტესად ხავერდი და მარმარილო ჭარბობს.

# სახლი, ტკბილი სახლი

## ქართველი დიზაინერები არასამუშაო გარემოში



# ლაკო ბუკია

**„7 წელი საქართველოდან საზღვარგარეთ, სასწავლებლად ვიყავი წასული. ყველაზე მეტად ჩემს ოჯახის წევრებთან ერთად ამ სახლში ყოფნა მენატრებოდა“**



მას შემდეგ რაც წყნეთში ყველა ცენტრალურ ქუჩას გავცდით, გადაღებაზე ჩასულებს გზა აგვერია. ერთ-ერთ სახლთან მანქანას ვაჩერებთ და ვკითხულობთ: „ლაკო ბუკია აქ ცხოვრობს?“ „არა.ზემოთ, ტყეში“, – გვპასუხობს ერთ-ერთი მაცხოვრებელი და გზას ტყისკენ გვიჩვენებს. რა თქმა უნდა წინასწარ ვიცოდით, რომ ლაკოს წყნეთის საზაფხულო სახლი ტყის მახლობლად მდებარეობდა, თუმცა ნამდვილ ტყეს არცერთი ჩვენგანი ველოდით. ირგვლივ წიწვისა და ფიჭვის მაღალი ხეები დგას, გარშემო მთლიანად სიმწვანეა, ხოლო შუაგულ ტყეში ერთადერთი თეთრი სახლი მოჩანს. საკმარისია სახლს მიუახლოვდეთ, რომ თავი ნამდვილ ზღაპარში გეგონებათ. ძნელი მისახვედრი არაა ოჯახმა ამ ადგილას სახლის შეძენა რატომ გადაწყვიტა. როცა თბილისში ჰაერის ტემპერატურა ორმოც გრადუსს სცდება, აქ ისეთი სასიამოვნო ნიავი უბერავს და ისეთი სუფთა, გრილი ჰაერია, რომ ოჯახის წევრები სიცხეს ვერც კი გრძნობენ.



„საყვარელი ადგილი ეზო და საცურაო აუზია. მეგობრებთან ერთად მთელი დღე გარეთ შეიძლება ისე გავატაროთ, რომ სახლში ერთხელაც არ შევიდეთ“

ლაკო ბუკიას მშობლებმა წყნეთის სახლი რვა წლის წინ შეიძინეს. მას შემდეგ ყოველ წელს მთელი ოჯახი ზაფხულის დადგომისთანავე საცხოვრებლად სამი თვით აქ გადმოდის და ცხელ თვეებს წყნეთის ამ საზაფხულო სახლში ატარებს. როცა სახლის შეძენა გადაწყვიტეს, ყურადღება ამ სახლზე სწორედ მისი ადგილმდებარეობის გამო შეაჩერეს. განსაკუთრებულად კი მდიდარი ბუნებრივი ლანდშაფტითა და უნიკალური ეზოთი მოიხიბლნენ. ქვაში, ხესა და მინაში აშენებული სამსართულიანი სახლი თითქმის ბოლომდე გარემონტებული დახვდათ, ამიტომ ინტერიერში ჩარევა აღარ დაიწყეს. დიდი ვიტრაჟული ფანჯრები და პასტელის ფერებში გადაწყვეტილი ნათელი ოთახები ხელუხლებელი დატოვეს და მხოლოდ კოსმეტიკური რემონტი გააკეთეს. რაც შეეხება ექსტერიერს, მის მოწყობაზე ლაკომ და მისმა დედამ – მანანა კვირიკაშვილმა იზრუნეს. ეზოში ლაკოს დიზაინით გაკეთდა განათება, დაიდგა საზაფხულო ავეჯი და სხვადასხვა ▶





„ამ სახლში ყველაზე ბედნიერად ვგრძნობ თავს. აქ მუდამ ოჯახური სიცოცხლე ჩქეფს“

„შიცუ“ – სამეფო კარის ძაღლია და აშშ-ში ძალიან პოპულარულია. პირველად ამ ჯიშის ძაღლი საკუთარ თავს ვალენტინობაზე ვაჩუქე, თუმცა დატვირთული გრაფიკის გამო ვერ მოვუარე და 10 დღეში გავაჩუქე. ძალიან მენატრებოდა და განვიცდიდი, ამიტომ „ბობო“ მეუღლემ ამერიკიდან წამოსვლამდე მაჩუქა და საქართველოში წამოვიყვანეთ“



დეკორატიული აქსესუარი. ეზოს 600 კვადრატულ მეტრ ფართობში ადგილი საცურაო აუზისთვისაც დარჩა, რომელმაც სახლი უფრო გაამრავალფეროვნა და ოჯახის თითოეული წევრისთვის, განსაკუთრებით კი ლაკოს დისშვილებისთვის გაცილებით სახალისო და სასურველი გახადა.

რაც შეეხება სახლს, 400 კვადრატული მეტრი სამ სართულზე ნაწილდება. პირველი სართული მისაღებ ოთახს, სამზარეულოს, სააბაზანოსა და ტელევიზორის კუთხეს ეთმობა. მეორე სართულზე 4 საძინებელი ოთახი და სველი წერტილია განთავსებული. ხოლო მესამე სართულზე ჯერჯერობით აუთვისებელი ფართია. პირველი ჩანაფიქრით აქ სახლის კინოთეატრისა და გასართობი ოთახის მოწყობა იყო დაგეგმილი, თუმცა საბოლოო ჯამში ეზომ ყველა ისე მოხიბლა და მოაჯადოვა, რომ ბოლო სართულზე პატარა კინოთეატრის მოწყობა გადაიფიქრეს. მეგობრებთან ერთად საღამოობით ფილმების სანახავად ყველაზე კომფორტულ ადგილად ეზოს ღია სივრცე ითვლება. სახლის ინტერიერი სადა და მინიმალისტურია. თანამედროვე ავეჯთან ერთად სახლში ადგილი თბილისიდან ჩამოტანილი, ანტიკვარული ნივთებისთვისაც მოიძებნა. სამზარეულოს კედლებს ლაკოს სტუდენტობისდროინდელი, გუაშსა და აკვარელში შესრულებული პეიზაჟებიც ამშვენებს. სახლში ორი ბუხარია, თუმცა მწვადი მაინც ეზოში იწვება. წლების განმავლობაში ბუკიების დიდი ოჯახი კიდევ უფრო გამრავლდა და სტუმრების ოთახისთვის ადგილი აღარ დარჩა. ყოველ ზაფხულს დასასვენებლად აქ ლაკოს მშობლები, ბებია, და, და სიძე ბავშვებით (წყნეთის სახლში პირველი ზაფხული გაატარა ლაკოს მესამე დისშვილმა – ერთი თვის პეტრემ), ლაკო და მისი მეუღლე ჩამოდიან. წყნეთში ბუკიების მრავალრიცხოვან ოჯახთან ერთადაა წლისა და 7 თვის, სამეფო კარის „შიცუს“ ჯიშის ძაღლი სახელად „ბობო“, რომელიც ლაკოს მეუღლემ აშშ-ში აჩუქა.

წყნეთის საზაფხულო სახლი განსაკუთრებით უყვართ ოჯახის ახლობლებსა და ლაკოს მეგობრებს. ამ სახლს ბევრი პოზიტიური მოგონება უკავშირდება. აქ დაბადების დღის აღსანიშნავ წვეულებებსა და დღესასწაულებზე მეგობრები ხშირად იკრიბებიან. ლაკოს ბევრმა მეგობარმა ერთმანეთი პირველად სწორედ ამ სახლში ნახეს და შემდეგ დაწყვილდნენ კიდეც. აქაურობას უკავშირდება მოდის სფეროში გადადგმული ლაკოს პირველი ნაბიჯები. როცა პირველი სტუდია გახსნა, სწორედ აქ მოაწყო დიდი წვეულება, სადაც თავი მოიყარეს მთელმა ქართულმა ბომონდმა და საზღვარგარეთიდან მოწვეულმა უცხოელმა სტუმრებმა. ეს სახლი, მისი სივრცით, ტყის პანორამული ხედებითა და დადებითი აურით, ლაკო ბუკიასთვის ერთგვარი ინსპირაციაცაა. აქ ხშირად ებადება ახალი იდეები, თან ისვენებს, თან მუშაობს. ნიუ-იორკიდან საქართველოში დაბრუნებული, გაზაფხული-ზაფხულის 2017 წლის კოლექციაზე აქტიურად მუშაობს. სწავლის პარალელურად საკუთარი ბრენდის განვითარებაზე მუდმივად ფიქრობდა. „პარსონსის“ მოდის სკოლაში, მაგისტრატურის დამთავრების შემდეგ, საკუთარ ძლიერ მხარეებს მიხვდა და თავის ქსოვილსა და ე.წ. „პრინტებზე“ მუშაობას აქტიურად შეუდგა. მალე საკუთარი ახალი კოლექციით Mercedes Benz Georgia-ს მოდის კვირეულზე წარდგება და ახალ კოლექციას მილანის მოდის კვირეულის შოურუმზეც გაიტანს. ▶

ფოტო: [illegible]. დეკორი: LABORATORY MY HOME. ჩაცმულობა: LAKO BUKIA



SOLARIUM CLUB NATALI
"სოლარიუმ კლუბ ნატალი"
აღჭურვილია იტალიური
კომპანია Tecnosole_ს
უახლესი სოლარიუმის
აპარატებითა და That'so_ს
მომენტალური რუჯით.
რუჯის ლოსიონი
შესანიშნავი
ფერის საიდუმლო
Peau d'Or
Ibiza Black
Double Black
Infinite Black
ინტენსიური ფერებისა და
საუკეთესო კანის მოვლის
საშუალებების კომბინაცია
ანიჭებს კანს ბასაოცარ
ბრწყინვალებას.
236 30 00
კოსტავას ქ. #67
www.natali.ge
Tecnosole, That'so და Peau D'or_ის
ოფიციალური წარმომადგენელი
საქართველოში "ნატალი ჯგუფი"
მთავარი ოფისი:
სინცაძის ქ. #12
245 45 93
577 02 40 60
natali@natali.ge
www.spaconcept.ge
EST. 1995
NATALI GROUP
HEALTH AND BEAUTY
აქცია სოლარიუმის
აბონიმენტებზე
VOUCHER
50 წუთს + 25 წუთი საჩუქრად !
100 წუთს + 50 წუთი საჩუქრად !
ვაუჩერი ძალაშია 1 ნოემბრამდე
SOLARIUM CLUB NATALI

# თამუნა ინგოროყვა

**„დანა-ჩანგალიც კი არ მქონდა სახლში. ჭურჭლიდან დაწყებული, დეკორატიული ნივთებით დამთავრებული, ყველაფერი ახალი ვიყიდე და ყველა კუთხე ჩემი გემოვნებით მოვაწყე“**






სახლი, რომელშიც თამუნა ინგოროყვა მეუღლესთან და შვილებთან ერთად უკვე 10 წელია ცხოვრობს, თბილისში, ატენის ქუჩაზე მდებარეობს. დაახლოებით 200 კვ.მ. ფართობში გაერთიანებული მისაღები ოთახი, სამი საძინებელი, სამზარეულო და ორი სველი წერტილი, საცხოვრებელი კორპუსის ბოლო – მე-19 და მე-20 სართულებზე ნაწილდება. თამუნა ინგოროყვასთვის ეს სახლი საცხოვრებელი ფუნქციის გარდა სიმბოლურ დატვირთვასაც ატარებს, რადგან სანამ თამარაშვილის ქუჩაზე, პირველ საკუთარ მოდის სახლს გახსნიდა, სწორედ ამ სახლის კედლებში მოწყობილი სახელოსნოთი დაიწყო პირველი ბიზნესი და მოდის სფეროში პირველი ნაბიჯების გადადგმა.

როცა მეუღლესთან ერთად ჟენევიდან თბილისში საცხოვრებლად გადმოვიდა, სახლში ძირითადი სარემონტო სამუშაოები უკვე დასრულებული იყო. ბინაში მხოლოდ კოსმეტიკური რემონტი გააკეთეს და კედლები ღია, პასტელურ ფერებში შეაღებინეს. რაც შეეხება ინტერიერსა და ავეჯს, თამუნას სადა, მინიმალისტური სტილი



სახლის ნივთების შეძენისას თავად ბევრს არ ფიქრობს. მისთვის არ აქვს მნიშვნელობა ესა თუ ის ნივთი რამდენად განსაკუთრებული, ღირებული ან ძვირფასია. მთავარია განსხვავებული, უცხო და ორიგინალური იყოს.

## „სახლი ჩემი ბუდეა – გარემო, რომელშიც ყველაზე კომფორტულად ვგრძნობ თავს"



მოსწონს. დიზაინზე მთლიანად თავად იზრუნა. სახლის მოწყობის პერიოდში, ჩვენთან ძირითადად მდიდრული, იტალიური სტილის, ჩუქურთმებიანი ავეჯი იყიდებოდა. თანამედროვე, დაუმთავრებელი ეფექტის, ხის ფაქტურის ვინტაჟური ავეჯი საქართველოსთვის უცხო იყო და აქ არ იშოვებოდა, ამიტომ საყიდლებზე დუბაიში წავიდნენ. ყველა ნივთი – საყოფაცხოვრებოდან დაწყებული აქსესუარებით დამთავრებული, იქ შეიძინეს და სახლის ყველა კუთხე საკუთარი სტილისა და გემოვნების გათვალისწინებით მოაწყეს. იმ პერიოდში გატაცებული იყო ქართველი მხატვრების შემოქმედებით, ▶





„მთელი ბავშვობა ვოცნებობდი ბევრი ბიჭი მყოლოდა და შინ შესვლისას თავში სათამაშოები მომხვედროდა“



ამიტომ ინტერიერში განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ნახატებს. თუმცა ახლა „სიჭრელე“ ცოტა მობეზრდა და ახალ სახლში, სადაც საცხოვრებლად გადასვლას მალე აპირებს, კედლებს უფრო სადად და შიშვლად დატოვებს.

ხშირად უფიქრია, ესა თუ ის ადამიანი როგორ სახლში ცხოვრობს, როგორ აქვს მოწყობილი მისაღები, სამზარეულო და საძინებელი ოთახები. მიაჩნია, რომ სახლი ადამიანის ისტორიას ყველაზე კარგად ყვება და მისი მიხედვით პიროვნების ხასიათის, გემოვნებისა და სტილის ამოცნობა მარტივია. სახლის ნივთების შეძენისას თავად ბევრს არ ფიქრობს. მისთვის არ აქვს მნიშვნელობა ესა თუ ის ნივთი რამდენად განსაკუთრებული, ღირებული ან ძვირფასია. მთავარია განსხვავებული, უცხო და ორიგინალური იყოს. ერთი შეხედვით ხვდება, თითოეული ახალი ნივთი სახლის რომელ კუთხეს მოუხდება და რომელ ადგილს შეავსებს. მოსწონს, თუმცა არ უყვარს ძველი, ანტიკვარული ნივთების შინ მიტანა, რადგან მიაჩნია, რომ ძველი ნივთები ძველი მეპატრონის ხასიათს, განწყობასა და აურას ატარებენ.

ბავშვობის ოცნება აუხდა და ახლა სახლში სამ ვაჟთან ერთად ცხოვრობს. თუ სამივე შინაა, სახლში მაგიდები უკუღმა ტრიალდება, ავეჯი კედლებისკენ იწევა და საცხოვრებელი სივრცე, კარგ შემთხვევაში ფეხბურთის მოედანს, ცუდში კი ნამდვილ ბრძოლის ველს ემსგავსება. ერთი ფეხბურთს თამაშობს, მეორე კალათბურთს, მესამე კი მეკობრის ფორმით დარბის. კედლები ზანზარს, ნახატები ჩამოვარდნას, ხოლო ჭაღები ჭრიალს იწყებენ. ბიჭები სახლში გორგოლაჭებითა და ველოსიპედებით გადაადგილებასაც ცდილობენ. ასეთია რეალურად თამუნა ინგოროყვას სახლი, სადაც ბავშვების დაძინებამდე სიწყნარე არასოდესაა. სწორედ ამიტომ, შინ მისი საყვარელი კუთხე და ყველაზე მყუდრო ადგილი პირადი საძინებელი ოთახია. მხოლოდ იქ ახერხებს დაისვენოს და ხმაურს გაერიდოს.

აქტიური შემოქმედებითი საქმიანობისა და დატვირთული ცხოვრების ტემპიდან გამომდინარე, სახლი თამუნა ინგოროყვასთვის განტვირთვისა და დასვენების საუკეთესო საშუალებაა. ცდილობს სამსახურის საქმე სახლის კარამდე არასოდეს მიიტანოს, თუმცა ხატვისთვის, წიგნების კითხვისთვის, ჟურნალების დათვალიერებისა და მსოფლიო მოდის უახლესი ტენდენციების გაცნობისთვის სამსახურში დრო არასოდეს რჩება, ამიტომ შემოქმედებასა და ახალ კოლექციებზე ფიქრი სახლის მშვიდ გარემოშიც მუდმივად გრძელდება. სახლის მყუდრო ატმოსფეროში ხშირად იბადება ახალი იდეები და ესკიზები, რომლებიც სამსახურში ფურცლიდან ნაჭერზე გადადის, სხვადასხვა ფორმას იძენს და შემდეგ ქართველ და უცხოელ (სამოსი წლევანდელი კოლექციიდან ბევრმა ცნობილმა ადამიანმა ჩაიცვა – Linda Rodin, Doutzen Kroes, Edita Vilkeviciute, Lion Babe) ქალბატონთა გარდერობებს ამშვენებს.

**ტექსტი**: ზურა მახარაშვილი. **ფოტო**: იკა პირველი. **ყვავილები**: WINGS FLOWERS. **ჩაცმულობა**: TAMUNA INGOROKVA


1890
დაარსდა – ESTABLISHED
BORJOMI®
BORJOMI
ბორჯომი






# საქართველო
## მოჭადრაკეთა მსოფლიო ასპარეზზე

აზერბაიჯანის დედაქალაქში **42-ე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა** ჩატარდა, სადაც გუნდური მედლები, სამწუხაროდ, ქართველი ოლიმპიელების გარეშე გადაინაწილეს. მიუხედავად იმისა, რომ ქალთა და ვაჟთა ნაკრებებმა პირველი ტური გამარჯვებებით დაიწყეს, საბოლოოდ მაინც დამარცხდნენ და 24-ე ადგილი დაიკავეს.

რაც შეეხება ლიდერთა ვინაობას, **პირველი ადგილი ამერიკელებმა დაიკავეს**. მეორე პოზიცია უკრაინას ერგო, მესამე კი – რუსეთს. ხუთეულში ინდოეთი და ნორვეგიაც შევიდნენ. ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ მოჭადრაკეები დაფების მიხედვით მცირე მედლებით დააჯილდოვეს. პირველ დაფაზე ოქროს ჯილდო **ბაადურ ჯობავას** ერგო. ქალებში კი მცირე ვერცხლის მედალი მეოთხე დაფაზე **ნინო ბაციაშვილმა** დაიმსახურა.

აღსანიშნავია, რომ ბაქოში გამართული საჭადრაკო ოლიმპიადის ერთ-ერთ სტენდზე უკვე განთავსებულიყო იყო ინფორმაცია ჭადრაკის ამ უდიდესი მოვლენის ბათუმში ჩატარების შესახებ. შესაბამისად, უკვე დადასტურებულია, რომ 2018 წელს ჭადრაკის 44-ე მსოფლიო ოლიმპიადას სწორედ აჭარა უმასპინძლებს.

**ტექსტი:** ელენე მარგალიტაშვილი






აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი და პირველი ლედი მეჰრიბან ალიევა, ქალიშვილებთან, ლეილა და არზუ ალიევებთან ერთად

ამავდროულად, ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში **8-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობა** დასრულდა, რომელშიც საქართველოს 24 წარმომადგენელი მონაწილეობდა.

18-წლამდელებში მოასპარეზე **ნინო ხომერიკი** თავიდანვე გამოკვეთილი ლიდერი იყო და ეს პოზიცია ფინიშამდე შეინარჩუნა. ქართველი გოგონა ბოლო ტურში რუს **ირინა დროგოვოზს** დაუზავდა, რითაც ევროპის ჩემპიონის ტიტული უკვე მეორედ დაიმსახურა. ***„ეს საოცარი შეგრძნება იყო“***, – გაიხსენა HELLO!-სთან საუბრისას ნინომ, – ***„ევროპისა და მსოფლიო ტურნირებისთვის მთელი წლის განმავლობაში ვემზადებოდი – როგორც გონებრივად, ისე ფიზიკურად. ვცდილობდი მაქსიმალურად გამომემუშავებინა მოჭადრაკისთვის საჭირო ნებისყოფა და გამძლეობა***“.

ნინო ხომერიკი საქართველოს სახელით რუსეთშიც იასპარეზებს. ***„მსოფლიო ჩემპიონატზე, 18 წლამდე გოგონათა შორის, რეიტინგით პირველი ნომერი ვარ. შევეცდები საქართველო ამჯერადაც ვასახელო***“, – იმედოვნებს ევროპის ორგზის ჩემპიონი, – ***„სწორედ ამ ჩემპიონატის შედეგი განსაზღვრავს ჩემს სამომავლო გეგმებსა და სატურნირე კალენდარს***“.




18-წლამდელებში მოასპარეზე ნინო ხომერიკი თავიდანვე გამოკვეთილი ლიდერი იყო და ეს პოზიცია ფინიშამდე შეინარჩუნა




ევროპის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტი, ზურაბ აზმაიფარაშვილი ჭადრაკში ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატს დაესწრო

# 30 დღე

## ახალი ამბების დასტა



**კეიტ მიდლტონი** ყველაზე გემოვნებიან ბრიტანელად დაასახელეს. სააგენტო Rakuten Marketing-ის გამოკითხვამ, რომლის შედეგებიც ლონდონის მაღალი მოდის კვირეულზე გახდა ცნობილი, ეს შედეგი უკვე მეორედ დააფიქსირა. როგორც აღმოჩნდა, ბრიტანელ ქალბატონთა 29% ცდილობს, რომ ჰერცოგინიას გემოვნება ყველა საკითხში გაითვალისწინოს. მიდლტონის სტილში შეკერილი კაბები კი ისევ რჩება შოპინგის მოყვარულთა მთავარ ფავორიტად.



**გიორგი მარგველაშვილი** NATO-ს გენერალურ მდივანს შეხვდა და მასთან შავი ზღვის სტრატეგიულ მნიშვნელობასა და საქართველოს ევროპული მომავლის შესახებ ისაუბრა. „NATO მოუწოდებს საქართველოს, გააღრმავოს რეფორმების თვალსაზრისით მიღწეული პროგრესი“, – აღნიშნა იენს სტოლტენბერგმა ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სხდომაზე, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის სასახლეში უკვე მეოთხედ გაიმართა.



**ალექსანდერ ვერშბოუ** ოქროს საწმისის ორდენით დასაჩუქრდა. NATO-ს გენერალური მდივნის მოადგილეს ეს ჯილდო საქართველოს სუვერენიტეტის განმტკიცებისთვის, NATO-საქართველოს ურთიერთობის გაღრმავებისა და საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის გადაეცა. „ამაყი ვარ, რომ საქართველოს, თქვენი სახით, ასეთი განსაკუთრებული მეგობარი ჰყავს“, – აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა.



**შავი ზღვის საერთაშორისო ფოლკლორის ფესტივალი** დასკვნითი გალაკონცერტით დასრულდა. გრანდიოზულ ღონისძიებას შეკვეთილში Bleack Sea Arena-მ უმასპინძლა. სტუმრებმა მსმენელებს ფოლკლორის უნიკალური ნიმუშები წარუდგინეს. კონცერტები 1, 2 და 3 სექტემბერს, Chek in Georgia-ს ფარგლებში გაიმართა და მათში მონაწილეობა 4 ქვეყნის 24-მა ანსამბლმა და 400-მდე შემსრულებელმა მიიღო.

**ზვიად გოგოჭური** რიოს პარაოლიმპიური თამაშების ოქროს მედალოსანი გახდა. ეს საქართველოს ისტორიაში პირველი პრეცედენტია. 90 კგ წონით კატეგორიაში ქართველმა ძიუდოისტმა უკრაინელი ალექსანდრ ნაზარენკო დაამარცხა და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. „მისი შემართება და თავდადება ნებისმიერი ქართველისთვის ამაღელვებელი და საამაყოა“, – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა სპეციალურ მილოცვაში.





**NNEKA** თბილისს ეწვია და მსმენელებს დაუვიწყარი, ემოციებით სავსე კონცერტი უსახსოვრა. Walking to Tbilisi-ს ფარგლებში, ნიგერიელმა მომღერალმა სიმღერები 2015 წლის ალბომიდან My Fairy Tales შეასრულა. ფილარმონიის სცენაზე რამდენიმე კომპოზიცია ექსკლუზიურადაც გაჟღერდა. Walking-ის ავტორმა გულშემატკივრებს პირობა მისცა, რომ თბილისს მომავალში აუცილებლად დაუბრუნდება.



**ანუკი არეშიძე** კიევში გამართულ Mercedes-Benz Kiev Fashion Days-ს ესტუმრა. მოდის კვირეულზე, რომელიც 1-4 სექტემბერს გაიმართა, ქართველმა დიზაინერმა გაზაფხული-ზაფხული 2017-

**ფოტო:** ელენე მარგალითაშვილი



# ნიუ-იორკის მოდის კვირეულის
## მთავარი აქცენტები

ნიუ-იორკმა პლანეტის წამყვანი დიზაინერების დეფილეებს უმასპინძლა. მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული მოდის კვირეული **MARC JACOBS**-ის ჩვენებით დასრულდა, რომელიც ბრჭყვიალა ნაჭრებით, მეტალის დეტალებით, დაპრინტული პიჯაკებითა და ფერადი ყვავილებით გაფორმებული კაბებით გამოირჩეოდა. 11-წუთიანი ჩვენების მთავარი გმირები **კენდალ ჯენერი, ბელა ჰადიდი, ადრიანა ლიმა და კარლი კლოსი** იყვნენ.

რაც შეეხება კვირეულში მონაწილე სხვა დიზაინერებს, **RALPH LAUREN**-ის ელეგანტური და დახვეწილი კოლექცია უმეტესად შავ-თეთრ ფერებში იყო გადაწყვეტილი. **MICHAEL KORS**-ის შემოქმედება კი 40-იანი და 80-იანი წლების მოდას მოგაგონებდათ. მისი მთავარი აქცენტი ქალური სილუეტები და ქამრით გამოკვეთილი წელი იყო. **MARCHESA**-მ, რომელიც წითელი ხალიჩის ფავორიტად ითვლება, წელს უპირატესობა პასტელის ფერებს მიანიჭა და ბროლის თვლებით გაწყობილი კაბები ბუმბულებითა და ყვავილებით გააფორმა.

ნიუ-იორკის მოდის კვირეულზე უპრეცედენტო შემთხვევა დაფიქსირდა. ისტორიაში პირველად, ინდონეზიელმა **ანიეზა ჰასიბუანიმ** მუსლიმური სამოსი და ჰიჯაბი წარმოადგინა და დამსწრეთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

გამორჩეული კოლექციით წარდგა **ვიქტორია ბექჰემიც**, რომელმაც მოდელები აბრეშუმისა და ხავერდის ქსოვილებით შექმნილ სამოსში გამოაწყო და სტუმრები მწვანე და სტაფილოსფერი ნამუშევრებით მოხიბლა.



ის კოლექცია წარადგინა. პოდიუმზე ANOUKI-ს 30-მდე ნამუშევარი გამოჩნდა და დიდი მოწონება დაიმსახურა. მისი ახალი კოლექცია, რომელიც დახვეწილი ფერებითა და ლაბადების მრავალფეროვნებით გამოირჩევა, Vogue-ის ვებგვერდზეცაა განთავსებული.

**გიორგი ნადიბაიძე** სოჭში მიმდინარე „ახალი ტალღის“ მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა. ფინალში, სადაც მონაწილეებს სპეციალურად ამ კონკურსისთვის დაწერილი სიმღერა უნდა შეესრულებინათ, მომღერალმა მაია კაჭკაჭიშვილის Now I Feel The Love იმღერა. კონკურსის პირველი ადგილი იტალიელმა ვოლტერ რიჩიმ და ხორვატიელმა დინომ გაინაწილეს, მეორე პოზიცია კი უკრაინელ გალინა ბეზრუკს ერგო.



**დედა ტერეზა** კათოლიკურმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. ცერემონიალი პაპმა ფრანცისკმა რომში, წმინდა პეტრეს მოედანზე გამართა. მას ათასობით ადამიანი დაესწრო. შეგახსენებთ, რომ დედა ტერეზა ალბანელი კათოლიკე მონაზონი იყო, რომელმაც სახელი ქველმოქმედებით გაითქვა და 40 წლის განმავლობაში თავი ღარიბთა, დავრდომილთა და ობოლთა მოვლას მიუძღვნა.

**SPOTLIGHT 2016** სრული ანშლაგით ჩატარდა. ღონისძიება „რადისონ ბლუ ივერიაში“ გაიმართა, რომელმაც საუკეთესო სპიკერებს უმასპინძლა. 450 სტუმრის წინაშე 14 მონაწილე წარდგა. აუდიტორიის გადაწყვეტილებით, გამარჯვება და Spotlight 2016-ის საუკეთესო სპიკერის წოდება ალექსანდრე კაცმანმა მოიპოვა. ღონისძიება Spotlight-ის სპონსორებმა და წინა წლის გამარჯვებულმა, დავით გოგიჩაიშვილმა შეაფასეს.



**თორნიკე შენგელია** „ევრობასკეტის” შესარჩევი ეტაპის მეხუთე ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების ფორვარდმა 28 წუთში 31 ქულა, 6 მოხსნა, 3 პასი, 2 ჩაჭრა და ერთი დაფარება მიითვალა. მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით, მას ტურში ბადალი არ ჰყავდა.



ხელის მოწერის ცერემონიალი გლიცინიებით გაფორმებული თაღების ქვეშ გაიმართა. შეკითხვას, იყვნენ თუ არა თანახმა, რომ დარჩენილი ცხოვრება ერთად გაეტარებინათ, ორივე მათგანმა აციმციმებული და გაბრწყინებული თვალებით უპასუხა: „დიახ!“

## თეთრი, სადა და დახვეწილი ქორწილის მთავარი გმირი

# ანიტა რაჭველიშვილი

## ყველაზე ბედნიერი დღის ემოციურ, მნიშვნელოვან და ექსკლუზიურ დეტალებს გაგვანდობს

**„ოთო ჩემ გვერდით იდგა და ტიროდა. ზუსტად ვიცი, რომ დედა და მამაც ტიროდნენ. ყველაზე ბედნიერი ვიყავი იმიტომ, რომ ცოლად ჩემთვის უსაყვარლეს და საოცნებო მამაკაცს მივყვებოდი!“**



„არ დამავიწყდება მზის ჩასვლისას ხელის მოწერის ცერემონიალი – მდინარის ხედი, მზის სხივები, გარშემორტყმული მთები და არმაზის ულამაზესი ვილა, სადაც თავი ყველაზე საყვარელ ადამიანებს მოეყარათ“

28 აგვისტო არმაზში მზიანად გათენდა. ყველა დეტალში იგრძნობოდა, რომ ეს დღე კალენდარში განსაკუთრებული ფერებით ჩაეწერებოდა. მიზეზიც ცნობილი იყო: ანიტა თავის რჩეულთან – ოთო მაისურაძესთან ერთად, ახალ, კიდევ უფრო ბედნიერ და მრავალფეროვან ცხოვრებას იწყებდა. HELLO!-მ გადაწყვიტა, მკითხველებისთვის მეცოსოპრანოს ბედნიერების ყველაზე ლამაზი და ექსკლუზიური დეტალები გაეზიარებინა...

საქორწილო სამზადისი, რა თქმა უნდა ადრევე დაიწყო. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალის – საპატარძლო კაბის საკითხი მარტივად გადაწყდა. „კაბის შეკერვა აკასთან გადავწყვიტე, იმიტომ, რომ მისი ტანსაცმელი ძალიან მიყვარს და ეს ჩემს გარდერობსაც ეტყობა“, – გაგვიმხილა პატარძალმა, – „ძალიან ვენდობი მის გემოვნებას და ზუსტად ვიცოდი, რომ იდეალური კაბა გამოვიდოდა. პირველ მოზომვაზევე დავრწმუნდი, რომ არჩევანში არ შევმცდარვარ“. მაქმანებიან აბრეშუმის კაბას ნამდვილად ეტყობოდა, რომ მასში, მარგალიტებსა და ბროლის თვლებთან ერთად, მთელი გული და სული იყო ჩაქსოვილი. იმასაც ▶



**Art-Flor Design-მა ყველაფერი თეთრი ყვავილებით გააფორმა. სწორედ ასეთი იყო ანიტას საოცნებო ქორწილი – თეთრი, დახვეწილი და ჰარმონიული. სილამაზეს ისიც ამძაფრებდა, რომ გარემოს უკვე ეტყობოდა ზაფხულის ბოლო დღეებისა და თითქმის მოსული შემოდგომის სიმყუდროვე და სითბო.**



## „ახლაც ზუსტად ისე ვართ, როგორც სულ პირველ დღეს ვიყავით. იმედია, ეს არასოდეს შეიცვლება“

შეატყობდით, რომ მეგობრის საქორწილო ჩაცმულობაზე ზრუნვისას, აკა ნანიტაშვილმა მოდის ყველა თანამედროვე ტენდენცია გაითვალისწინა. პატარძალს დედა სიდონიას ხელნაკეთი ულამაზესი თავსამკაულიც ამშვენებდა.

იშვიათად შეხვდებით ანიტაზე მშვიდ პატარძალს. გეგონებოდათ არაფერი ანერვიულებდა. პრინციპში, ასეც იყო – ყველაფერზე ხომ მისმა მეგობრებმა იზრუნეს?! დღის მთავარი გმირების სიმშვიდე, სიყვარული და ჰარმონია ირგვლივაც იფრქვეოდა და თითოეულ სტუმარზე გადამდებად მოქმედებდა. რასაკვირველია, ასეთმა აურამ მთელ საღამოზე მოახდინა გავლენა და ყველა, ვინც იქ იყო, სასიამოვნო ემოციებით აივსო.

ქორწილის მთავარი ორგანიზატორი Georgian Events-ი გახლდათ. სწორედ ამ გუნდის წევრებმა დაგეგმეს ყველაფერი ისე, რომ ნეფე-დედოფლისთვისაც და სტუმრებისთვისაც საღამო დაუვიწყარი გამოსულიყო. ყვავილების მრავალფეროვნებაზე Art-Flor Design-მა იზრუნა. სუფრებს კი „სტრადას“ ცნობილი შეფმზარეულის – აიზეკ კორეასა და მისი კოლეგების მიერ დამზადებული უგემრიელესი კერძები ამშვენებდა. „ჩემმა საუკეთესო მეგობარმა ეკა ბერაძემ უამრავი ადამიანი ჩართო ქორწილის სამზადისში“, – აღნიშნა ანიტამ, – „ყველა გვერდში დაგვიდგა და სხვადასხვა საკითხის მოგვარებაში დაგვეხმარა“.



„ოთო ჩემ გვერდით იდგა და ტიროდა. ზუსტად ვიცი, რომ დედა და მამაც ტიროდნენ. ყველაზე ბედნიერი ვიყავი იმიტომ, რომ ცოლად ჩემთვის უსაყვარლეს და საოცნებო მამაკაცს მივყვებოდი!“

ეკა ბერაძე პატარძლის მეჯვარის მოვალეობებს მართლაც პირნათლად ასრულებდა. სწორედ მან უზრუნველყო, სუფრა ქორწილივით ქართულ-ევროპული გამოსულიყო: „მე და ანიტამ ყველაფერი ერთად დავგეგმეთ და გადავწყვიტეთ წვეულებაზე „სტრადას“ მენიუ გამოგვეყენებინა. არატრადიციულად ქართული სუფრა მრავალფეროვანი თევზეულით, ცივი სალათებითა და ხორცის კერძებით გავაწყვეთ“. მეჯვარემ ისიც გაგვანდო, რომ პატარა კექსები (იგივე Cupcake-ები), რომლებიც საქორწილო ტორტს უმშვენებდნენ გვერდს, სწორედ „სტრადას“ კულინარების ნახელავი იყო. რაც შეეხება ტორტს, იგი „ბისკოტომ“ ანიტასთვის სპეციალურად გამოაცხო და პატარძალს განსაკუთრებულ საჩუქრად უსახსოვრა. მოწყურებულ სტუმრებს „ბორჯომი“ უმასპინძლდებოდა. ამ ყველაფერს კი უფრო აგემრიელებდა სწორედაც შესაფერისი სახელის მქონე შამპანური „მაესტრო“.



ქორწილის მთავარი ორგანიზატორი Georgian Events-ი გახლდათ. სწორედ ამ გუნდის წევრებმა დაგეგმეს ყველაფერი ისე, რომ ნეფე-დედოფლისთვისაც და სტუმრებისთვისაც საღამო დაუვიწყარი გამოსულიყო.

ვიდრე სტუმრები სადღესასწაულოდ მორთულ ეზოში მოიყრიდნენ თავს, წყვილი მცხეთის პატარა ეკლესიისკენ გაემართა. ჯვრისწერა ქართული ტრადიციების სრული დაცვით ჩატარდა. მამა ილიამ ანიტასა და ოთოს ახლადშექმნილი ოჯახი აკურთხა და წყვილს ტკბილი თანაცხოვრება უსურვა. „ჩვენი ჯვრისწერა ყველაზე ემოციური იყო. ოთო ჩემ გვერდით იდგა და ტიროდა. ზუსტად ვიცი, რომ დედა და მამაც ტიროდნენ“, – აღნიშნა გულაჩუყებულმა პატარძალმა, – ▶



მაქმანებიან აბრეშუმის კაბას ნამდვილად ეტყობოდა, რომ მასში, მარგალიტებსა და ბროლის თვლებთან ერთად, მთელი გული და სული იყო ჩაქსოვილი. იმასაც შეატყობდით, რომ მეგობრის საქორწილო ჩაცმულობაზე ზრუნვისას, აკა ნანიტაშვილმა მოდის ყველა თანამედროვე ტენდენცია გაითვალისწინა. პატარძალს დედა სიდონიას ხელნაკეთი ულამაზესი თავსამკაულიც ამშვენებდა

**„ემოციური მომენტი დადგა, როცა ეზოში ფეხის შედგმისთანავე, ჩემმა მეუღლემ სიმღერა დაიწყო. გვერდს ანსამბლ „მძლევარის“ წევრები უმშვენებდნენ“**





„ყველაზე ბედნიერი ვიყავი, იმიტომ, რომ ცოლად ჩემთვის უსაყვარლეს და საოცნებო მამაკაცს მივყვებოდი!“ არანაკლებ შთამბეჭდავი იყო ხელის მოწერის ცერემონიალიც, რომელიც გლიცინიებით გაფორმებული თაღების ქვეშ გაიმართა. შეკითხვას, იყვნენ თუ არა თანახმა, რომ დარჩენილი ცხოვრება ერთად გაეტარებინათ, ორივე მათგანმა აციმციმებული და გაბრწყინებული თვალებით უპასუხა: „დიახ!“

ემოციები და ცრემლები ჯერ კიდევ წინ იყო. იმ მომენტში, როცა ჯვრისწერიდან დაბრუნებულმა ანიტამ ეზოში პირველი ნაბიჯი შედგა, ქართული სიმღერის ხმა გაისმა. გაოცებულ და დაბნეულ პატარძალს რამდენიმე წამი დასჭირდა სიტუაციაში გასარკვევად და მისახვედრად, რომ მთავარი სოლისტი მისი მეუღლე იყო! „ოთოს ქართული ხალხური სიმღერა პირველად მოვისმინე“, – გაგვიმხილა გაოცებულმა დედოფალმა, – „ძალიან, ძალიან ემოციური მომენტი იყო! გვერდს მისი მეგობრები უმშვენებდნენ ანსამბლ ▶





სტუმრებმა ეზოში გადაინაცვლეს. ყველაფერი თეთრი ვარდებით, გიფსოფილებით, ორქიდეებით, ქრიზანთემებით, ჰორტენზიებითა და გლადიუსებით იყო გაფორმებული. აუზშიც თეთრი ყვავილები ტივტივებდა.











სადღესასწაულო სუფრას, ნიკოლოზ რაჭველი „დირიჟორობდა“. კეთილისმსურველები სცენაზე ცალ-ცალკე ადიოდნენ და ნეფე-პატარძალს თბილი სიტყვებით ულოცავდნენ დაოჯახებას.





„ემოციური კულმინაცია ოთოსა და მეჯვარეების ცეკვა იყო! გაგიჟებული ვუყურებდი და ემოციებს ვერ ვმალავდი! გავოცდი, რა გულმოდგინედ ჰქონდათ ყველაფერი გათვლილი და მომზადებული. თან ამას ჩემს გასაბედნიერებლად აკეთებდნენ!“



„მძლევარიდან“. ასეთი ლამაზი ნამღერი იშვიათად მომისმენია“.

სიურპრიზები რასაკვირველია ამით არ დასრულებულა. პატარძალმა კიდევ ერთი ორიგინალური საჩუქარი მიიღო. მაშინ, როცა ამას არავინ ელოდა, ბიონსეს All The Single Ladies გაისმა და ოთომ და მისმა მეგობრებმა ცეკვა დაიწყეს! სიმღერების მოულოდნელ ცვლილებასთან ერთად, იცვლებოდა მოძრაობებიც. „გაგიჟებული ვუყურებდი და ემოციებს ვერ ვმალავდი! გავოცდი, რა გულმოდგინედ ჰქონდათ ყველაფერი დადგმული და მომზადებული. და ამას იმისთვის აკეთებდნენ, რომ მე გავებედნიერებინე! შემიძლია დავადასტურო, რომ ყველაზე, ყველაზე იღბლიანი პატარძალი ვარ“, – გაგვიზიარა ანიტამ და მეუღლეს თვითონაც არ ჩამორჩა. საპასუხო ცეკვა-სიმღერა სიძეს პატარძლის მეგობრებმაც მიუძღვნეს. სადღესასწაულო განწყობაც უფრო და უფრო მატულობდა...

სტუმრებმა ეზოში გადაინაცვლეს. ყველაფერი თეთრი ვარდებით, გიფსოფილებით, ორქიდეებით, ქრიზანთემებით, ჰორტენზიებითა და გლადიუსებით იყო გაფორმებული. აუზშიც თეთრი ყვავილები ტივტივებდა. სწორედ ასეთი იყო ანიტას საოცნებო ქორწილი – თეთრი, სადა, დახვეწილი და ჰარმონიული. სილამაზეს ისიც ამძაფრებდა, რომ გარემოს უკვე ეტყობოდა ზაფხულის ბოლო დღეებისა და თითქმის მოსული შემოდგომის სიმყუდროვე და სითბო. ყვითელი ფოთლების სეზონი პატარძლის თაიგულშიც მოჩანდა – მასში, თეთრ ვარდებსა და ალსტრომერიებთან ერთად, ასკილის ტოტებსა და კენკრასაც შენიშნავდით. მოკლედ, როგორც ბუნებას ეპარება ხოლმე შემოდგომა, ისე შემოიჭრა არმაზში გამართული ქორწილის დეკორშიც.



„დღის მთავარი გმირების პოზიტივი და სიყვარული ირგვლივაც იფრქვეოდა და თითოეულ სტუმარზე გადამდებად მოქმედებდა. რასაკვირველია, ასეთმა აურამ მთელ საღამოზე მოახდინა გავლენა და ყველა, ვინც იქ იყო, სასიამოვნო ემოციებით აივსო“



სადღესასწაულო სუფრას, არც მეტი არც ნაკლები ნიკოლოზ რაჭველი „დირიჟორობდა“. განსხვავებული სტილით წარმოთქმული სადღეგრძელოები და კეთილი სურვილები ისეთივე ტკბილი და სასიამოვნო იყო, როგორც სტუმრებისთვის განკუთვნილი „ბადაგონის“ ღვინო და „კამპას“ წვენები. კეთილისმსურველები სცენაზე ცალ-ცალკე ადიოდნენ და ნეფე-პატარძალს თბილი სიტყვებით ულოცავდნენ დაოჯახებას. ალბათ არ გაგიკვირდებათ, როცა გეტყვით, რომ საღამო მუსიკალურად წინასწარი დაგეგმვისა და შეთანხმებების გარეშე გაფორმდა – ანიტას თითოეულმა საპატიო სტუმარმა თავისი წილი კომპოზიცია უსახსოვრა. მათ შორის დათუნა ალადაშვილი, ნინო ქათამაძე, სულხან ჭაიანი, ნინო მაჩაიძე, ოთარ ჯორჯიკია, ნატალია ქუთათელაძე და მარიამ როინიშვილიც იყვნენ.

დღესასწაული ულამაზესმა ფეიერვერკმა დააგვირგვინა. თაზო გოგიაშვილმა, კომპანია FINA-ის სახელით, პირადად იზრუნა იმაზე, რომ საღამოს კულმინაცია ისეთივე შუშხუნა და ბრწყინვალე ყოფილიყო, როგორიც ნეფე-პატარძლის გადამდები ბედნიერება გახლდათ. იმ მომენტში, ყველა, ვინც ამ სიხარულს იზიარებდა, გრძნობდა, რომ ანიტასა და ოთოს ძალიან დიდი სიყვარულითა და ბედნიერებით სავსე ცხოვრება ელოდათ.

HELLO! ანიტას პარიზშიც დაუკავშირდა, სადაც წყვილი ქორწილის შემდეგ გაემგზავრა...

**ანიტა, თქვენი ქორწილიდან გარკვეული დრო გავიდა. როგორ გახსენდებათ ის საღამო?**

ა.რ. ქორწილში მიღებული ემოციები და შთაბეჭდილებები არასოდეს დამავიწყდება! ყველაზე ძვირფასი ადამიანებით ▶

## „ქორწილში მიღებული ემოციები და შთაბეჭდილებები არასოდეს დამავიწყდება! ყველაზე ძვირფასი ადამიანებით ვიყავი გარშემორტყმული და საოცრად ლამაზი, იდეალურად ორგანიზებული საღამო იყო“

საღამო მუსიკალურად წინასწარი დაგეგმვისა და შეთანხმებების გარეშე გაფორმდა – ანიტას თითოეულმა საპატიო სტუმარმა თავისი წილი კომპოზიცია უსახსოვრა. მათ შორის დათუნა ალადაშვილი, ნინო ქათამაძე, სულხან ჭაიანი, ნინო მაჩაიძე, ოთარ ჯორჯიკია, ნატალია ქუთათელაძე და მარიამ როინიშვილიც იყვნენ.





ულამაზესი ფეიერვერკის წყალობით, საღამოს კულმინაცია ისეთივე შუშხუნა და ბრწყინვალე იყო, როგორიც ნეფე-პატარძლის გადამდები ბედნიერება.





**ამ მომენტში, ყველა, ვინც ამ სიხარულს იზიარებდა, გრძნობდა, რომ ანიტასა და ოთოს ძალიან დიდი სიყვარულითა და ბედნიერებით სავსე ცხოვრება ელოდათ**



ვიყავი გარშემორტყმული და საოცრად ლამაზი, იდეალურად ორგანიზებული საღამო იყო. ამისთვის დიდი მადლობა უნდა გადავუხადო თეო ჯორბენაძეს, ნინო ნახუცრიშვილსა და ჩემს მაესტროს – ნიკოლოზ რაჭველს. ზოგადად, ძალიან დიდი მადლობა სათითაოდ ყველას, ვინც მე და ოთოს გვერდში დაგვიდგა და ამ საოცნებო ქორწილის განხორციელებაში დაგვეხმარა. მადლობა ჩემს დედიკოსა და მამიკოს, ოთოს ულამაზეს ოჯახსა და ჩემს საოცარ დას! განსაკუთრებულად უნდა გამოვყო ჩემი ეკუნაც – ეკა ბერაძე საუკეთესო ადამიანი, მეგობარი და ორგანიზატორია!

**მაინც რომელი მომენტები გახსენდებათ ყველაზე ემოციურად?**

**ა.რ.** ჩვენი ჯვრისწერა ყველაზე ემოციური იყო. ოთო ჩემ გვერდით იდგა და ტიროდა. ზუსტად ვიცი, რომ დედა და მამაც ტიროდნენ. ყველაზე ბედნიერი ვიყავი იმიტომ, რომ ცოლად ჩემთვის უსაყვარლეს და საოცნებო მამაკაცს მივყვებოდი! ასეთივე ემოციური მომენტი დადგა მაშინ, როცა ეზოში ფეხის შედგმისთანავე, ჩემმა მეუღლემ სიმღერა დაიწყო. ოთო პირველად მღეროდა ხალხურად! გვერდს ანსამბლ „მძლევარის" წევრები უმშვენებდნენ და მერწმუნეთ – ასეთი ლამაზი ნამღერი იშვიათად მომისმენია. ემოციური კულმინაცია სიძისა და მეჯვარეების ცეკვა იყო! გაგიჟებული ვუყურებდი და ემოციებს ვერ ვმალავდი! გავოცდი, რა გულმოდგინედ ჰქონდათ ყველაფერი გათვლილი და მომზადებული. თან ამას ჩემს გასაბედნიერებლად აკეთებდნენ!

**აშკარა იყო, რომ სტუმრები გარემოთიც აღფრთოვანებულები იყვნენ...**

**ა.რ.** ქორწილში მართლა საოცარი გარემო დაგვხვდა. ყველგან ყვავილებს დაინახავდით. წვეულება ზუსტად ისევე სადად და ლამაზად იყო გაფორმებული, როგორც მინდოდა. არ დამავიწყდება მზის ჩასვლისას ხელის მოწერის ცერემონიალი – მდინარის ხედი, მზის სხივები, გარშემორტყმული მთები და არმაზის ულამაზესი ვილა, სადაც თავი ჩემს ყველაზე საყვარელ ადამიანებს მოეყარათ...

**რაც შეეხება ორგანიზაციულ საკითხებს - ყველაზე მეტად რომელმა დეტალმა მოგხიბლათ?**

**ა.რ.** უგემრიელესი საჭმელი იყო! „სტრადას" სამზარეულო ყოველთვის მომწონდა და ჩემი აზრით სწორად ავირჩიე. სუფრაც, ისევე როგორც ქორწილი, ქართული და ევროპული სტილის ნაზავი გახლდათ. საკვებშიც და დიზაინშიც ყველაფერი იდეალურად იყო შერწყმული! ძალიან მომწონდა ჩემი კაბა, რომელიც აკა ნანიტაშვილმა შემიკერა. მისი საოცარი კაბები კონცერტებზეც არაერთხელ ჩამიცვამს და მიხარია, რომ ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დღეს სწორედ აკას კაბა მეცვა. ასეთივე ლამაზი იყო დედა სიდონიას ხელნაკეთი თავსამკაულიც, რომელიც სპეციალურად ჩემთვის დაამზადა. არც კი ვიცი, ამ ადამიანებს მადლობა როგორ გადავუხადო. ზოგადად, ძალიან დიდი მადლობა ყველას, ვინც ასე გაგვანებივრა განსაკუთრებული საჩუქრებით.

**როგორი შეგრძნებაა, როცა გაიაზრებთ, რომ ახალი ცხოვრება ოფიციალურად დაიწყო?**

**ა.რ.** ჩვენს ურთიერთობაში ისეთი არაფერი მომხდარა, ცვლილებები მძაფრად რომ გვეგრძნო. ახლაც ზუსტად ისე ვართ, როგორც სულ პირველ დღეს ვიყავით. იმედია, ეს არასოდეს შეიცვლება.

ტექსტი: ელენე მარგალიტაშვილი. ფოტო: იკა კირველი.



# ბისკოტო Biscoto





მის: პეკინის გამზ. №5, რობაქიძის ქ. №7, ხიზანიშვილის ქ. №39,
ვარკეთილი, 17 შინდისელი გმირის ქ. №20
ტელ: (+995) 595-12-60-38

# თამთა გოდუაძე და პარის ლაცისი
## გატაცება თუ ნამდვილი სიყვარული






საქართველოშიც და საბერძნეთშიც, სახელზე თამთა, ერთი და იგივე ადამიანი ახსენდებათ. სამშობლოში ნაკლებად იცნობენ მის შემოქმედებას, მაგრამ იგი ყოველთვის საინტერესოა საკუთარი გარეგნობის, განსხვავებული სტილის, და ტელეშოუებში მონაწილეობის გამო.

**თამთა გოდუაძემ** თბილისი ოცდაორი წლის ასაკში დატოვა. თავიდან საბერძნეთში დედის მოსანახულებლად ჩავიდა, შემდეგ კი იქ დარჩენა გადაწყვიტა. მონაწილეობა მიიღო **კონკურს SUPER IDOL**-ში. ერთ-ერთი პირველი სიმღერა, რომელმაც პოპულარობა მოუტანა, იყო „**სიყვარული ასე არ მთავრდება**“. დღეს, როცა დიდ წარმატებას მიაღწია, სიყვარულის თემა ისევ ყველაზე აქტუალურია. ამჯერად საქმე სიმღერის სათაურს არ ეხება. განხილვის მთავარი საგანი თამთას და **პარის ლაცისის** ურთიერთობაა. 37 წლის მილიარდერი, ცნობილ მულტიმილიონერ იანის ლაცისის შვილიშვილია, რომელიც საკუთარი ქონებით, გავლენიანი წრით და ქველმოქმედებით იყო ცნობილი. ლაცისების ოჯახის საქმიანობა უძრავ ქონებასთან, საბანკო სფეროსთან და ნავთობის ბიზნესთანაა დაკავშირებული.

პარის ლაცისის მამა წყლის თხილამურების ინსტრუქტორი **გრეგორი კასიდოკოსტასია**. დედა – **მარიანა ლაცისი**, ცნობილი ფილანტროპი გახლავთ, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საბერძნეთში მიწისძვრისგან მიყენებული ზარალის აღმოფხვრაში და ათენის ოლიმპიადის დაფინანსებაში.

**37 წლის მილიარდერი, ცნობილ მულტიმილიონერ იანის ლაცისის შვილიშვილია, რომელიც საკუთარი ქონებით, გავლენიანი წრით და ქველმოქმედებით იყო ცნობილი**

2005 წლიდან პარისი **ტერი დუგასთან** ერთად ფლობს კომპანია **1821media**-ს, რომლის საქმიანობაც კინოს და ტელევიზიას ეხება. ლაცისის კომპანიასთან თანამშრომლობს **FOX**, **Disney Pictures** და **Warner Bros**. 1821media-ს პროექტებში მონაწილეობენ ისეთი ვარსკვლავები, როგო-

**ტექსტი:** მაკო მჭედლიშვილი. **ფოტო:** PAPADAKIS GEORGE




**პარის ლაცისის მამა წყლის თხილამურების ინსტრუქტორი – გრეგორი კასიდოკოსტასია, დედა – მარიანა ლაცისი, ცნობილი ფილანტროპი გახლავთ**

რებიც არიან ნ**ატალი პორტმანი**, **კამერონ დიასი**, **კევინ კოსტნერი.**

ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა პარის ლაცისის პირადი ცხოვრება. ეს ინტერესი გაათმაგდა მაშინ, როდესაც პარისი პერისს ხვდებოდა. შეცდომა არ გეგონოთ. ლაცისი 2005 წელს **პერის ჰილტონზე** დაინიშნა. თუმცა, იმავე წლის სექტემბერში, წყვილი ერთმანეთს დაშორდა.

კიდევ ერთი პოპულარული სახე, რომელთანაც ბერძენ მილიარდერს ურთიერთობა აკავშირებდა, მსახიობი **ნიკი რიდია**.

რაც შეეხება თამთას და პარისის ურთიერთობას, ამბობენ რომ ყველაფერი 2013 წელს დაიწყო. თავიდან მხოლოდ ვარაუდი არსებობდა იმის შესახებ, რომ მათ მეგობრობის გარდა რაღაც „სხვა" აკავშირებდათ. ნელნელა პაპარაცებს უფრო და უფრო მეტი მასალა მიეცათ და დღეს ეჭვგარეშეა, რომ წყვილს სერიოზული ურთიერთობა აქვს. იმაზე, თუ როგორ არ მთავრდება სიყვარული, თამთამ დიდი ხნის წინ იმღერა. დამთავრდება თუ არა ქორწილით ეს ამბავი, ჯერ არავინ იცის.







# მაია მახათელი
## „ბალეტის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია“

საქართველო 15 წლის წინ დატოვა. **მაია მახათელი** უკვე 7 წელია ჰოლანდიის ნაციონალური ბალეტის პრიმა ბალერინაა. დაიბადა ხელოვანთა ოჯახში: ბებია ოპერის მომღერალი იყო, ბაბუა ქართული ცეკვების მოცეკვავე, მამა ქორეოგრაფიული სასწავლებლის დირექტორი, ოპერისა და ბალეტის თეატრის პრემიერი, დედა – ბალერინა, და ძმა – როიალ ბალეტის პრემიერი. გასაკვირი არც არის, რომ მაიას ბავშვობიდანვე ბალეტის სიყვარული ჩაენერგა და 3 წლის ასაკში უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ბალერინა გახდებოდა.

***„ბავშვობიდანვე ვიცოდი რამდენად რთული პროფესია ავირჩიე, მაგრამ ამისთვის მზად ვიყავი. პატარა ასაკიდანვე ასეთი შრომისმოყვარეობა და მიზანდასახულობა გენეტიკისა და ჩემი ოჯახის წევრების დამსახურება იყო, რომლებმაც ჩემი კარიერის განვითარებისთვის საუკეთესო პირობები შემიქმნეს“.***

სერიოზული ნაბიჯები საბალეტო კარიერაში მაიამ 16 წლის ასაკში გადადგა, როდესაც ოჯახთან ერთად საცხოვრებლად აშშ-ში გადავიდა. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო მუშაობა საბალეტო თეატრშიც, სადაც მალევე წამყვანი ბალერინა გახდა. წარმატების მიუხედავად, გეზი მაინც ევროპისკენ ჰქონდა აღებული და აი, უკვე ათი წელია ჰოლანდიაში ცხოვრობს. მისი დიდი სურვილია თბილისის განახლებული ოპერის სცენაზე ქართველი მაყურებლის წინაშე გამოსვლა.

***„საქართველო ჩემი სამშობლოა. ძალიან მიყვარს აქ ჩამოსვლა, რადგან ბებია, და ამჟამად დედაც აქ ცხოვრობენ. ასევე ჩემი ბავშვობის მეგობრები, რომლებთანაც ურთიერთობას დღემდე ვინარჩუნებ. ეს კონტაქტები ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია“.***

თავისი მეორე ნახევარიც თეატრში 10 წლის წინ გაიცნო. ბალეტის წყალობით მაია მახათელი და **არტურ შესტერიკოვი** არა მხოლოდ სცენის პარტნიორები, არამედ ცხოვრების თანამგზავრებიც გახდნენ. წყვილი შარშან დაქორწინდა.

***„ჩვენი პროფესია ერთმანეთთან გვაახლოებს. მიმაჩნია, რომ ძალიან გაგვიმართლა, რადგან ურთიერთნდობა სცენაზე გადამწყვეტი ფაქტორია. ემოციებსაც ბუნებრივად გადმოვცემთ“.***

**ჰოლანდიის ნაციონალურ თეატრში** ახალი სეზონი უკვე გაიხსნა. ქართული Hello! იმედოვნებს, რომ ჩვენს მაყურებელს მაია მახათელის ქართულ სცენაზე ხილვის საშუალება ძალიან მალე ექნება.

**ტექსტი:** ლელა კახიანი. **ფოტო:** GETTY IMAGES


















Etere Agency

BENITO

BENITO
–Urban
–Light
–Play
–Covers

+995 577 12 22 08

www.benito.com





ტექსტი: ლელე კახიანი. ფოტო: KARMAN AYDINOV, ბაჩო ტაბატაძე

# სტეფანესა და აიგუნის
## წარმატებული ტანდემი

ქართველი პროდიუსერის **სტეფანე მღებრიშვილისა** და აზერბაიჯანის სახალხო არტისტის **აიგუნ კაზიმოვას** ტანდემი წარმატებას ზეიმობს. ჰამბურგში გამართულ ყოველწლიურ მუსიკალურ დაჯილდოებაზე **BAMA Music Awards** მომღერალმა ცნობილ რეპერ **Snoop Dogg**-თან შესრულებული სიმღერით **Coffee from Colombia** გაიმარჯვა ნომინაციაში „საუკეთესო აზერბაიჯანელი შემსრულებელი ქალი". სხვათა შორის, აიგუნი პირველი აზერბაიჯანელი მომღერალი გახდა, რომლის ვიდეოკლიპი ზემოთ აღნიშნულ სიმღერაზე YouTube-ზე Vevo-ს ნიშნით განთავსდა.

***„საპროდიუსერო საქმიანობაში დიდი გამოცდილება მაქვს. ხშირად ვთანამშრომლობ ევროპელ დიჯეებთან. პროექტ Stephane&3G-ის არსებობის პერიოდში კონცერტებს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ვმართავდით. შესაბამისად, აიგუნთან მუშაობა ჩემთვის ახალი ხილი არ იყო. პროდიუსერისთვის ყველგან ერთნაირი კანონები მოქმედებს",*** – გვითხრა სტეფანემ.

აიგუნი პოპულარობით თავისი ქვეყნის გარეთაც სარგებლობს. ამჟამად მიმდინარეობს კლიპის გადაღება თურქეთში, რომელიც ამ ქვეყნის ბაზრისთვის იქნება განკუთვნილი. სტეფანეს სიტყვებით, თბილისშიც იგეგმება კლიპის გადაღება აზერბაიჯანული ბაზრისთვის.

***„საერთაშორისო პროექტებზე მუშაობა იმით არის საინტერესო, რომ უფრო მეტი შესაძლებლობა და ხელშეწყობა გაქვს. გული მწყდება, რომ დაგროვილი გამოცდილებისა და ცოდნის რეალიზებას მშობლიურ ქვეყანაში ვერ ვახდენ. იმდენი კონცერტი მაქვს ჩატარებული, ვეღარც ვითვლი. გარკვეულწილად საწყენია, რომ აქ სათანადოდ არ გაფასებენ. თუმცა ნამდვილად არ ვდარდობ, უბრალოდ საქართველოში რაიმეს გაკეთების ენთუზიაზმი ნელ-ნელა მიქრება",*** – გაგვიმხილა სტეფანემ.


ok top us
OKTOPUS FITNESS CLUB
ოქტოპუს ფიტნეს კლუბი
კონცეპტუალური სავარჯიშო დარბაზი
ინსტრუქტორების დიდი ჯგუფი
LIFE FITNESS-ის უახლესი სერიის ტრენაჟორები
მომხმარებელზე პერსონიფიცირებული სავარჯიშო პროგრამები
ჯგუფური ვარჯიშების ფართო არჩევანი
HAMMER STRENGTH
Be ok
Climb to the top
Become one of us
OPEN: 24/7
სანდრო ეულის ქუჩა #7, თბილისი
(+995) 32 2 301 888
info@oktopus.ge
www.facebook.com/Oktopusfitness/


21-ე საუკუნის ზღაპ
ბრანჯ
განქორწინები



ბრანჯელინას ისტორია 11 წლის წინ, „მისტერ და მისის სმიტების“ გადაღებებზე დაიწყო. ანჯელინა ამბობდა ხოლმე, ძალიან მიხარია, როცა ჩვენი შვილები ამ ფილმს უყურებენო: „ბევრ ბავშვს არ აქვს იმის საშუალება, რომ საკუთარი თვალით ნახოს, როგორ უყვარდებოდა დედ-მამას ერთმანეთი“.

# რული სიყვარული
# ელინა
# თ დასრულდა

**შაილოს პირველი ფოტოები 8 მილიონ დოლარად გაიყიდა. შემოსული თანხა, ანჯელინას სურვილისამებრ, სრულად მოხმარდა ქველმოქმედებას. თითქმის ორმაგი ღირდა იმ ტყუპების პირველი ფოტოები, რომლებიც პიტსა და ჯოლის 2008 წელს შეეძინათ**



საქორწინო ფიცის დადება შვილების ხათრით გადაწყვიტეს. მათივე დახმარებით დაგეგმეს მთელი ცერემონია: მედოქსი და პაქსი ხელისმომკიდეები იყვნენ; ზაჰარას და ვივიენს ყვავილების მიმოფანტვა ევალებოდათ; შაილო და ნოქსი კი ბეჭდებს ყარაულობდნენ.





როცა ჯოლის არ ეცალა, შვილებს პიტი უვლიდა ხოლმე და საკუთარ თავს „მისტერ დედად“ მოიხსენიებდა.



სექტემბერი სამწუხარო სიახლით დასრულდა – მთელი მსოფლიო აალაპარაკა ანჯელინა ჯოლისა და ბრედ პიტის განშორებამ. ამბობენ, რომ განქორწინების ინიციატივა „მისის სმიტისგან“ წამოვიდა, რასაც მისი ადვოკატიც ადასტურებს და ამატებს, რომ გადაწყვეტილება ოჯახის საკეთილდღეოდ მიიღეს. ოფიციალურ მიზეზად შეხედულებების სხვადასხვაობა, ალკოჰოლის ხშირი მოხმარება და ბავშვებისადმი ბრედის არასწორი მიდგომები სახელდება. თუმცა, საყოველთაოდ გავრცელებულ ჭორებს თუ დავუჯერებთ, პიტმა ჯოლის მარიონ კოტიართან უღალატა. სწორედ მასთან ერთად თამაშობს ახალ ფილმში „მოკავშირეები“, რომელიც ეკრანებზე ნოემბერში გამოვა. ალბათ ზუსტ მიზეზებს ბოლომდე ვერასოდეს გავიგებთ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება – ზღაპრული სიყვარული, რომელიც 21-ე საუკუნეში თანადგომის, ერთმანეთზე ზრუნვისა და ურთიერთ- ▶



„ყველაზე კარგი, ჭკვიანური და საამაყო, რისთვისაც ცხოვრებაში მიმიღწევია, არის ის, რომ ჩემი შვილების დედა ანჯელინაა. ვერც კი წარმოგიდგენიათ, რა იღბლიანი ვარ, ის რომ მყავს!“



ანჯელინა ჯოლი: „მამაჩემმა დედაჩემს უღალატა და ვიცოდი, ეს რა სიმწარეც იყო. სწორედ ამიტომ, ცოლიან კაცთან არასოდეს ვიფლირტავებდი. ამას ჩემს თავს ვერასოდეს ვაპატიებდი და სარკეში ჩახედვისაც კი შემრცხვებოდა. და საერთოდაც, ვერასოდეს მოვიხიბლებოდი მამაკაცით, რომელიც ცოლს უღალატებდა“



პატივისცემის საუკეთესო მაგალითად მიიჩნეოდა, ძალიან არაზღაპრულად დასრულდა. ამის მიუხედავად, ბრანჯელინას ისტორიამ ნამდვილად დაიმსახურა ის, რომ მათი ამბავი კიდევ ერთხელ გავიხსენოთ.

როგორც ყველას გახსოვთ, მათი ისტორია 11 წლის წინ, „მისტერ და მისის სმიტების“ გადაღებებზე დაიწყო. ანჯელინა ამბობდა ხოლმე, ძალიან მიხარია, როცა ჩვენი შვილები ამ ფილმს უყურებენო: „ბევრ ბავშვს არ აქვს იმის საშუალება, რომ საკუთარი თვალით ნახოს, როგორ უყვარდებოდა დედ-მამას ერთმანეთი“. არადა, გადასაღებ მოედანზე ბრედს ჯერ კიდევ აკავშირებდა ოჯახი ჯენიფერ ენისტონთან.

„ჰოლივუდის ოქროს წყვილი“, როგორც პიტსა და ენისტონს მოიხსენიებდნენ, 2005 წლის დასაწყისში წარსულს ჩაბარდა. სამაგიეროდ, საფუძველი ახალ – ბრანჯელინას ეპოქას ჩაეყარა. ენჯი ამტკიცებს, რომ ბრედს ჯენიფერისთვის არ უღალატია: „მამაჩემმა დედაჩემს უღალატა და ვიცოდი, ეს რა სიმწარეც იყო. სწო-



რედ ამიტომ, ცოლიან კაცთან არასოდეს ვიფლირტავებდი. ამას ჩემს თავს ვერასოდეს ვაპატიებდი და სარკეში ჩახედვისაც კი შემრცხვებოდა. და საერთოდაც, ვერასოდეს მოვიხიბლებოდი მამაკაცით, რომელიც ცოლს უღალატებდა“.

მიუხედავად იმისა, რომ 2006 წლამდე სასიყვარულო ურთიერთობას არ აღიარებდნენ, ბრედი და ანჯელინა ერთად დადიოდნენ სამოგზაუროდ და არც პაპარაცებს ერიდებოდნენ. ორი წელი დასჭირდა იმას, რომ წყვილი საჯაროდ გამოჩენილიყო და ბრედს, სიყვარულის დასტურად, ჯოლის ორ შვილზე – მედოქსსა და ზაჰარაზე პასუხისმგებლობა გაეზიარებინა. ამავე პერიოდში გამომჟღავნდა, რომ „მისის სმიტი“ ორსულად იყო და პატარა შაილოს დაბადებას ელოდებოდა. ბავშვის პირველი ფოტოები 8 მილიონ დოლარად გაიყიდა. შემოსული თანხა კი, ანჯელინას სურვილისამებრ, სრულად მოხმარდა ქველმოქმედებას. თითქმის ორმაგი ღირდა იმ ტყუპების პირველი ფოტოები, რომლებიც პიტსა და ჯოლის 2008 წელს შეეძინათ. ამ დროისთვის 3 წლის ვიეტნამელი პაქსიც ჰყავდათ ნაშვილები. ზოგადად, შვილებმა მათ ურთიერთობაზე უდიდესი გავლენა მოახდინეს. როგორც ანჯელინა იხსენებს, თავდაპირველად ყველაფერი მედოქსის სიტყვებმა გადაწყვიტა: „სასტუმროს ნომერში ვიყავით და მედოქსს მანქანებით ვეთამაშებოდით, როცა მან ბრედს „მამა“ დაუძახა. არცერთს არაფერი გვითქვამს. უბრალოდ, ერთმანეთს შევხედეთ. ეს ყველაზე მძაფრი მომენტი იყო, რომელმაც მიმახვედრა, რომ ჩვენ უკვე ერთი ოჯახივით ვიყავით“.

ამ წლების განმავლობაში ხშირად საუბრობდნენ ბრედისა და ანჯელინას ქორწილზე. ორივენი აცხადებდნენ, რომ დაოჯახებას მანამ არ აპირებდნენ, სანამ ერთსქესიანთა ქორწინება კანონიერი არ გახდებოდა. ის, რომ ოფიციალური ცოლ-ქმარი არ იყვნენ, ხელს სულაც არ უშლიდათ, მაქსიმალურად დამტკბარიყვნენ ბედნიერებით: „ძალიან, ძალიან გამიმართლა, ასეთი მოსიყვარულე ოჯახი რომ მყავს და ეს არასოდეს მოხდებოდა, ბრედი რომ არ გამოჩენილიყო!“ – ამბობდა ხოლმე გაბრწყინებული ანჯელინა. მას ყურებამდე შეყვარებული მეუღლეც არ ჩამორჩებოდა და ინტერვიუებში აღნიშნავდა: „ყველაზე კარგი, ჭკვიანური და საამაყო, რისთვისაც ცხოვრებაში მიმიღწევია, არის ის, რომ ჩემი შვილების დედა ანჯელინაა. ვერც კი წარმოგიდგენიათ, რა იღბლიანი ვარ, ის რომ მყავს!“

თანაცხოვრება მათთვის პრობლემად არასოდეს ქცეულა. ექვსშვილიანი ოჯახი გადაღებებზე ბავშვების გარეშე არასოდეს მიემგზავრებოდა. მიუხედავად უამრავი პასუხისმგებლობისა და საოცრად გადატვირთული რეჟიმისა, ბრედსა და ანჯელინას არც ის ▶



მიუხედავად უამრავი პასუხისმგებლობისა და საოცრად გადატვირთული რეჟიმისა, ბრედსა და ანჯელინას არც ის უჭირდათ, რომ ერთმანეთისთვის საჭირო დრო გამოენახათ და პაემანზე სიარულიც არ მოეკლოთ.

„სასტუმროს ნომერში ვიყავით და მედოქსს მანქანებით ვეთამაშებოდით, როცა მან ბრედს „მამა“ დაუძახა. არცერთს არაფერი გვითქვამს. უბრალოდ, ერთმანეთს შევხედეთ. ეს ყველაზე მძაფრი მომენტი იყო, რომელმაც მიმახვედრა, რომ ჩვენ უკვე ერთი ოჯახივით ვიყავით“







**საქორწინო ფიცი ბრედსა და ანჯელინას შვილებმა დაუწერეს: „მათ იციან, რომ არასოდეს დავშორდებით, მაგრამ მაინც გვაიძულეს დაგვეფიცა, რომ თუ ოდესმე ვიჩხუბებდით, აუცილებლად ბოდიშს მოვიხდიდით და შევრიგდებოდით“.**



„ეს ყველაფერი ძალიან მოულოდნელი იყო. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენი შვილების კეთილდღეობაა. ძალიან ვთხოვ პრესის წარმომადგენლებს, რომ ამ კრიტიკულ პერიოდში ბავშვები არ შეაწუხონ და მათ ის პირადი სივრცე მისცენ, რომელიც ყველაფრის გადატანაში დაეხმარებათ“.

**„ანჯელინა კომენტარს არ გააკეთებს. მისი თხოვნაა, ოჯახი ზედმეტად არ შეაწუხოთ და ბავშვებს საშუალება მისცეთ, ეს ამბავი მშვიდად გადაიტანონ“, – აცხადებს ჯოლის ადვოკატი. განქორწინების მოთხოვნაში მითითებულია, რომ „მალეფისენტას“ ვარსკვლავი შვილებზე მეურვეობის უფლებას მოითხოვს და ბრედს უფლებას აძლევს, მათ მაშინ ესტუმროს, როცა მოუნდება. პიტს ოჯახისგან არც ალიმენტი დაეკისრება.**

უჭირდათ, რომ ერთმანეთისთვის საჭირო დრო გამოენახათ და პაემანზე სიარულიც არ მოეკლოთ. როცა ჯოლის არ ეცალა, შვილებს პიტი უვლიდა და საკუთარ თავს „მისტერ დედად“ მოიხსენიებდა. ვერავინ ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ მათი ბედნიერება დასრულდებოდა. მით უმეტეს, ჭორები მათი დაშორების შესახებ ყოველთვის სხვადასხვა ფაქტით ქარწყლდებოდა. ერთ-ერთი ასეთი ფაქტი 2012 წელს გამართული ნიშნობა იყო, მეორე კი – 2014 წლის 23 აგვისტოს გადახდილი ქორწილი, რომელიც ჟურნალმა HELLO! ექსკლუზიურად გააშუქა.

საქორწინო ფიცის დადება შვილების ხათრით გადაწყვიტეს. მათივე დახმარებით დაგეგმეს მთელი ცერემონია: მედოქსი და პაქსი ხელისმომკიდეები იყვნენ; ზაჰარას და ვივიენს ყვავილების მიმოფანტვა ევალებოდათ; შაილო და ნოქსი ბეჭდებს ყარაულობდნენ. ბავშვების დიზაინითვე იყო გაფორმებული ანჯელინას საქორწინო სამოსი – ყველა შვილმა დედიკოს თეთრი კაბა სურვილისამებრ მოხატა. გარდა ამისა, მათვე შეკერეს ბალიშები ბეჭდებისთვის; პაქსმა კი საქორწინო ტორტის გამოცხობაც არ დაიზარა და მშობლებს გემრიელი და ფერადი შოკოლადის ნამცხვრით გაუმასპინძლდა. ყველაზე მთავარი ისაა, რომ საქორწინო ფიცი ბრედსა და ანჯელინას შვილებმა დაუწერეს: „მათ იციან, რომ არასოდეს დავშორდებით, მაგრამ მაინც გვაიძულეს დაგვეფიცა, რომ თუ ოდესმე ვიჩხუბებდით, აუცილებლად ბოდიშს მოვიხდიდით და შევრიგდებოდით“. სამწუხაროდ, ეს ჯადოსნური ფიცი სულ რაღაც ორ წელიწადში დაირღვა და ბრანჯელინას ამბავიც ტკბილ-მწარე მოგონებად დარჩა.

„ანჯელინა კომენტარს არ გააკეთებს. მისი თხოვნაა, ოჯახი ზედმეტად არ შეაწუხოთ და ბავშვებს საშუალება მისცეთ, ეს ამბავი მშვიდად გადაიტანონ“, – აცხადებს ჯოლის ადვოკატი. განქორწინების მოთხოვნაში მითითებულია, რომ „მალეფისენტას“ ვარსკვლავი შვილებზე მეურვეობის უფლებას მოითხოვს და ბრედს უფლებას აძლევს, მათ მაშინ ესტუმროს, როცა მოუნდება. პიტს ოჯახისგან არც ალიმენტი დაეკისრება. ანჯელინას გადაწყვეტილება ყველასთვის მოულოდნელი და შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. მამამისმაც არ იცის, რა მოხდა სინამდვილეში. „გაოგნებული ვარ და უზომოდ ვნერვიულობ. რაღაც ძალიან სერიოზული უნდა მომხდარიყო, ენჯის ეს გადაწყვეტილება რომ მიეღო,“ – განუცხადა HELLO!-ს ჯონ ვოიტმა, – „არ ვიცი, რას დავაბრალო. საშინელი ამბავია. იმედია, ჩემს შვილს მალე ვნახავ და მისი პატარები კარგად იქნებიან“.

აშკარაა, რომ ამ ამბავს თავად ბრედიც კი არ ელოდა. „ეს ყველაფერი ძალიან მოულოდნელი იყო. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენი შვილების კეთილდღეობაა“, – განაცხადა მან, – „ძალიან ვთხოვ პრესის წარმომადგენლებს, რომ ამ კრიტიკულ პერიოდში ბავშვები არ შეაწუხონ და მათ ის პირადი სივრცე მისცენ, რომელიც ყველაფრის გადატანაში დაეხმარებათ“.

არავინ ვიცით, როგორ განვითარდება მოვლენები და რა დეტალები გახმაურდება, მაგრამ ერთი რამ ყველასთვის ცნობილია – მსოფლიოს ძალიან მოაკლდება სიყვარულის ის ისტორია, რომელსაც „ბრანჯელინას“ სახელით ვიცნობდით.

**ტექსტი:** ელენე მარგალითაშვილი. **ფოტო:** GETTY IMAGES



## საინტერესო ფაქტები „ბრანჯელინაზე“

- 40 წლის იუბილეზე ანჯელინამ ბრედისგან საჩუქრად თვითმფრინავი მიიღო! ალბათ არ გეცოდინებათ, რომ ჯოლი საკმაოდ გამოცდილი პილოტია.

- ენჯიმ ბრედს საქორწინოდ „პატეკ ფილიპსის“ საათი აჩუქა. გრავირებაზე, რომელიც სპეციალურად გაკეთდა, ვკითხულობთ: „როლის ნესასგან“. ეს იმ ცოლ-ქმრის სახელებია, რომლებსაც ანჯელინა და ბრედი ერთობლივ ფილმში „ზღვის პირას“ განასახიერებდნენ.

- ბრანჯელინას ფულის ხარჯვის საერთო წესიც აერთიანებდათ – ისინი შემოსავლის 1/3-ს ოჯახს ახარჯავდნენ, 1/3-ს ზოგავდნენ, 1/3-ს კი ქველმოქმედებას ახმარდნენ.

- ბრანჯელინას საერთო სიმდიდრე 400 მილიონ დოლარს აღემატება, საიდანაც 240 მილიონი ბრედის საკუთრებაა, 160 მილიონი კი – ანჯელინასი.

- წყვილის საკუთრებაშია ფრანგული შატო Miraval-ი, იტალიური ვილა Costanza, ლონდონის სახლი და მამული ნიუ-ორლეანსის ფრანგულ მხარეში.

- ბრედმა და ანჯელინამ ერთად შექმნეს „ჯოლი-პიტის ფონდი“, რომელიც 2006 წლიდან ცდილობს გაჭირვებულების დახმარებას.

- ჯოლისა და პიტს ერთმანეთთან საერთო ვენახი და პოპულარული ღვინოც აკავშირებთ, რომელიც თავის დროზე ერთად ჩამოასხეს, ახლა კი მსოფლიოს გარშემო ყიდიან.

- გამოდის, რომ ოფიციალური მონაცემებით, ბრედი ჯენიფერზე უფრო დიდხანს იყო დაქორწინებული, ვიდრე ანჯელინაზე.

ექსკლუზივი ბუკინგემის სასახლის კულისებიდან

# დედოფლის გარდერობი

## მსოფლიოს ყველაზე ელეგანტური და საკულტო ქალბატონის მოდური სამყარო





„გამოფენა ზედმიწევნით ასახავს დედოფლის ცხოვრების ყველაზე განსაკუთრებულ მომენტებსა და ჩვენი ერის ისტორიას" – კეროლაინ დეგიტო

კურატორ კეროლაინ დეგიტოს ჰარდი ეიმის საღამოს კაბაში ბოლო შესწორებები შეაქვს. დედოფლის ყველა სამოსი ბუკინგემის სასახლის White Drawing Room-შია გამოფენილი. აქვეა ელისაბედის სამხედრო უნიფორმა, კაბა ნახევრადმოშიშვლებული მხრით, ლურჯი ლაბადა, რომელიც ნორმან ჰარტნელის შემოქმედებაა, და ანჯელა კელის დიზაინით შეკერილი ყვითელი ლაბადა, რომელიც მის უდიდებულესობას 2011 წელს გამართულ სამეფო ქორწილში ეცვა.

ფოტო: REX/SHUTTERSTOCK



დედოფლის გერმანელი სტუმრებისთვის პატივი რომ მიეგო, 1965 წელს ჰარდი ეიმისმა განსაკუთრებული კაბა შეკერა. მასზე დატანილი ნაქარგები გერმანული სასახლეების როკოკოულ სტილს ასახავდა.

ის მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ქალბატონია. სხვა თუ არაფერი, უკვე რეკორდული 64 წელია, დიდი ბრიტანეთის დედოფლის სტატუსს ატარებს! ელისაბედმა წელს განსაკუთრებული გამონაკლისი დაუშვა და ბუკინგემის სასახლეში წლის ყველაზე ექსტრავაგანტურ, გლამურულ და განსხვავებულ გამოფენას უმასპინძლა. დამთვალიერებლებს საშუალება მიეცათ სამეფო გარდერობში ემოგზაურათ და ყველა ის კაბა ენახათ, რომელთა წყალობითაც დედოფალი სამართლიანად მიიჩნევა დახვეწილობისა და გემოვნების მაგალითად. კეროლაინ დეგიტომ, რომელიც სამეფო კოლექციის კურატორი და ამ სახელგანთქმული გამოფენის მთავარი ორგანიზატორია, HELLO!-სთან საუბრისას აღნიშნა: „დედოფალი უკვე ეწვია გამოფენას და ყველაფრის ერთად ნახვით აშკარად ისიამოვნა. თითოეულ ექსპონატს გულდასმით აკვირდებოდა. კაბებს, რომლებიც საქორწინო და დედოფლად კურთხევის ცერემონიებზე ეცვა, ისედაც ხშირად ნახულობს ხოლმე. როგორც ჩანს, მისთვის ორივე მათგანი განსაკუთრებულად ძვირფასია“. სწორედ კეროლაინი გვამოგზაურებს სასახლის კულისებში და გაგვანდობს, როგორ მოახერხა ამ ჯადოსნური კოლექციის თავმოყრა...



დანარჩენი კაბები ხაზს უსვამს მონარქის დახვეწილ ფიგურას.



სასახლის პერსონალი ასწორებს კაბას, რომელიც ნორმან ჰარტნელმა 1956 წელს შეკერა.

„გამოფენა „გვირგვინის მოდა: სტილის 90 წელიწადი დედოფლის გარდერობიდან“ (Fashioning a Reign: 90 Years of Style From the Queen’s Wardrobe) მისი უდიდებულესობის 90 წლის იუბილეს მიეძღვნა. ზოგადად, სასახლის ვიზიტორებს ყველაზე მეტად ის ნივთები მოსწონთ ხოლმე, რომლებთანაც დედოფალს განსაკუთრებული შეხება აქვს. კაბები კი ამ მხრივ პირველ ადგილს იკავებს. ექსპოზიცია მესამეა იმ ტრილოგიიდან, რომლის კურატორიც მე გახლავართ. გამოფენები დედოფლის ოფიციალურ რეზიდენციებში ეწყობა. ყველა მათგანზე განსხვავებული ნივთებია წარმოდ-

**სასახლის ვიზიტორებს ყველაზე მეტად ის ნივთები მოსწონთ, რომლებთანაც დედოფალს განსაკუთრებული შეხება ჰქონია. კაბები ამ მხრივ პირველ ადგილს იკავებს**



გენილი. კოლექციები, რომლებიც ზედმიწევნით ასახავს დედოფლის ცხოვრების ყველაზე განსაკუთრებულ მომენტებსა და ჩვენი ერის ისტორიას, მანამდე ერთად არასოდეს გამოფენილა. აქ ყველაფერია – დაწყებული ბავშვობისდროინდელი ტანისამოსიდან, დამთავრებული იმ მწვანე კაბით, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ, 90 წლის იუბილეზე ეცვა. პირველად მოხდა ისიც, რომ კაბები, რომლებიც საქორწინო და დედოფლად კურთხევის ცერემონიებზე ეცვა, ერთდროულად წარდგა დამთვალიერებლის წინაშე. აქვეა ყველასთვის ცნობილი ყვითელი კაბა მე-60 იუბილედან და დიზაინი, რომელიც კემბრიჯის ჰერცოგისა და ჰერცოგინიას ქორწილისთვის შეირჩა. ყველაფრის ნახვის შემდეგ მიხვდებით, რომ დედოფალი სამოსით განსხვავებულ როლებს ირგებს და ხალხს თავისი კაბების დიზაინითაც კი ესაუბრება“.

## მკვეთრი და მშვენიერი

„ტანსაცმელი იმასაც ამჟღავნებს, რომ დედოფალს მკვეთრი ფერები არასოდეს აშინებს. ამ გზით ათასობითა თუ ასიათასობით ადამიანის გარემოცვაში ყოველთვის გამორჩეული და მარტივად შესამჩნევია ხოლმე. რა თქმა უნდა, მონარქს მოდის სტანდარტების დამკვიდრება არ ევალება, მაგრამ ეს გამოფენა ამტკიცებს, ▶



ელისაბედ II ედინბურგის ჰერცოგთან ერთად. არაბი სტუმრებისთვის პატივი რომ მიეგო, ჰარდი ეიმისმა დედოფლისთვის განსაკუთრებულად მოკრძალებული და დახურული საღამოს კაბა შექმნა.



# „სამკერვალო ხელოვნების ეს ნიმუშები ნამდვილ ბრიტანულ ისტორიებს გვიყვებიან“

რომ ბოლო ათი დეკადის განმავლობაში მისი როლი ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი იყო. ის რვა მკერავი-დიზაინერი, რომლებიც მისი უდიდებულესობისთვის 1930-იანი წლებიდან დღემდე მუშაობენ, ბრიტანული ნიჭიერების სანიმუშო წარმომადგენლები არიან. მათივე დამსახურებაა დედოფლის ქუდების საკულტო დიზაინი, რომლის აუცილებელი კომპონენტები მკვეთრი ფერები და გამორჩეული ფორმებია. გარდა ამისა, ქუდები უმეტესად ბერეტის სტილისაა, რაც მის სახეს სრული დიდებულებით წარმოაჩენს. დიდი ყურადღება ექცევა გაფორმებასაც. ამ მხრივ, უპირატესობას უფრო ფერადი აბრეშუმის ყვავილებსა და ფრთებს ანიჭებენ ხოლმე. რა თქმა უნდა, ყველა დეტალი ხელნაკეთი და განუმეორებელია“.

## დეკადების გამოფენა

„დედოფალი პირველი და ერთადერთი ბრიტანელი მონარქია, რომელიც მხოლოდ ბრიტანელ დიზაინერთა შეკერილ ტანისამოსს იცვამს. მისი უდიდებულესობის რჩეულებს შორის არიან ნორმან ჰარტნელი, რომელიც თეატრალური სტილითა და საოცარი ნაქარგებითაა ცნობილი, და ჰარდი ეიმისი, რომელიც საოცრად დახვეწილი და ელეგანტური დიზაინით გამოირჩევა. ბოლო პერიოდში ელისაბედის კაბებში სიახლეები და თანამედროვე ელემენტები შეაქვთ სტიუარტ პარვინსა და ანჯელა კელისაც.

წელს, სამხედრო და ოფიციალური შეხვედრებისთვის შექმნილ კაბებში, პირველად გამოიფინა დედოფლის ცნობილი Boat Cloak-ი, რომელიც მონარქს რამდენჯერმე ეცვა. სწორედ ეს კაბაა იმ ცნობილ ფოტოებზე, რომლებიც სესილ ბიტონმა და ენი ლეიბოვიცმა 1968 და 2007 წლებში გადაიღეს.

ბუკინგემის სასახლის Ball Supper Room-ში გამოფენა განსაკუთრებულ ხასიათს იძენს. აქ დამთვალიერებლის წინაშე ათი კაბაა წარმოდგენილი. თითოეული მათგანი ელისა-





ხავერდის წითელი ქუდი (ზევით) და კრემისფერი ფრთებით შექმნილი დიზაინი (ქვევით) ფრედერიკ ფოქსს ეკუთვნის. მასვე უკავშირდება ის თვალისმომჭრელი თავსაბურავები, რომლებიც მის უდიდებულესობას 1968-2002 წლებში ამშვენებდა.

დედოფალი არასოდეს გაურბის მკვეთრ ფერებს. ამას ადასტურებს ვარდისფერი ლაბადა და კაბა, რომელიც მონარქს ლა-მანშის გვირაბის გახსნისას ეცვა (1994 წ.). რაც შეეხება ვარდისფერი ხავერდის ქუდს, ის ჯონ ანდერსონისა და კარლ-ლუდვიგ რეზეს ერთობლივი დიზაინით შეიქმნა.



კეროლაინი ასწორებს ნორმან ჰარტნელის კაბას, რომელიც დედოფალს 1961 წელს, იტალიაში ეცვა. იქვეა გამოფენილი ამავე დიზაინერის მიერ შექმნილი ლაბადა და საღამოს კაბა.



ეს მწვანე და ლურჯი ქუდები ფილიპ სამერვილს ეკუთვნის. მას „სამეფო მოწმობა“ ჰქონდა, რომელიც საშუალებას აძლევდა თავისი ნამუშევრებით დედოფალი ყოველწლიურად მოემარაგებინა.



ბედის დედოფლობის რომელიღაც დეკადას წარმოაჩენს. შესაბამისად, ასახავს იმდროინდელ მოდასაც. კაბებთან ერთადვეა ის მნიშვნელოვანი ნივთები, რომლებიც ამა თუ იმ ათწლეულის ყველაზე საყურადღებო მომენტებთან ასოცირდება.

1930-იანი წლებიდან ორი ექსპონატი გამოირჩევა – კაბები და მანტიები, რომლებიც პრინცესა მარგარეტსა და ელისაბედს მშობლების მეფედ კურთხევის ცერემონიალზე ეცვათ. ეს 1937 წლის მაისში იყო. ორივე კაბა საოცრად დახვეწილია და იდეალურადაა შენახული.

1950-იანი წლებიდან ნორმან ჰარტნელის საღამოს კაბა გამოირჩევა, რომელიც შავი აბრეშუმისა და ხავერდის გამოყენებითაა შეკერილი. ამ სამოსით დედოფალი თავს The Battle of River Plate-ის პრემიერაზე იწონებდა. სწორედ აქ, 1956 წელს გაიცნო მერილინ მონროც. კაბასთან ერთად ტელეფონიც დევს, რომელსაც, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს – ▶





> „საოცარი პრივილეგიაა ასეთი შეხება გქონდეს დედოფლის ტანსაცმელთან. თითოეული კაბა ერთი დიდი მოგზაურობაა“

სწორედ ამ ტელეფონით განახორციელა მონარქმა პირველი საქალაქთაშორისო ზარი 1958 წლის 5 დეკემბერს.

1980-იანი წლები უფრო მკაცრი ხაზით გამოირჩევა. ამ ეპოქის საუკეთესო მაგალითი ჰარდი ეიმისის მოვარდისფრო-იისფერი პიჯაკი და ქვედაბოლოა, რომელიც დედოფალს 1986 წელს, ჩინეთში ვიზიტისას ამშვენებდა. აღსანიშნავია, რომ ელისაბედი პირველი ბრიტანელი მონარქი გახლდათ, რომელიც ამ ქვეყანას ეწვია.

გამორჩეულია ვარდისფერი ლაბადა და მოჩუქურთმებული კაბაც, რომელიც ჯონ ანდერსონისა და კარლ-ლუდვიგ რეზეს ერთობლივი დიზაინით შეიკერა. დედოფალს ის საფრანგეთში, ლა-მანშის გვირაბის გახსნაზე ეცვა. 1990-იანი წლებიდან გამოფენილი ექსპონატები შესანიშნავად ასახავს მონარქის სტილის ევოლუციას კრინოლინიანი კაბებიდან გამოკვეთილ სილუეტებამდე. ამ ეპოქას მწვანე შიფონის კაბა აგვირგვინებს, რომელიც ელისაბედს 1975 წელს, მექსიკაში ვიზიტისას ეცვა. 1990-იანების გარდერობი საუკეთესოდ წარმოაჩენს, რომ დედოფალი მუდამ განსაკუთრებულ პატივს სცემდა იმ ქვეყნებს, რომლებსაც სტუმრობდა. დიზაინში ყოველთვის გათვალისწინებული იყო ამა თუ იმ ხალხის ტრადიციები, რელიგია და სხვა მნიშვნელოვანი კომპონენტები. ამ მხრივ საუკეთესო მაგალითია ჰარდი ეიმისის კაბა, რომელიც ბრიტანეთის მონარქს 1965 წელს, გერმანელებთან შეხვედრისას ამშვენებდა. მასზე დატანილი ნაქარგები სწორედ გერმანული სასახლეების როკოკოულ სტილს ასახავდა.

**1937 წელს შეკერილი ულამაზესი კაბები, რომლებიც პრინცესა მარგარეტსა და ელისაბედს მშობლების მეფედ კურთხევის ცერემონიალზე ეცვათ (ზევით). ნორმან ჰარტნელის კაბა დედოფალს 1956 წელს, The Battle of River Plate-ის პრემიერაზე ამშვენებდა. სწორედ ამ კაბაში გამოწყობილმა გაიცნო მერილინ მონრო (ქვევით, მარცხნივ). 1986 წელს, ჩინეთში ვიზიტისას, დედოფალმა არჩევანი ჰარდი ეიმისის დიზაინზე შეაჩერა (ქვევით, ცენტრში). ეს შიფონის კაბა დედოფალს 1975 წელს, მექსიკაში მოგზაურობისას ეცვა (ქვევით, მარჯვნივ).**











ეს ნორმან ჰარტნელის კაბაა, რომელიც ელისაბედს დედოფლად კურთხევის ცერემონიალზე ეცვა. ექსპონატი მე-20 საუკუნის ბრიტანული დიზაინის საუკეთესო ნიმუშად ითვლება. კაბა ეროვნულ ემბლემათა ნაქარგებით, მარგალიტებით, ცეხინებითა და ბროლის თვლებითაა გაფორმებული.

გამოფენაზე ბოლოდროინდელი ექსპონატებიცაა წარმოდგენილი. მათ შორისაა ანჯელა კელის კაბა, რომელიც ელისაბედს 2012 წელს, ლონდონში გამართული ოლიმპიური თამაშების გახსნაზე ეცვა. რასაკვირველია ყველაზე გამორჩეული მაინც საქორწინო და დედოფლად კურთხევის ცერემონიებისთვის შეკერილი კაბებია. ორივეს დიზაინი ნორმან ჰარტნელს ეკუთვნის, რომელიც სამართლიანად მიიჩნევა საუკუნის საუკეთესო ბრიტანელ მკერავდიზაინერად. მას საოცარი ნიჭი აქვს შექმნას დაუვიწყარი საღამოს კაბები გრანდიოზული ღონისძიებებისთვის.

გამოფენის თითოეული ექსპონატი კონკრეტულ მოგონებას აღვიძებს. ძალიან რთულია რომელიღაც მათგანი გამოარჩიო, მაგრამ მე მაინც ნორმან ჰარტნელის შემოქმედებას გამოვყოფდი. მისი დიზაინი ყოველთვის შოკისმომგვრელია და შესანიშნავად წარმოაჩენს ბრიტანული სამეფო ოჯახის დიდებულებას. კაბა, რომელიც დედოფალს 1957 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველი ვიზიტისას ეცვა, სამმაგი ნაქარგებითა და ვერცხლისფერი, ოქროსფერი და ლურჯი დეტალებითაა გაფორმებული. თუ მკითხავთ, რომელია ჩემი ფავორიტი, სწორედ ამ კაბას დაგისახელებთ.

საოცრად დიდი პრივილეგიაა ყოველდღიური შეხება გქონდეს დედოფლის ტანსაცმელთან. თითოეული კაბა ერთი დიდი მოგზაურობაა. ჭრუანტელისმომგვრელია იმის გააზრება, თუ რა სიზუსტითა და სიფაქიზითაა შექმნილი ყვე-ლა დეტალი. იმედი მაქვს, რომ ისინი, ვინც გამოფენას ეწვევიან, კიდევ ერთხელ დარწმუნდებიან, რომ დედოფალი ბრიტანული ▶



„დედოფალი ხშირად ნახულობს ხოლმე კაბებს, რომლებიც საქორწინო და დედოფლად კურთხევის ცერემონიებზე ეცვა. როგორც ჩანს, მისთვის ორივე განსაკუთრებულად ძვირფასია“

მოდის დიდი გულშემატკივარია. იმასაც ვიმედოვნებ, რომ სტუმრები დიზაინერთა შრომასაც სხვა თვალით შეხედავენ და გაიაზრებენ, რამხელა ძალისხმევასთანაა დაკავშირებული ასეთი შედევრების შექმნა. სამკერვალო ხელოვნების ეს ნიმუშები ხომ ნამდვილ ბრიტანულ ისტორიებს გვიყვებიან...“ **H**

**ტექსტი**: EMILY NASH
**მთავარი ფოტოები**:
IAN JONES PHOTOGRAPHY

განსაკუთრებით პოპულარულია ნორმან ჰარტნელის დიზაინით შეკერილი საქორწილო კაბა, რომელსაც ოთხმეტრიანი შლეიფი ამშვენებს. ქვევით – დედოფალი 2012 წელს ლონდონში გამართული ოლიმ-პიური თამაშების გახსნას დენიელ კრეიგთან ერთად დაესწრო და ამ შემთხვევისთვის არჩევანი ანჯელა კელის დიზაინზე შეაჩერა.







დამატებით გამოყენებული ფოტოები: ANWAR HUSSEIN/GETTY IMAGES. CAMERA PRESS/BARON. CECIL BEATON/CAMERA PRESS. HARRY MYERS/REX FEATURES. HULTON ROYALS COLLECTION/GETTY IMAGES. THE ROYAL COLLECTION. WENN


Strada
TBILISI
5 Marjanishvili Str.
+995 595992288

# სამეფო კარის დიზაინერები

**სამეფო ოჯახის წარმომადგენლები საკუთარ გარეგნობას კონკრეტულ დიზაინერებს ანდობენ და ამ მხრივ თავიანთი რჩეულებიც ჰყავთ**



## კემბრიჯის ჰერცოგინია

### Alexander McQueen

ალბათ არავის დაავიწყდება ვესტმინსტერის სააბატოში გამართული საქორწინო ცერემონია, რომელიც Alexander McQueen-ის კაბაში გამოწყობილმა ჰერცოგინიამ ჯადოსნური სილამაზის მოვლენად აქცია. პატარძლის კაბა იდეალურად აერთიანებდა ბრიტანული ბრენდის უნიკალურ სტილსა და სამეფო დიდებულებას. McQueen-ისავე დიზაინი ამშვენებდა კეიტ მიდლტონის ცხოვრების ისეთ მნიშვნელოვან მომენტებს, როგორებიც ბავშვების ნათლობა და დედოფლის ბრილიანტის იუბილე იყო.







## თანამედროვე ელეგანტურობა

კეიტის ზღაპრული საქორწინო სილამაზე სარა ბარტონის დამსახურება იყო. მან ზედმიწევნით გაითვალისწინა თავისი ბრენდის ხელწერა, და გამოყვანილი წელითა და გამოკვეთილი მხრებით, მდიდრული და ექსტრავაგანტური კაბა შექმნა. ის ყოველთვის ახერხებს კეიტის სტილი ყველასგან გამოირჩეოდეს და ამავდროულად სინაზესა და სისადავეს მაქსიმალურად ინარჩუნებდეს.

**კეიტი ყოველთვის მოხარულია, მნიშვნელოვანი მომენტები McQueen-თან ერთად აღნიშნოს**









## დედოფალი ლეტიცია

**Felipe Varela**

**2014** წელს, მეუღლის მეფედ კურთხევის ცერემონიაზე, დედოფალ ლეტიციას Felipe Varela-ს დიზაინით შექმნილი კაბა ამშვენებდა. სხვა ვარიანტი, ფაქტობრივად, არც განხილულა, იმიტომ, რომ ესპანელმა დიზაინერმა ყველაზე კარგად იცის როგორ უნდა წარმოაჩინოს ყოფილი ჟურნალისტის საუკეთესო მხარეები ისე, რომ დედოფლური და პროფესიული ელფერი ერთნაირად შეინარჩუნოს.







## დედოფალი რანია

**Elie Saab**

იორდანიის დედოფალი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს: „ვფიქრობ, სტილი მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო საშუალებაა“. მხოლოდ Elie Saab-ს შეუძლია, რანიასთვის შექმნას დიზაინი, რომელიც ადგილობრივ კულტურასთან ერთად, მთელ მსოფლიოს დაიტევს. სწორედ ასე იქმნება უნიკალური აღმოსავლურ-დასავლური სტილი, რომლის მაგალითადაც დედოფლის ოქროსფერი საღამოს კაბაც გამოდგება.



# პრინცესა შარლენი

## Akris



ყოფილმა ოლიმპიელმა შვეიცარიული Akris-ის კაბები ისეთ მნიშვნელოვან მომენტებში მოირგო, როგორებიც ნიშნობა და 2011 წლის „ვარდების მეჯლისი“ იყო. შარლენის დახვეწილ ფიგურას სამოსის გამოკვეთილი ფორმები ამშვენებს, უცნაურად ჩაქსოვილი Formula 1-ის დეტალები კი მის სპორტულ მხარეზე მიანიშნებს. „ახალ კოლექციაზე მუშაობისას ყოველთვის მასზე ვფიქრობ ხოლმე“, – აღიარებს Akris-ის დიზაინერი ალბერტ კრიმლერი.






















## შარლოტა კაზირაგი

### Gucci

მიუხედავად იმისა, რომ Chanel-ის სიყვარულით გაიზარდა, შარლოტას Gucci-სთვის მაინც განსაკუთრებული ადგილი აქვს გამოყოფილი. სწორედ ბრენდის კრეატიული დირექტორის დიზაინით შეიქმნა ყველა ის ფორმა, რომელიც კონკურის მოყვარულ პრინცესას შეჯიბრებებზე ეცვა. ცხენების სიყვარულის დამსახურებაა ისიც, რომ შარლოტა კაზირაგიმ Gucci-ს სარეკლამო რგოლში მიიღო მონაწილეობა.





## ბეატრის ბორომეო

**Armani**

მონაკოს სამეფო ოჯახის წარმომადგენელს დახვეწილი, თვალისმომჭრელი და მდიდრული სტილის სამოსი ხიბლავს. Armani-ს მოდის სახლი კი მის მოთხოვნებს იდეალურად აკმაყოფილებს. ამის დასტურია ისიც, რომ ხუთიდან სამი საქორწინო კაბა იტალიელი დიზაინერის ნახელავი იყო. პატარძალი, ბრილიანტებით გაწყობილი აბრეშუმის კაბით, ჰოლივუდის კაშკაშა ვარსკვლავს მოგაგონებდათ.





## შეიხა მოზა

**Stephane Rolland**

ყატარის შეიხის მეუღლის ქარიზმატულობა ფანტასტიკურად აისახება ხოლმე Stephane Rolland-ის დიზაინზე. ხელით მოხატული თეთრი კაბა, რომელიც შეიხა მოზას ფოტოზე ამშვენებს, სულ რაღაც ხუთ დღეში შეიკერა.













## პრინცესა კაროლინა

**Chanel**

Chanel-ის ცნობილი პიჯაკი, რომელიც კარლ ლაგერფელდმა განაახლა, ნამდვილად ამშვენებს მონაკოს პრინცესას, რომელიც დიზაინერის ახლო მეგობარია. „მოდის კეისრის“ მსგავსად, სამეფო ოჯახიც გათანამედროვებული ტრადიციული სამოსის მოყვარულია. „ჰიპების ეპოქაში გავიზარდე და ჩემზე, ალბათ, ამან იქონია გავლენა“, – აღნიშნა პრინცესამ ერთ-ერთ ინტერვიუში, – „აუცილებელიც კია, ყველაფერში რაღაც ხალისი შეიტანო“.

ტექსტი: MULENGA HORNSBY. ფოტო: GETTY IMAGES



## TAMUNA INGOROKVA
## FASHION HOUSE

**CONTACT**
Address: 13A Tamarashvili Street,
0177, Tbilisi, Georgia
Phone: (995 32) 291 28 72
E-mail: tamuna@ingorokva.com












# ბათუმში ALEX-BAR გაიხსნა

ბათუმში შემოდგომა მრავალფეროვანი და ხმაურიანი სიახლით დაიწყო: ქალაქის შუაგულში კარაოკე-ბარი Alex-Bar გაიხსნა, რომელმაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა სილამაზის სალონ Alex-ისა და მისი გუნდის პროფესიონალიზმი. საღამომ მეგობრულ ატმოსფეროში, გემრიელი წასახემსებლებისა და არომატული თეთრი ღვინის თანხლებით ჩაიარა. ყველაფერს კიდევ უფრო ჯადოსნურსა და ემოციურს ხდიდა ის მუსიკა, რომელიც ფონად ისმოდა. გაითვალისწინეთ, რომ Alex-Bar-ს ორი შესასვლელი აქვს: ერთი ქუჩიდან, მეორე კი – პირდაპირ სილამაზის სალონიდან. ასე რომ, თუ შემოდგომის სუსხიანი საღამოების თბილ, მყუდრო და ჰარმონიულ ატმოსფეროში გატარება მოგინდებათ, Alex-Bar-ს უნდა ეწვიოთ – ადგილს, სადაც დრო ჩერდება.








**ჯორჯიან ივენთს** ღონისძიებების მენეჯმენტის სრული მომსახურების სერვისის **15 წლიანი გამოცდილება** აქვს. კომპანია გთავაზობთ **PCO**, **DMC**, **CEP** და **MICE** სერვისებს, როგორც საერთაშორისო, ასევე, ქართველი კლიენტებისათვის, კომპანიებისათვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური წარმომადგენლობისათვის, როგორც საქართველოში, ასევე, მის ფარგლებს გარეთ.

**კომპანია არის დარგის ლიდერი**, განვითარებაში, პროდუქციასა და ღონისძიების სტრუქტურაში. უმაღლესი ხარისხის ინვენტარის ფართო არჩევანი, რომელიც ყოველთვის პასუხობს ახალ ტენდენციებსა და მოთხოვნებს. ჯორჯიან ივენთსი, ასევე, გთავაზობთ ფურშეტით მომსახურების სერვისსაც.

- კორპორაციული ღონისძიებები
- კონფერენციები
- საზოგადოებრივი ღონისძიებები
- სპეციალური ღონისძიებები (*ქორწილი, იუბილე*)
- სათავგადასავლო და გასართობი ტურები

OFFICE: +995 322 999 000 CELL: +995 593 76 78 72 WWW.EVENTS.GE

# დაზოგეთ თანხა და მიიღეთ საჩუქრები!

# გამოიწერეთ HELLO!




**ერთი წლით**
და მიიღეთ
**20%** ფასდაკლება

**ექვსი თვით**
და მიიღეთ
**10%** ფასდაკლება




**ჟურნალის გამომწერი** საჩუქრად **HELLO!**-ს ახალ ნომერსა და საზღვაო ჩანთას მიიღებს!

**პირველი ოქტომბრიდან HELLO! წაკითხვას სმარტფონებზე, პლანშეტებზე და პერსონალურ კომპიუტერებზეც შეძლებთ**




**ადგილზე მიტანის უფასო სერვისით HELLO! თქვენს ოჯახებს ყოველ თვე ესტუმრება!**
**ჟურნალის გამოწერის მსურველებმა დარეკეთ: +995 032 298 03 98**
ან **მოგვწერეთ ელექტრონულ მისამართზე: info@hellomagazine.ge**

**ფასდაკლებები და პრივილეგიები ეხებათ მხოლოდ 6 და 12 თვიან გამომწერებს.** შემოთავაზება მორგებულია ბეჭდურ ჟურნალზე და არ ვრცელდება **HELLO!**-ს ელექტრონულ ვერსიაზე. გამომწერები მუდმივად მიიღებენ განახლებულ ინფორმაციას ჟურნალში წარმოდგენილი ამა თუ იმ პროდუქტისა და მომსახურების შესახებ. **დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ელექტრონულ მისამართზე: info@hellomagazine.ge**

# HELLO! lifestyle



კარა დელევინი Suicide Squad-ის ნიუ-იორკულ პრემიერაზე მეტალის დეტალებით შექმნილი საკმაოდ თამამი შავი კაბით გამოცხადდა.

ფოტო: GETTY IMAGES



SHOPPING

# GET THE LOOK!

**კარა დელევინმა** პროფესიასთან ერთად სტილიც შეიცვალა – მოდელმა, რომელმაც ახლახან ბედი კინოშიც სცადა, ამჯერად სპორტული სტილის ნაცვლად გოთიკური ესთეტიკის შავი სამოსი მოირგო. **Anthony Vaccarello**-ს მეტალის სამაგრებით შექმნილ საკმაოდ თამამ კაბას 23 წლის კარამ **Christian Louboutin**-ის შავი ზამშის ბოტფორდები შეუხამა. მასიურ ბეჭდებთან და საყურესთან ერთად, მოდელმა უარი არც მკვეთრ მაკიაჟზე თქვა – **წითელმა ტუჩსაცხმა** და თვალის ბრჭყვიალა „ჩრდილებმა“ დელევინის გრანჟის სტილის LOOK-ი უფრო ქალური და დახვეწილი გახადა.

**1.** საყურე **ELLEARD HEFFERN hefern.com**; **2.** კაბა **ANTHONY VACCARELLO** 7061₾ **luisaviaroma.com**; **3.** ბეჭედი **ELLEARD HEFFERN hefern.com**; **4.** თვალის „ჩრდილი” **MAC** 50₾ **maccosmetics.com**; **5.** ტუში **MAC** 52₾ **maccosmetics.com**; **6.** ტუჩსაცხი **MAC** 38₾ **maccosmetics.com**; **7.** ჩექმა **NLYSHOES** 164₾ **p.nelly.com**

FASHION

# მეტალიკის აქცენტები

თუ გასულ სეზონზე მხოლოდ ოქროსფერი STATEMENT-ქურთუკები და ელექტრიკი ვერცხლისფერი ფეხსაცმელი თუ კლატჩები იყო მოდური, წელს მეტალიკი უფრო მასშტაბურ და მნიშვნელოვნად ტრენდად ჩამოყალიბდა და ყველაზე ფემინური სამოსიც კი გაახალისა.

**Saint Laurent**-ის კოლექციაში უხვად ვიხილეთ Animal Print-ის მეტალიკ LOOK-ები, **Giorgio Armani**-მ კი ეს ფაქტურა და ფერები მისთვის ჩვეულ დახვეწილობას შეუხამა. რაც შეეხება ქართველ დიზაინერებს, **დათუნა სულიკაშვილმა** მთლიანად ოქროსფრისა და შავის კომბინაციით შთაგონებული კოლექცია შემოგვთავაზა.



**ACCESSORIZE**
ჩანთა
195₾
**accessorize.com**



**ACCESSORIZE**
სამაჯური
67₾
**accessorize.com**



**George Amirejibi F/W 2016/17**

**Roberto Cavalli F/W 2016/17**

**Lako Bukia F/W 2016/17**

**Atelier Kikala F/W 2016/17**



**DOTS**
მოსაცმელი
290₾
**dotstbilisi.com**

**DOTS**
ფეხსაცმელი
190₾
**dotstbilisi.com**



**STRADIVARIUS**
მაისური
99₾
stradivarius.com

**TOPSHOP**
კლატჩი
84₾
topshop.com

**TOPSHOP**
კომბინეზონი
108₾
stradivarius.com

**STRADIVARIUS**
ბომბერი
129₾
stradivarius.com

**MARNI**
ფეხსაცმელი
1148₾
net-a-porter.com

Datuna Sulikashvili F/W 2016/17

Giorgio Armani F/W 2016/17

Alberta Ferretti F/W 2016/17

**BERSHKA**
კომბინეზონი
99₾

**TOPSHOP**
შარვალი
150₾
stradivarius.com

**KANCHAVELI (DOTS)**
ჩანთა
265₾
dotstbilisi.com

**ADIDAS**
ბოტასი
330₾
asos.com

Anuka Keburia F/W 2016/17



1



2

1. კაბა **MARIAM GVASALIA** 220₾;
2. ტოპი **ZARA** 40₾ **zara.com**; 3. ქვედაბოლო **Christopher Kane** 1522₾ **farfetch.com**;
4. ბომბერი **Issey Miyake** 1447₾ **farfetch.com**;
5. ქვედაბოლო **TOPSHOP** 167₾ **topshop.com**;
6. ქვედაბოლო **GUCCI** 6990₾ **net-a-porter.com**;
7. ქვედაბოლო **MSGM** 911₾ **matchesfashion.com**;
8. ქვედაბოლო **Sonia Rykiel** 941₾ **farfetch.com**



3



4



**ACCESSORIZE**
ბეჭდების ნაკრები
30₾
**accessorize.com**

**ACCESSORIZE**
ყელსაბამი
45₾
**accessorize.com**



**LIU-JO**
სათვალე
279₾
**Shop at KENARI**

FASHION

# პლისე ქვედაბოლოების COME BACK

თითქოს ძველმოდური და უსარგებლო ტრენდი მოდაში სრულიად მოულოდნელად დაბრუნდა. პლისე ქვედაბოლოები ამ სეზონზე ყველაზე ვინტაჟურ და ფემინურ სილუეტებს ქმნიან.



**BERSHKA**
ტოპი
45₾
**bershka.com**

**შიფონი**, **აბრეშუმი**, **ტყავი** და **უხეში ქსოვილები** – ფაქტურების მსგავსად, პლისეს სტილიც მრავალფეროვანია. **Valentino** დახვეწილ, წელში გამოყვანილ კაბებს გვთავაზობს, **Stella McCartney** კი – უფრო თავისუფალს და ჯინსებთან შეხამებულს. ნაკეცებიან ფაქტურებზე საუბრისას შეუძლებელია არ ვახსენოთ **Issey Miyake** – დიდოსტატი იაპონელი დიზაინერი, რომელიც ყოველ სეზონზე პლისეს ახალ ვარიაციებს გვთავაზობს.



5



6



7



8

9. შარვალი **GIVENCHY** 3342₾ **farfetch.com**; 10. ქვედაბოლო **Christopher Kane** 607₾ **farfetch.com**; 11. ბლუზა **ISSEY MIYAKE** 960₾ **farfetch.com**; 12. შარვალი **ISSEY MIYAKE** 1236₾ **farfetch.com**; 13. ბომბერი **ZARA** 60₾ **zara.com**; 14. შარვალი **ZARA** 53₾ **zara.com**















DOTS
F/W 2016/17

DOTS
F/W 2016/17






Datuna Sulikashvili
F/W 2016/17

Nino Babukhadia
F/W 2016/17

Valentino
F/W 2016/17

Stella Mccartney
F/W 2016/17

Valentino
F/W 2016/17



**BERSHKA**
ქვედაბოლო
79₾
**bershka.com**



ACCESSORIZE
სამაჯური
36₾
accessorize.com



MANGO
პიჯაკი
259₾
shop.mango.com



MSGM
კაბა
1333₾
net-a-porter.com



ACCESSORIZE
ყელსაბამი
75₾
accessorize.com

FASHION

# Blue VELVET

## Roberto Cavalli-ს ჰიპებით ინსპირირებულ კოლექციასთან ერთად, ხავერდი თითქმის ყველა წამყვანი დიზაინერის კოლექციაში ვიხილეთ

**Giorgio Armani**-მ **Head to toe** – შავი გოთური LOOK-ები შემოგვთავაზა, **Lanvin**-მა კი – რენესანსის ეპოქის სილუეტები ხავერდის მკლავებით. საკმაოდ საინტერესო ვარიაციები ვიხილეთ **Dolce & Gabbana**-ს კოლექციაშიც – ხავერდის მდიდრულ ფაქტურაზე შესრულებული ულამაზესი ნაქარგები და ორნამენტები. მოკლედ, შემოდგომის ეს მოდური ტრენდი თავის თავში ორ ძირითად მიმდინარეობას აერთიანებს – **ხავერდის Casual**, ყოველდღიურ სამოსსა და დიდი დოზით ნაქარგებს.



Aka Nanita F/W 2016/17

Leonard S/S 2016

Giorgio Armani F/W 2016/17

Roberto Cavalli F/W 2016/17

Dolce & Gabbana F/W 2016/17



MARIAM GVASALIA
კედები
240₾



DSQUARED2
კლატჩი
1391₾
farfetch.com



Lanvin
F/W 2016/17

**BERSHKA**
ტოპი
59₾
**bershka.com**

**DOTS**
მოსაცმელი
180₾
**dotstbilisi.com**

**TOPSHOP**
მოსაცმელი
216₾
**topshop.com**

Jaba Diasamidze
F/W 2016/17

**TOPSHOP UNIQUE**
კაბა
1127₾
**topshop.com**

**ROBERTO CAVALLI**
შარვალი
2074₾
**net-a-porter.com**

PRADA
F/W 2016/17

Roberto Cavalli
S/S 2016

*თუ ამ ფაქტურის პიჯაკი ან კომბინეზონი გაცვიათ, უარი თქვით ხავერდის სანდლებსა და კლატჩზე*

**TOPSHOP**
შუზი
586₾
**topshop.com**

NICHOLAS K
F/W 2016/17



CHARLOTTE OLYMPIA
კლატჩი
1577₾



NINA RICCI
Luna
სუნამო
110₾



MANGO
საყურე
45₾

FASHION

# it's party time!

## განახლებული გარდერობი საშემოდგომო წვეულებებისთვის

ოქტომბერი ზუსტად ის თვეა, როდესაც კარგი ამინდებით დატკბობისა და შემორჩენილი რუჯით თავის მოწონების შანსი მომავალ სეზონამდე ბოლოჯერ გეძლევათ. ეს თვე ღამის ცხოვრების სეზონის განახლებასთანაც ასოცირდება, ამიტომ გირჩევთ თქვენს საშემოდგომო გარდერობს **კოქტეილის ახალი კაბები** აუცილებლად შემატოთ. წელს აქცენტი ქალურ სილუეტებზე გაამახვილეთ – **წელში გამოყვანილი ფორმები**, **მაქმანები**, **პასტელის ტონები** და **ბრჭყვიალა ფაქტურები**. არ დაგავიწყდეთ აქსესუარები – **მეტალიკის კლატჩები** და **ქუსლიანი ფეხსაცმელი** ამ სეზონზე აუცილებლად დაგჭირდებათ! **HELLO!** საშემოდგომო გარდერობის გამოსაცოცხლებლად აუცილებელ ყველა საჭირო რეკომენდაციას გთავაზობთ და ამ აქტიური თვის მხიარულად გატარებას გისურვებთ.



ROBERTO CAVALLI
F/W 2016/17

TAMUNA INGOROKVA
F/W 2016/17

MACH&MACH
F/W 2016/17



1



2





3

Madalina Ghenea

Natalie Portman





**ETRO**
ბეჭედი
295₾

**OSCAR DE LA RENTA**
ყელსაბამი
805₾



**OSCAR DE LA RENTA**
საყურე
356₾



**PRADA**
სუნამო
163₾



**MANGO**
ფეხსაცმელი
129₾



4



5



8



9



10



6



7

**1.** შარვალი **TOPSHOP 169₾ topshop.com**; **2.** კაბა **TOPSHOP 116₾ topshop.com**; **3.** კომბინეზონი **ZARA 184₾ zara.com**; **4.** კაბა **TOPSHOP 307₾ topshop.com**; **5.** კაბა **STELLA MCCARTNEY 2328₾ theoutnet.com**; **6.** კაბა **BALMAIN 1516₾ theoutnet.com**; **7.** კაბა **TOPSHOP 212₾ topshop.com**; **8.** კაბა **TOPSHOP 209₾ topshop.com**; **9.** კაბა **TOPSHOP 212₾ topshop.com**; **10.** კაბა **TOPSHOP 199₾ topshop.com**



DALOOD
ქურთუკი
400₾

BERSHKA
ქურთუკი
119₾
bershka.com

MIUMIU
F/W 16/17

MIUMIU
F/W 16/17

GUCCI
შარვალი
2104₾
net-a-porter.com

Stella
Mccartney
F/W 16/17

Alexander
Wang
F/W 16/17

TOPSHOP
კომბინეზონი
165₾
topshop.com

TOPSHOP
ქვედაბოლო
105₾
topshop.com



**TOPSHOP**
ქურთუკი
165₾
**topshop.com**



**PULL&BEAR**
ქვედაბოლო
99₾
**pullandbear.com**



**ZARA**
ქურთუკი
152₾
**zara.com**



**TOPSHOP**
შარვალი
174₾
**topshop.com**

FASHION

# ძველი დენიმის ახალი სიცოცხლე

## 2016 წლის მოდური ტენდენციების დიდი ნაწილი 1990-იანი წლების გრანჟ-ესთეტიკითაა ინსპირირებული

ვინტაჟური **დიდი ზომის ჯინსის ქურთუკები**, **მაღალწელიანი შარვლები**... ყველაფერი, რაც ჩვენთვის **კურტ კობეინისა** და **Nirvana**-ს ეპოქას უკავშირდება, სეზონის MUST HAVE-სამოსის სიაში წამყვან პოზიციებს იკავებს. წამყვან დიზაინერებთან ერთად, ამ კუთხით საკმაოდ საინტერესო კონცეფციებს გვთავაზობენ მას-მარკეტის ბრენდები – **ZARA**-ს ნაქარგებითა და პრინტებით გაწყობილი დენიმის ქურთუკები შემოდგომის უპირობო ბესტსელერია, **MIU-MIU**-მ კი, სპეციალურად ამ სეზონისთვის, ცნობილი „ბალერინა“ ფეხსაცმლის ჯინსის ვერსია შემოგვთავაზა.



კიარა ფერანი



**MIUMIU**
ბალერინა ფეხსაცმელი
1422₾
**mytheresa.com**



**ZARA**
ქურთუკი
183₾
**zara.com**



კარა დელევინი

*MIU-MIU-მ ამ სეზონზე ცნობილი "ბალერინა" ფეხსაცმლის ჯინსის ვერსია შემოგვთავაზა, მას-მარკეტის ბრენდების უმეტესობამ კი – ნაქარგებით გაწყობილი დენიმის ქურთუკები.*

კაილი
ჯენერი



# Denim HAIR

## თმა ლაჟვარდოვანი ბზინვარებით







ახალმა მოდურმა ვარცხნილობამ ჯინსს სრულიად განსხვავებული დანიშნულება მოუძებნა. ამ ფაქტურის ინსპირაციით შექმნილმა თმის ფერმა გასული სეზონის ჰიტი – ფერადი ტონის მელირებები ჩაანაცვლა.

როგორც ჩანს **Denim Hair** ვარსკვლავებშიც საკმაოდ პოპულარულია - **კაილი ჯენერმა**, **ჰილარი დაფმა**, **რიანამ**, **ლედი გაგამ**, **რიტა ორამ** და **კარა დელევინმა** ამ მოდურ ტენდენციას თამამად აუწყვეს ფეხი. მათ მსგავსად, **HELLO!**-ს რჩევების გათვალისწინებით, ჩვენს მკითხველსაც შეუძლია თავი **ჯინსისფერი თმით** მოიწონოს.

**დაიმახსოვრეთ:** ვიდრე თმას სასურველი ტონით შეიღებავთ, **აუცილებელია შესაბამისი დიაგნოსტიკა ჩაიტაროთ** – გაიგოთ რა ტიპის საღებავია უმჯობესი თქვენი თმის ბუნებრივი ფერისა და სტრუქტურისთვის.




ღებვის **პირველი ნაბიჯი ბლონდირება** (**WELLA Professional BLONDOR** (2), იგივე „**ბლიჩინგია**“ – თმის ფერის ნეიტრალურ ტონზე დაყვანა და მისი საღებავისთვის მომზადება, რასაც **WELLA Professional Koleston Perfect**-ის (3) პროფესიული საღებავით თმის პასტელური კოლორირება მოსდევს. იმისათვის, რომ ფერის მკვეთრი ცვლილების ხარჯზე თმის სტრუქტურა და ღერების ხარისხი არ გაიფუჭოთ, აუცილებელია ყველა ეს პუნქტი ზედმიწევნით გაითვალისწინოთ. მესამე, ფინალური შტრიხი უკვე ფერისა და გრადაციების თქვენი სურვილის მიხედვით გადანაწილებაა - **WELLA Professional Instamatic**-ის (1) საღებავი თმას სასურველი ტონის ელფერს ანიჭებს, ხოლო **WELLA Professional Color I.D** (4) საღებავის გამომყოფის ფუნქციას ასრულებს და თმას ფოლგის გარეშეც იდეალურად ღებავს.




*Denim Hair-ის სახლის პირობებში მოვლისთვის, HELLO! გირჩევთ WELLA Professional Care-ის ხაზის შამპუნის, კონდენციონერისა და ნიღბის, ხოლო ვარცხნილობის შესაქმნელად WELLA Professional EIME-ს მუსისა და თმის ლაქის გამოყენებას*





BEAUTY

# სექსუალური ტუჩებისა და ხშირი წარბების საიდუმლო

MAKE-UP არტისტები და ვარსკვლავების სტილისტები ერთხმად თანხმდებიან იმაზე, რომ ქალის სილამაზის მთავარი საიდუმლო გამოკვეთილი წარბი და ტუჩებია. კარა დელევინისა და კირა ნაითლის განსაკუთრებული შარმი სწორედ მათი გამორჩეული წარბის ფორმის დამსახურებაა, ანჯელინა ჯოლი და სკარლეტ იოჰანსონი კი ყველაზე სექსუალური ქალბატონების სიის სათავეში საკუთარი ტუჩების ფორმის გამო არიან



კარა დელევინი

თანამედროვე პლასტიკური ქირურგიის წყალობით, **წარბისა და ტუჩის ფორმის შეცვლა** საკმაოდ მარტივი პროცედურითაა შესაძლებელი. **კონტურული მაკიაჟის დახმარებით** ნებისმიერ ქალბატონს შეუძლია სულ რაღაც 2 საათში გარდაისახოს, თანაც – რამდენიმე წლით! **პერმანენტული მაკიაჟი** სპეციალური მოწყობილობის დახმარებით კანში სხვადასხვა ფერის პიგმენტების მოთავსებას გულისხმობს, რის ხარჯზეც ტუჩი ვიზუალურად უფრო გამოკვეთილი, წარბი კი შესამჩნევად ხშირი ხდება. სრულიად უმტკივნეულო და უსაფრთხო პროცედურის უპირატესობები აქ არ მთავრდება – ეფექტი, რომელიც საკმაოდ დიდხანს შეგინარჩუნდებათ, დიდ დროსაც დაგაზოგვინებთ – კონტურული მაკიაჟის შემდეგ, ყოველდღიურად კოსმეტიკის მოხმარება აღარ დაგჭირდებათ.

**ფოტო**: ISTOCK, GETTY IMAGES



კირა ნაითლი



ბრუკ შილდსი



ანჯელინა ჯოლი



სკარლეტ იოჰანსონი

*პერმანენტული მაკიაჟი ტუჩს ვიზუალურად უფრო გამოკვეთილს, წარბს კი შესამჩნევად ხშირს გახდის და კონტურული მაკიაჟის შემდეგ, ყოველდღიურად კოსმეტიკის მოხმარება აღარ დაგჭირდებათ*








**ირინა ნაჭყებია**

კონტ. მაკიაჟის ექსპერტი

Facebook.com/inachkebiya

მობ.: +380 677 46 59 80

FITNESS

# 5 ნაბიჯი იდეალური პრესისთვის

ზამთრის მოახლოებასთან ერთად ზაფხულის პერიოდში მიღებული სხეულის სასურველი ფორმების შენარჩუნება ყველას სურვილია. HELLO! და ფიტნესკლუბი **OKTOPUS** წარმოგიდგენთ რამდენიმე ვარჯიშს, რომელიც იდეალური პრესის დაყენებასა და შენარჩუნებაში დაგეხმარებათ. რჩევებს კლუბის ინსტრუქტორი **დავით ბაბუნაშვილი** მოგვცემს, ვარჯიშების დემონსტრირებას კი მოდელი და ტელეწამყვანი **ლიკა ქორქია** შემოგვთავაზებს.

ლიკა დიეტას ვერასოდეს იცავს. უყვარს ტკბილეულობა, ცომეული და მსუყე საჭმელებიც. იმის გათვალისწინებით, რომ ძალიან კარგად იკვებება – დღეში 4-ჯერ, მიაჩნია, რომ ფორმის შესანარჩუნებლად მისთვის საუკეთესო გამოსავალი ვარჯიშია. დატვირთული რეჟიმის გამო სისტემატიურად ვარჯიშს ვერ ახერხებს, თუმცა კვირაში ოთხჯერ მაინც ცდილობს ეწვიოს ფიტნესდარბაზს. შეძლებისდაგვარად სტუმრობს საცურაო აუზსაც.

***„ვარჯიში გარკვეულწილად ჩემი ცხოვრების წესი გახდა. ის ტონუსსა და ენერგიას მმატებს. ვარჯიშის დროს ყველაზე მეტ ყურადღებას ზურგისა და კარდიოვარჯიშებს ვუთმობ“***, – გაგვანდო ლიკამ.

**ტექსტი:** ლელა კახიანი.; **ფოტო:** ლევან ჭყონია.



## 2

შემდეგი ვარჯიში 45 გრადუსით აზიდვებს ითვალისწინებს. ამ დროს მუშაობს როგორც პრესის ქვედა, ასევე შუა ნაწილი. იმის მიხედვით, თუ რამდენად მაღლა ვიწევით, შესაბამისი კუნთის ნაწილი იტვირთება.



## 1

ამ ვარჯიშით ვამაგრებთ პრესის ქვედა კუნთებს. ზურგით ვეყრდნობით სპეციალურ ბურთს, ფეხებს მაქსიმალურად მაღლა ვწევთ და ნელ-ნელა ჩამოგვაქვს. შესაძლებელია ფეხების როგორც გასწორებულ, ასევე მოხრილ მდგომარეობაში აწევა.



## 3

ეს ვარჯიში ერთდროულად სასარგებლოცაა და გასართობიც. სრულდება მოხრილი მუხლებით. ბურთის სროლა გარკვეულ წინაღობას ქმნის, რომელიც ჩასვლას და ასვლას ართულებს და უფრო კარგად ავარჯიშებს კუნთს. ვარჯიში ასევე მთელ პრესს ამუშავებს. გირჩევთ დაამატოთ მცირე წონა – ეს ვარჯიშის ეფექტურობას უფრო გაზრდის.



## დავით ბაბუნაშვილი

*„უპირველეს ყოვლისა უნდა გვახსოვდეს, რომ სასურველი შედეგის მისაღებად მხოლოდ ვარჯიში საკმარისი არ არის. უფრო მეტი ყურადღება სწორ კვებას უნდა დაეთმოს. ჭამეთ დღეში ოთხჯერ განსაზღვრულ დროს, მიიღეთ ბევრი წყალი, ეცადეთ მაქსიმალურად შეამციროთ შაქრის რაოდენობა. რაც შეეხება პრესის კუნთების ვარჯიშს, ზოგადად მას ბოლოს აკეთებენ, რადგან სხეული ამ დროს უკვე კარგადაა გახურებული და ეს ვარჯიშები დიდ ენერგიას გახარჯვინებს“.*

ყველას ვურჩვე ე.წ. PLANK ვარჯიშებს. ის მთლიან მუცლის არეს ეხება და ყველაზე უსაფრთხოა. შესაბამისად მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულიცაა. ამ ვარჯიშის შესრულება სახლის პირობებშიც არ წარმოადგენს პრობლემას.

4





ბოლო – „ბურთზე ბურთით ვარჯიში“ გახლავთ. ამავე დროს ჩვენ ბალანსზეც ვვარჯიშობთ. ბურთი ერთი ხელიდან მეორეში გადაგვაქვს, ვიცავთ წონასწორობას და ამავდროულად პრესის, და განსაკუთრებით შუა პრესის კუნთები დაჭიმულ მდგომარეობაში რჩება. ხელებით ბურთის გადატან-გადმოტანა კი მარცხენა და მარჯვენა მხარეებს ჭიმავს.

5



ფოტო: ISTOCK

BEAUTY

# პილინგის სეზონი

მიიწურა საზღვაო სეზონი და შემოდგომასთან ერთად პილინგის დროც დადგა. მათ, ვინც ზაფხულში სასურველი ტონის რუჯი მიიღო, ოქტომბერში როგორც წესი კანის აქერცვლის, აჭრელებისა და გამოშრობის პრობლემა აწუხებს

სწორედ თქვენთვის, **HELLO!**-მ საუკეთესო პროცედურებისა და კოსმეტიკური საშუალებების ნაკრები შეადგინა, რათა კანის დატენიანება და გაჯანსაღება უფრო გაგიიოლოთ. ჩვენი რედაქციის მიერ შერჩეული 3 განსხვავებული დანიშნულებისა და ეფექტის პილინგი, კანის ექსფოლაციასთან ერთად, გლუვი და ერთგვაროვანი ეფექტის მიღებაშიც დაგეხმარებათ.

## HELLO!-ს რედაქტორების რჩეული კოსმეტიკური საშუალებები




**ALDO VANDINI**
ტანის პილინგი ინდური სანელებლების არომატით.
**PHARMADEPOT**

**DR RENAUD**
ტანის კრემი ექსფოლაციისა და უჯრედების აღდგენის ფუნქციით. **GPC**

# პილინგი – 10 პრობლემის გადაჭრა ერთი პროცედურით

**შემოდგომა სწორედ ის დროა,** როდესაც უნდა დავფიქრდეთ, როგორ აღვადგინოთ მზისა და სიცხისგან დაზიანებული და გამომშრალი კანი. თუ სიმშრალესთან ერთად გაწუხებთ აკნე, პიგმენტური ლაქები, ნაწიბურები ან წვრილი ნაოჭები, შეგიძლიათ ყველა ეს პრობლემა ერთი პროცედურით – პილინგით მოაგვაროთ. პილინგის დროს კანის მკვდარი უჯრედები იქერცლება და რეგენერაციის ბუნებრივი პროცესი მიმდინარეობს, რის შედეგადაც დაზიანებული კანის მაგივრად ჯანმრთელ და ახალგაზრდა კანს ვიღებთ.

*პილინგის ჩატარება ყველა ასაკში მიზანშეწონილი და აუცილებელიცაა*

სახის პილინგის მრავალი სახეობა არსებობს. **HELLO!**-ს რედაქცია მკითხველს კლინიკაში „**მედი**“ არსებულ ყველაზე თანამედროვე, ეფექტური და უსაფრთხო პილინგის პროცედურების ჩატარებას ურჩევს. აქ ხელმისაწვდომია როგორც **ლაზერული**, ასევე **ქიმიური პილინგები**. აუცილებელია კანის ტიპისა და პრობლემების გათვალისწინება.

## ლაზერული DOT-პილინგი

**DOT – ფრაქციული ლაზერია**, რომელიც კანის აბლაციას ახდენს, ანუ კანი ლაზერის მაღალი ენერგიის გამოყენებით იქერცლება. **პროცედურის შედეგად დაზიანებული და დაბერებული კანი ახლდება**. სხვა ტექნოლოგიებისგან განსხვავებით **ლაზერული DOT-პილინგი კანის სტრუქტურას მთლიანად არ არღვევს** და მომენტალურად ახალ კოლაგენს ასტიმულირებს. რეაბილიტაცია უმტკივნეულოდ, 4-დან 7 დღემდე მიმდინარეობს.

## ლაზერული FRAXEL-პილინგი

**FRAXEL არის ფრაქციული ლაზერული პილინგის უახლესი ტექნოლოგია**. პროცედურა ყოველგვარი აქერცვლის გარეშე მიმდინარეობს. მისი დასრულებისთანავე შეგიძლიათ დაუბრუნდეთ ცხოვრების ჩვეულ რიტმს. **უნიკალური ლაზერი კანის ზედაპირს ამუშავებს**, ცვლის მის ხარისხობრივ მაჩვენებლებს და მას გლუვს, ერთგვაროვანს, მკვრივსა და ელასტიკურს ხდის, **აფერმკრთალებს კანს** და **აქრობს პიგმენტულ ლაქებს**, ასწორებს წვრილ ნაოჭებს, აქრობს აკნესა და აკნეს შემდგომ ნაწიბურებს, სტრიებს. ასევე აჩერებს დაბერების პროცესს.

## ქიმიური პილინგი

**ქიმიური პილინგი სწრაფი და ეფექტური პროცედურაა**. კანის თვითგენერაცია თვალსაჩინო ხდება პროცედურის დასრულებისთანავე. პროცედურის შედეგად კანის შრეებში კოლაგენი და ელასტინი ახლდება. **პილინგის მეთოდი** და **პროცედურის რაოდენობა დამოკიდებულია პაციენტის ასაკსა და კანის მდგომარეობაზე**, რასაც მკურნალი ექიმი ინდივიდუალურად არჩევს.

შემოდგომა იდეალური პერიოდია პილინგისთვის. **ეწვიეთ კლინიკა „მედის“ დერმატოლოგ-კოსმეტოლოგებს**, აირჩიეთ თქვენი სახის კანისთვის შესაფერისი პილინგი და სეზონური, **30%-იანი ფასდაკლებაც მიიღეთ** (***ქიმიური პილინგი*** *– 49₾,* ***DOT-ლაზერი*** *– 210₾,* ***FRAXSEL*** *– 420₾*). იზრუნეთ კანის ახალგაზრდობისა და სიმკვრივის დიდხანს შენარჩუნებაზე.

***კლინიკა „მედი“****, კოსტავას ქ. 52*
*ტელ.: +995 322 910 000*




## პილინგის საშუალებით 10 პრობლემის გადაჭრა შეგვიძლია

აკნე, პიგმენტური ლაქები, ნაწიბურები, ფორები, სტრიები, წვრილი ნაოჭები, გამომშრალი კანი, დაბერების პროცესი, კანის დაკარგული ელასტიკურობა, კანის არაერთგვაროვანი სრუქტურა და ფერი.





*აპარატოლოგიური პილინგის შემდეგ კანი სიღრმისეულად იწმინდება, იშორებს მკვდარ უჯრედებს და გლუვი და ერთგვაროვანი ხდება*



# აპარატოლოგიური პილინგი

აპარატოლოგიური კოსმეტიკის ინოვაციებს შორის გამორჩეულად აქტუალური **HydraFacial**-ის პროცედურაა (***Crowne Plaza Borjomi*** ბორჯომი, ბარათაშვილის ქუჩა #9), რომელიც კანის სიღრმისეულად გაწმენდასა და ექსფოლაციასთან ერთად, მიმიკურ და ასაკობრივ ნაოჭებსაც ებრძვის. პროცედურა, რომელიც ღრმად **წმენდს**, **ქერცლავს** და **ატენიანებს კანს**, ასევე იდეალურია გარუჯვისგან მიღებული ზიანის სამკურნალოდაც და რეკომენდებულია ყველა ტიპის კანისთვის. ძლიერი ეფექტი და შესანიშნავი შედეგი პროცედურის სხვადასხვა ეტაპისა და მათი კომბინაციის დამსახურებაა – პირველი ნაბიჯი **ლიმფოდრენაჟია**, რომელსაც **LED-სანათების თერაპია** მოსდევს, ფინალური შტრიხი კი **კოლაგენის ნიღაბია**. სწორედ ამ სამი ეტაპის გამო, კანი ღრმად იწმინდება, იშორებს მკვდარ უჯრედებს და გლუვი და ერთგვაროვანი ხდება. ცხადია, ასეთი პროცედურა ნებისმიერ სეზონზე აუცილებელია, თუმცა ოქტომბერში, აქტიური გარუჯვის შემდეგ, ყველაზე მეტადაა რეკომენდებული.



*ZO skin-ის 3 ეტაპისგან შემდგარი ინტენსიური პილინგის თერაპია ებრძვის უხეში ტექსტურის კანს, აქრობს აკნეს, ნაწიბურებს, და ასუფთავებს ფორებს*

1




**ZOO MEDICAL**
პილინგის ხსნარი
**PHARMADEPOT**

2




**ZOO MEDICAL**
რეტინოლის კრემი
**PHARMADEPOT**

3




**ZOO MEDICAL**
დამატენიანებელი, ანტიანთებითი საფეხური
**PHARMADEPOT**





# ღრმა პილინგი

ცხადია, ექსფოლაციასა და კანის დატენიანებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი, მიღებული შედეგის შენარჩუნებაა. **ZO skin**-ის 3 ეტაპისგან შემდგარი **ინტენსიური პილინგის თერაპია** (***„ფარმადეპოს" ესთეტიკური კაბინეტი***) სწორედ ამ მისიას ემსახურება. გარდა იმისა, რომ პროცედურა ებრძვის **უხეში ტექსტურის კანს, ასევე აქრობს აკნეს, ნაწიბურებს**, და **ასუფთავებს ფორებს**, ის მიღებული ეფექტის ხანგრძლივი დროით შენარჩუნებაშიც გეხმარებათ. თანაც ეს შედეგი მხოლოდ ვიზუალურად შესამჩნევი არაა – პროცედურის შემდეგ კანი ღრმად დატენიანებული და გამოცოცხლებულია.







WINE

# ვაზი საქართველოს განძი

მსოფლიოს ახალი ფავორიტი ჰყავს – ღვინო, რომელიც ყოველგვარი მინარევისა და დანამატის გარეშე, ბუნებრივ პირობებში მზადდება. სხვა ქვეყნებში ეს შესაძლოა ახალი ტენდენცია იყოს და ბევრს საუცხოოდაც კი ეჩვენებოდეს, მაგრამ საქართველოში ნატურალური, ქვევრში დაყენებული ღვინის ისტორია ათასწლეულების წინ იწყება!

ტრადიცია, რომელმაც ჩვენი ქვეყანა მეღვინეობის უძველეს კერად აქცია, თვით იუნესკომაც კი აღიარა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად! სტუმრების რაოდენობას არც აქამდე ვუჩიოდით, მაგრამ აშკარაა, რომ ნატურალურ ღვინოს „მოწყურებული“ ტურისტები საქართველოში უფრო და უფრო მომრავლდებიან, და განძს, რომელსაც ასე გულმოდგინედ ვუვლით და ვუფრთხილდებით, ჩვენთან ერთად გაიზიარებენ. დროა მსოფლიომ კიდევ უფრო ახლოს გაიცნოს ქვევრი, როგორც ღვინის უნიკალური ჭურჭელი, და ქართული ღვინო, რომელიც უკვე დიდი ხანია ჩვენი ქვეყნის N1 სავიზიტო ბარათად მიიჩნევა. **HELLO!** ქვევრის ღვინის საუკეთესო სახეობებს წარმოგიდგენთ, და ამავდროულად ქარხნული ღვინის რჩეულებსაც გაგაცნობთ.

# ქართული ღვინო – საუკეთესო არომატი შემოდგომის საღამოებისთვის

შემოდგომა ძალასა და ფერებს იკრებს, ჩვენ კი უფრო და უფრო გვსიამოვნებს ნისლიანი და ბურუსიანი საღამოების ბუხრის პირას ან სანთლის შუქზე გატარება. ასეთ დროს არც თბილ პლედში გახვევა და საყვარელი ფილმის ნახვაა ურიგო და არც საინტერესო წიგნის კითხვა. რასაც უნდა აკეთებდეთ, შემოდგომის საღამოებს არაფერი ამყუდროვებს ისე, როგორც ჭიქა ღვინო. ეს პროცესი კი ორმაგად სასიამოვნოა მაშინ, როდესაც ზუსტად იცით, რომ სასმელი, რომელიც თქვენს ჭიქაში ასხია, განსაკუთრებულია. HELLO! ღვინის სწორედ ასეთ გამორჩეულ სახეობებს წარმოგიდგენთ...






## ბიოღვინოები

ორგანული მეღვინეობა ახალი და პოპულარული მიმდინარეობაა. ბიოღვინის წარმოებისას გარეშე დანამატებს საერთოდ არ იყენებენ და დაღვინების პროცესშიც მინიმალურად ერევიან. სწორედ ასეთია **„ჯაყელების“ ბიოღვინო**, რომელმაც მსოფლიო ხარისხის კონვენციის ოქროს ჯილდოც დაიმსახურა. ის ძალიან განსხვავდება კლასიკური მეთოდით დამზადებული სასმელისგან და საოცრად **მდიდარია მთრიმლავი ნივთიერებებითა** და **უნიკალური არომატით**.

## ქვევრის ღვინო

„რქაწითელი ქვევრი“ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული სახეობაა. **„ასკანელი ძმების“ ქვევრის ღვინო** ქართველი წინაპრების ტრადიციების მიხედვით, ქვევრებშია დაყენებული და 6 თვის განმავლობაში მზადდება. როგორც ამბობენ, ეს უნიკალური მეთოდი უკვე **8000-ზე მეტი წლისაა** და რასაკვირველია ღვინის გემოზეც შესაბამისად აისახება. „**ქვევრი 2015**“ იმით გამოირჩევა, რომ წინანდლის აღდგენილ მამულშია დაყენებული და უძველეს – **200-წლიან ტრადიციას აგრძელებს**. კიდევ ერთი დეტალი, რომელიც მას განსაკუთრებულსა და ძვირფასს ხდის, არის ის, რომ **ქვევრის ღვინო თანამედროვე ქართული მეღვინეობის დამაარსებლის – ალექსანდრე ჭავჭავაძის დაბადების 230-ე საიუბილეო წელიწადს ეძღვნება**. „თავად ალექსანდრე ჭავჭავაძის წინანდლის მამულის“ ქვევრის ღვინო ტრადიციული კახური მეთოდითაა დაყენებული და მისი შეძენა ამჟამად მხოლოდ წინანდლის მამულში ან „**რადისონ ბლუ ივერიას**“ მაღაზიაშია შესაძლებელი. კარგი იქნება, თუ მას თევზეულთან ან სუნელებით შეზავებულ კერძებთან ერთად დააგემოვნებთ.








# თეთრი ღვინო

„მწვანე“ საოცრად არომატული საზაფხულო ღვინოა, რომელიც ერთ-ერთი უძველესი კახური ჯიშისგან მზადდება. სახელი მწიფე მარცვლების მოყვითალო-მომწვანო ფერის გამო ჰქვია. მას **ლიმონისა და მუშმალის მკვეთრი არომატი** გამოარჩევს და ნორმალურალკოჰოლიანი, მაღალჰარმონიული და ხალისიანია. „**თამადის**“ ამ სახეობას შუშხუნა, სასიამოვნო მჟავიანობაც აქვს. შესაბამისად, კარგი მისაყოლებელია მარილიან ყველთან, შემწვარ კალმართან, ხამსასა და კრევეტებთან. როგორც ყველა თეთრ ღვინოს უხდება, კარგი იქნება, თუ „**მწვანესაც**“ ჩაცივებულს დააგემოვნებთ.

„**კახური ღვინის მარნის**“ თეთრ მშრალ ღვინოს ჩალისფერი და მომწვანო ელფერი დაჰკრავს. მისი გემო ნაზი, ჰარმონიული, დახვეწილი, ხალისიანია და **ხილის ტონებითა** და **ჯიშური არომატით** გამოირჩევა. „**მანავის**“ დაგემოვნება ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო პროცესია. საოცრად უხდება მსუბუქ სალათებს, ორთქლზე მოხარშულ თევზეულს, თხის ყველს, ბატკნისა და ხბოს ხორცს. ხშირად დესერტთან ერთადაც მიირთმევენ. კარგი იქნება, თუ „**კახური ღვინის მარნის**“ ამ სახეობას ჩაცივების გარეშე დააგემოვნებთ.















> დროა მსოფლიომ კიდევ უფრო ახლოს გაიცნოს ქართული ღვინო, რომელიც უკვე დიდი ხანია ჩვენი ქვეყნის N1 სავიზიტო ბარათად მიიჩნევა




# წითელი ღვინო

ეს მშრალი ღვინო **წითელყურძნიანი ვაზის უძველესი ჯიშისგან** მზადდება. მუქი შეფერილობის სასმელს ალკოჰოლისა და მჟავიანობის ნორმალური, დაბალანსებული შეფარდება აქვს და ჰარმონიული, ხავერდოვანი და მდიდარი არომატით გამოირჩევა. „**ოჯალეში**" იდეალურად ეწყობა ტრადიციულ ქართულ კერძებს, განსაკუთრებით კი – **მეგრულ სამზარეულოს**. ასეთივე კარგი გადაწყვეტილებაა მისი დაგემოვნება ჩურჩხელასთან, ქიშმიშთან, ჩირსა და შემწვარ გოგრასთან ერთად. სასურველია, „**გიუაანის**" წითელი მშრალი ღვინო გრილ ადგილას შეინახოთ.

დეგუსტატორები ხშირად ამბობენ, რომ „**შუმის**" „**ილერკო**" საუკეთესო სასმელია განსაკუთრებული ამბების აღსანიშნად და ჯადოსნური მომენტების გასახანგრძლივებლად. **ღვინო ძალიან უხდება გრილზე შემწვარ ხორცეულს, მსუბუქ სალათებსა** და **მარილიან ყველს**. ნამდვილად ისიამოვნებთ, თუ „**ილერკოს**" სპაგეტისთან ან ამოლესილ ლობიოსთან ერთად დააგემოვნებთ. ეცადეთ სასმელი ოთახის ტემპერატურაზე შეინახოთ. მისი ჩაცივება რეკომენდებული არ არის.

**ტექსტი**: ელენე მარგალითაშვილი. **ფოტო**: GEOTOURIST.GE; ბაჩო თაბატაძე



WINE

# საუკეთესო ღვინის ბარები

მაშინ, როდესაც სამსახური და სხვა საქმეები დაგღლით და ყველაფრისგან განტვირთვა ჰაერივით დაგჭირდებათ, რამდენიმე ვარიანტი არსებობს. ყველაზე მარტივი, იაფი და სასიამოვნო გამოსავალია ღვინის ბარს ესტუმროთ და დასამახსოვრებელი მომენტები საყვარელ ადამიან(ებ)თან ერთად გაიზიაროთ. ამგვარად, დასვენებასაც შეძლებთ, განწყობის გაუმჯობესებასაც და გონების განტვირთვასაც. იმისათვის, რომ არჩევანი გაგიმარტივდეთ და ზუსტად იცოდეთ, საით უნდა გაემართოთ, HELLO! საუკეთესო ღვინის ბარებს წარმოგიდგენთ...



## 8000 VINTAGES

მყუდრო და ვინტაჟურ სტილში გადაწყვეტილი ინტერიერი – ესაა პირველი, რაც ღვინის ბარში **„8000 მოსავალი“** შესვლისას თვალში მოგხვდებათ. ამ ჯადოსნურ ღვინის ბარში არა მხოლოდ ღვინის რჩეული სახეობები, არამედ მაღაზია და საღონისძიებო სივრცეც ერთიანდება. როცა სასმელის გაცნობას დაიწყებთ, აუცილებლად შეამჩნევთ სპეციალურ ნიშნულს – **„შერჩეულია „8000 მოსავლის“ მიერ“**. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ღვინის სახეობა, რომელსაც თვალი დაადგით, სპეციალურად გაერთიანებული პროფესიონალი დეგუსტატორების მიერაა შერჩეული, თანაც – **ფარული გასინჯვის წესით**. ამ ღვინის ბარის მთავარი მიზანია რაც შეიძლება მეტ ადამიანს გაასინჯოს და შეაყვაროს კარგი ქართული ღვინო. ამავდროულად, **„8000 მოსავალის“** წევრები იმაზეც ზრუნავენ, რომ საქართველოში ღვინის სმის კულტურა აამაღლონ და უპირატესობა მაქსიმალურად ხარისხიან სასმელს მიანიჭონ. ***მისამართი***: *სულხან ცინცაძის 26*













# g. VINO

**ღვინის ბარი g.VINO ის ადგილია,** რომელსაც ღვინის მოყვარულები ყოველდღე სტუმრობენ. გარდა უგემრიელესი სასმელისა, რომელშიც თითოეული მეღვინის სული და გულია ჩადებული, აქ იდეალური, ძალიან მყუდრო და ჰარმონიული გარემოა. ბარში **შეგიძლიათ დააჭაშნიკოთ ბუტიკური ტიპის, ლიმიტირებული, იშვიათი სახეობის ღვინის სორტები**. **g.Vino**-ში მისული ტურისტები უძველესი ღვინის გემოსა და ქართული სამზარეულოს მარგალიტებს ეცნობიან. ***მისამართი***: *ერეკლე II-ის N6*





FASHION

# შემოდგომის ლეგენდები

წინანდალში, ქართველ დიდგვაროვანთა მამულებში, XIX საუკუნის ისტორია ცოცხლდება. შემოდგომა ამ მხარეში განსაკუთრებით მაგიური სეზონია – ფოთოლცვენის ფერები და კახური სტუმართმოყვარეობა ჭავჭავაძეების სახლ-მუზეუმში განსაკუთრებულ ჰარმონიას ქმნის ერთმანეთთან.

მარცხნივ:
**ნაქსოვი ბრჭყვიალა კაბა**
**Lalo Cardigans**
**ნაქსოვი კარდიგანი**
**Lalo Cardigans**
**სამკაული**
**Style Avenue**
Chronograph

მარჯვნივ:
**ჭაობისფერი სვიტერი**
**Lalo Cardigans**
**ნაქსოვი მოსაცმელი**
**Lalo Cardigans**
**ჰაეროვანი ქვედაბოლო**
**Lalo Cardigans**
**სამკაული**
**Style Avenue**
Chronograph





ზევით:
**ნაქსოვი კაბა და მოსაცმელი**
**Lalo Cardigans**
**სამაჯურები**
**Style Avenue**
Chronograph

ქვევით:
**ნაქსოვი კაბა და მოსაცმელი შემოდგომის ფერებში**
**Lalo Cardigans**
**სამაჯურები**
**Style Avenue**
Chronograph



ნაქსოვი კაბა და
მოსაცმელი
**Lalo Cardigans**

სამაჯურები და
ბეჭედი
**Style Avenue**
Chronograph

*შემოდგომა კონტრასტული ფაქტურების ერთმანეთში შერევის სეზონია. თამამად მოირგეთ ნაქსოვი სამოსი: მოსაცმელები, ჰაეროვანი კაბები და სვიტერები. შეუხამეთ ამ ყველაფერს თამამი და მასიური სამკაულები*



მარცხნივ:
**სვიტერი**
**Lalo Cardigans**
**კრემისფერი ქვედაბოლო**
**Lalo Cardigans**
**სამკაული**
**Style Avenue**
Chronograph

მარჯვნივ:
**ნაქსოვი კარდიგანი**
**Lalo Cardigans**
**კაბა**
**Chardin One**
**სამკაული**
**Style Avenue**
Chronograph



სვიტერი
**Lalo Cardigans**

სამკაული
**Style Avenue**
Chronograph



ბორდოსფერი კარდიგანი
**Lalo Cardigans**

ღვინისფერი კაბა
**Aka Nanitashvili**
Chardin One

*ქალური, დახვეწილი სილუეტის ბორდოსფერი კაბა, ნაზთან ერთად საკმაოდ სექსუალურიცაა. ამ ყველაფერს ძალიან უხდება ნაქსოვი მოსაცმელი იგივე ფერში*

**ფოტო**: ლევკო ჭყონია
**მოდელები**:
ელენე ჩხენკელი
ელენე იაკობაშვილი
**სტილი**: ანი კოკაია
**ვიზაჟი**: ნათია რაზმაძე
**თმა**: თეონა ინსარიძე, SHINIONI
**ლოკაცია**:
HOUSE MUSEUM OF ALEXANDER CHAVCHAVADZE




**PROF BEAUTY** (ა. თვალჭრელიძის ქ. 2), **FRANK PROVOST** (ი. აბაშიძის ქ. 22), **ექსელენსი** (ფალიაშვილის ქ. 44/5,) **ვიზაჟი** (ფალიაშვილის ქ. 98), **მელანჟი** (ფალიაშვილის ქ. 72), **სალონი ლა ტრუფე** (თამარაშვილის ქ. 4ა), ესთეტიკის ცენტრი **დერმა** (ყაზბეგის გამზ. 25ა), **პოდიუმი** (ფალიაშვილი ქ. 41), **ვართ ბიუთი** (ფალიაშვილის ქ. 39ა), **გლამური** (ფალიაშვილის ქ. 72), **რენესანსი** (ი. აბაშიძის ქ. 37), **NEW TREND** (ი. აბაშიძის ქ. 41), **LA SOLEIL** (ი. აბაშიძის ქ. 69), **L'ACADEMIE** (ქუთათელაძის ქ. 1ა), **FIX** (ბარნოვის ქ. 75), **G&L** (კ. გამსახურდიას გამზ. 39ა), **ART HOUSE** (აფაქიძის ქ. 12), **COURAGE** (ასლანიდის ქ. 19/21), **4U** (მიცკევიჩის ქ. 29), **LE BLANC** (კანდელაკის ქ. 31), **DIAMOND** (ყაზბეგის 17), **ME & ME** (კ. გამსახურდიას გამზ. 37), **N.ZH** (მიჩკევიჩის ქ. 15), **REDRESS** (ალ.ყაზბეგის 31), **BLUSH** (ვაჟა-ფშაველას გამზირი 46), **ნეო-ნეო** (ბახტრიონის ქ. 11ბ), **ლა ჟოლი** (ყაზბეგის გამზ. 4), **ანასტასია** (გამსახურდიას გამზ. 37), **ლიზი** (გამსახურდიას გამზ. 20), **ლოლა** (სანქტ-პეტერბურგის ქ. 3)

FASHION

# ყველაფერი ღვინისფერი

## შემოდგომის ყველაზე მოდური ფერი დიზაინერებმა პოდიუმზე ჯერ კიდევ გასულ სეზონზე შემოგვთავაზეს

**Hermes**-ის **ბორდოსფერი კაბები** მკაცრი ჭრებით, **Rodarte**-ს **ღვინისფერი ზღაპარი** ვიქტორიანულ სტილში და **Fausto Puglisi**-ს ღვინისფერისა და ელექტრიკი ლაჟვარდისფერის თამამი კონტრასტები. განსაკუთრებით მოდურია ამ ტონის ლაბადები, ქურთუკები, ბომბერები და აქსესუარები.



**MAISON MICHEL**
შლაპა
1103₾
**net-a-porter.com**











**REBECCA VALLANCE**
კაბა
1516₾
**farfetch.com**



**SAINT LAURENT**
პერანგი
1921₾
**net-a-porter.com**



**CHLOE**
ყელსახვევი
252₾
**net-a-porter.com**





**GIANVITO ROSSI**
ფეხსაცმელი
1353₾
**farfetch.com**



**VICTORIA BECKHAM**
ჩანთა
2191₾
**net-a-porter.com**




**BURBERRY**
ტუჩსაცხი
93₾
**burberry.com**



**MIUMIU**
საყურე
601₾
**net-a-porter.com**



RODARTE
F/W 2016/17





LANVIN
F/W 2016/17



HERMES
F/W 2016/17



HERMES
F/W 2016/17

> ღვინისფერი ძალიან უხდება დენიმს, წითელს და ბორდოსფერის მონოქრომულ ტონებს



**TOPSHOP**
შუზი
246₾
**topshop.com**

BEAUTY

# ფერებით თამაში

ღვინოსთან და შემოდგომასთან ასოცირებადი ფერები რომ სეზონის ყველაზე აქტუალური ტრენდია, ამას მაკიაჟის ძირითადი ტენდენციებიდანაც მარტივად მიხვდებოდით. HELLO! გთავაზობთ საშემოდგომო მანიკიურის ტენდენციებს




ფოტო: ISTOCK, GETTY IMAGES






ჯიჯი ჰადიდი

გასაკვირი არაა, რომ იგივე პრინციპით, ოქტომბერში **ბორდოსფერი** და **შინდისფერი** მანიკიურიც საკმაოდ მოდურია. იმისათვის, რომ ლაქმა 2 კვირაზე მეტხანს გაგიძლოთ, **შილაკი** საუკეთესო საშუალებაა. კორექციის გარეშე, **ხანგრძლივად შენარჩუნებული მკვეთრი ფერი**, **კრისტალური მბზინვარება** და **არანაირი დაზიანება** – ეს ყველაფერი მხოლოდ **CND**-ის **შილაკითაა** შესაძლებელი. ფრჩხილების მოვლის მსოფლიოში ცნობილი ბრენდი ამ სეზონზე თქვენი ოქტომბრის გარდერობისა და მოდური ტენდენციების გათვალისწინებით, ფერთა ახალ გამას გთავაზობთ. ღვინისფერი კოლექცია საშემოდგომო განწყობის შენარჩუნებაში ხანგრძლივი დროით დაგეხმარებათ.



*მოდური ტონის შილაკი ძალიან მოუხდება ოქტომბერში აქტუალურ ყველა ტრენდს – ხავერდის სამოსს, ჯინსს და მეტალიკის ფაქტურებს*



ELIE SAAB F/W 2016/17








სეზონის კიდევ ერთი ჰიტი ბრჭყვიალა ფრენჩია. კლასიკური ფრანგული სტილის მანიკიურის ახლებური ვარიაცია ყველა მოდურ ტენდენციას აერთიანებს – მონოქრომულ კონტრასტებს, აქტუალურ ტონებს და მბზინვარე დეტალებს








2



BEAUTY

# Gothic BEAUTY

ვინაიდან ოქტომბერი რთველთან და ღვინოსთან ასოცირდება, მაკიაჟის ტენდენციებიც სწორედ ამ სეზონური ტრადიციითაა შთაგონებული – მძიმე, გამოკვეთილი ტექსტურები და მუქი, თვალშისაცემი ტონები შემოდგომაზე ყველაზე მოდური MAKE-UP ტრენდია

**შინდისფერი**, **შავში გარდამავალი ყავისფერი** და **ბორდოსფერი** – ამ სამი ძირითადი მოდური ფერის ვარიაციები თითქმის ყველგან გვხვდება. თვალის „ჩრდილები“, ფრჩხილის ლაქები და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – ტუჩსაცხები. თუ აქამდე მინიმალისტურ მაკიაჟს ატარებდით და თამამ ექპერიმენტებს ვერ ბედავდით, სწორედ ახლა გეძლევათ შანში საკუთარ თავზე **გამოსცადოთ მოდური Makeover**. გოთიკური გარდასახვა და შესაბამისი მაკიაჟი ძალიან უხდება როგორც ყოველდღიურ, ასევე სადღესასწაულო ჩაცმულობას.



Louis Vuitton
F/W 2016/17



1

1. თვალის ჩრდილი **MAC** 36₾ **maccosmetics.com**; 2. ტუჩსაცხი **ELIZABETH ARDEN** 46₾ **elizabetharden.com**; 3. თვალის ჩრდილის პალიტრა **NARS** 102₾ **net-a-porter.com**; 4. ფრჩხილების ლაქი **ORIBE** 60₾ **net-a-porter.com**; 5. თვალის ტუში **NARS** 54₾ **narscosmetics.com**; 6. ტუჩის კონტური **NARS** 51₾ **narscosmetics.com**; 7. ტუჩის კონტური **COLLISTAR** 35₾ **collistar.com**; 8. ტუჩის კონტური **TOM FORD** 96₾ **net-a-porter.com**; 9. ტუჩსაცხი **CHRISTIAN LOUBOUTIN** 165₾ **net-a-porter.com**; 10. ტუჩსაცხი **ELIZABETH ARDEN** 57₾ **elizabetharden.com**



მირანდა კერი


















რეიჩელ მაკ-ადამსი



*თამამად ითამაშეთ ფერებით – შეუხამეთ ერთმანეთს მონოქრომული ტონები. თუ ბორდოსფერ ტუჩსაცხს წაისვამთ, ფრჩხილის ლაქი უფრო ღია ტონის, ხოლო თვალის „ჩრდილი“ უფრო მუქი შეარჩიეთ*




BEAUTY

# ღვინო და სილამაზე

გარდა იმისა, რომ ღვინო ქართული სუფრის, კულტურისა და ტრადიციების განუყოფელი ნაწილია, ამ ჯადოსნურ სითხეს სილამაზის ელექსირის სახელითაც იცნობენ. გასაკვირი არაა, რომ ამ მიმართულებით საქართველოში მრავალი სპაკომპლექსი თუ ესთეტიკის ცენტრი უამრავ საინტერესო გამაჯანსაღებელ პროცედურას გვთავაზობს. სწორედ მათგან საუკეთესოები HELLO!-მ სპეციალურად ჩვენი მკითხველისთვის შეარჩია



## ღვინის თერაპია – *SAM RAAN*

ღვინის თერაპია კოსმეტიკური და სპაპროცედურების კომპლექსს მოიცავს, რომელიც მიმართულია კანის ასაკობრივი ცვლილებების დასაძლევად და ორგანიზმის საერთო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

„**სამ რაან სპაცენტრი**“ ღვინის თერაპიის გამაჯანსაღებელ სხვადასხვა პროცედურას გთავაზობთ. ესენია: **ღვინის აბაზანა**, **სხეულის გადახვევა**, **მასაჟი** მთელ სხეულზე, **სახის მოვლის პროცედურები** ღვინის შემცველი პროდუქციით. ზემოთ ჩამოთვლილი პროცედურები შეგიძლიათ აირჩიოთ სურვილისამებრ ან ჩაიტაროთ სრული კურსი „**საფერავის პაკეტის**“ სახით. პაკეტი იწყება ყურძნის ჭყლეტის რიტუალით. მასში ყველა ზემოჩამოთვლილი პროცედურა შედის, რასაც ბოლოს თბილი ღვინის – **გლინტვეინის ულუფა** ემატება.













# Wine Spa *KVARELI EDEN*

ᲙᲐᲮᲔᲗᲨᲘ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘᲡ მთავარი კონცეფცია ღვინის ტურიზმისა და კომფორტული დასვენების სინთეზია. სასტუმროსთან არსებული **Unnico Spa** კი მთლიანად ღვინის სასარგებლო თვისებებზეა ორიენტირებული – **ქართული ღვინო**, **ყურძნის წიპწა**, მის ბაზაზე დამზადებული ზეთი და **ესპანური ლუქსკლასის სპაკოსმეტიკის ბრენდის – Maddi Ayarza Cosmetics-ის პროდუქცია**.
სპაკომპლექსი სხეულისა თუ სახის მოვლის უამრავ ჯადოსნურ პროცედურას გვთავაზობს: **ღვინის აბაზანები**, **სხეულის შეფუთვები** და **მასაჟები ყურძნის წიპწის ზეთით**, **სახისა** თუ **ტანის პილინგები**, **გადახვევები** და **სარელაქსაციო მასაჟები**.



*HALF HOUR...*

# ანა ბიანი

ქართველი მსახიობი ჰოლივუდში ანა ბიანი, იგივე ანა გურჯი, იგივე ანა გიორგობიანი – ქართველ რეჟისორ ბესარიონ გიორგობიანის ქალიშვილი.

მსახიობობა 6 წლის ასაკიდან დაიწყო. მას მერე არაერთ ფილმში ითამაშა და უკვე წლებია რაც ჰოლივუდში საქმიანობს. 2008 წელს მსახიობმა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისგან მიიღო ჯილდო დამსახურებული მოღვაწეობისთვის. ქართული HELLO! ანა ბიანს ლოს-ანჯელესში დაუკავშირდა და მის ცხოვრებასა თუ კარიერაზე საინტერესო დეტალები შეიტყო.

**დაიბადეთ და გაიზარდეთ თბილისში. რამდენი ხანია რაც შტატებში ცხოვრობთ და როგორ შეიცვალა თქვენი ცხოვრება?**

ა.ბ. უკვე 7 წელია რაც ლოს-ანჯელესში ვცხოვრობ. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ რთული პერიოდი გამოვიარე, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი ცხოვრება რადიკალურად უკეთესობისკენ შეიცვალა.

**რამდენად ხშირად ჩამოდიხართ საქართველოში? რა გენატრებათ ყველაზე მეტად?**

ა.ბ. სამწუხაროდ საქართველოში ხშირად ჩამოსვლას ვერ ვახერხებ. ყველაზე მეტად ჩემი ოჯახი და მეგობრები მენატრება.

**თქვენი სამსახიობო კარიერა ძალიან ადრეულ ასაკში დაიწყო. რამდენად გათვითცნობიერებული გქონდათ მაშინ ის, რასაც აკეთებდით და როდის გადაწყვიტეთ, რომ მსახიობობა გინდოდათ?**

ა.ბ. პირველი სერიოზული როლი ვითამაშე ჩემი დის – ხათუნა გიორგობიანის მოკლემეტრაჟიან ფილმში „ეს დღე რომ არ ყოფილიყო“. ფილმის ბოლოს, დრამატული სცენის გადაღებისას რაღაც მომენტში ვიგრძენი, რომ საკუთარი იდენტურობა ჩემს პერსონაჟში დავკარგე. ეს იყო სტიმულისმომცემი, აღმაფრთოვანებელი შეგრძნება. სწორედ ამ დუბლის შემდეგ მივხვდი, რომ როლში გარდასახვა ჩემი ერთ-ერთი მოწოდება და უდიდესი სიამოვნებაა.

**რამდენიმე ფილმში ანა გურჯის სახელით ხართ მოხსენიებული. საბოლოო ფსევდონიმი მაინც ანა ბიანია?**

ა.ბ. მას შემდეგ, რაც ამერიკის მოქალაქე გავხდი, ანა ბიანად ვარ ცნობილი. ბიანი ჩემი გვარის მოკლე ვარიანტია.

**თქვენი როლებიდან რომელს გამოარჩევდით?**

ა.ბ. ყველაზე მეტად ვისიამოვნე ნათიას როლით კრისტოფერ კოპოლას ფილმში Sacred Blood. რასაკვირველია ჩემს რეჟისორულ სადებიუტო ფილმში განსახიერებულ გმირსაც გამოვყოფდი.

**ახლახან დაასრულეთ მუშაობა მოკლემეტრაჟიან ფილმზე G-4, რომელიც თქვენი პირველი რეჟისორული პროდუქტია. როგორ მოირგეთ რეჟისორის სავარძელი?**

ა.ბ. ეს პროცესი ბუნებრივად მოხდა. ხელოვანთა ოჯახში გავიზარდე. მამა, ჩემი და – რეჟისორები არიან, დედა კლასიკური პიანისტია. ყოველივე ამან გარკვეული ნიადაგიც შექმნა იმისთვის, რომ რეჟისორობაც მეცადა. რაც შეეხება G-4-ს, ამჟამად მონტაჟის პროცესში ვართ. ფილმის თიზერი კი შეგიძლიათ ნახოთ ვებგვერდზე: www.g4themovie.com.

**როგორც ვიცი სერიოზულად ხართ გატაცებული მუსიკით. წერაც გიყვართ...**

ა.ბ. ძალიან მიყვარს დასარტყამ ინსტუმენტზე დაკვრა. ზოგადად მუსიკას ჩემს ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავს. რაც შეეხება წერას, ვწერ პროზას, პოეზიას და სცენარებს ინგლისურ ენაზე.

**რამდენიმე სიტყვით სამომავლო გეგმების შესახებ...**

ა.ბ. G-4-ის შემდეგ ვიწყებ მუშაობას ჩემს მეორე რეჟისორულ პროექტზე. პარალელურად ველოდები შემოთავაზებებს ახალ როლებზე და ბევრ სასიამოვნო სიურპრიზს. H

**ტექსტი**: ლულუ კახიანი. **ფოტო**: GETTY IMAGES

HELLO! GEORGIA

**გამომცემელი და მთავარი რედაქტორი** ნინო იოსელიანი

**აღმასრულებელი რედაქტორი** ნანკა კიკალია

**საგარეო ურთიერთობების მენეჯერი** Santiago Velo
**რედაქცია** ლულუ კახიანი, ზურა მახარაშვილი, მაკო მჭედლიშვილი
**სტილის რედაქტორი** ელენე მარგალიტაშვილი
**მოდის რედაქტორი** თათია ლაშაური
**პროექტების პროდიუსერი** ანი კოკაია
**ფოტორედაქტორი** სოფო იოსელიანი
**ფოტოგრაფი** ბაჩი ტაბატაძე
**მარკეტინგი** მარიამ ზაქარეიშვილი, ჯენი ძოძუაშვილი, ნანუკა კაკაბაძე
**დიზაინერის ასისტენტი** ნინი ოძელაშვილი

**მთავარი დიზაინერი** დავით სამსონიძე

¡HOLA! HELLO!

INTERNATIONAL
**FOUNDER** ANTONIO SÁNCHEZ GOMEZ
**HONRARY PRESIDENT** EDUARDO SANCHEZ JUNCO
**PRESIDENT** MERCEDES JUNCO CALDERON
**CHIEF EXECUTIVE OFFICER** EDUARDO SANCHEZ PEREZ
**GENERAL MANAGER** JAVIER JUNCO AGUADO

**ქართული ფონტები** BPG DejaVu Sans, BPG Rioni Contrast, BPG Rioni Contrast Mt

ISO 9001:2008

დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა თეგი" საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17 ტელეფონი: 00 995 322 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET TELEPHONE: 00 995 322 53 03 62

Facebook.com/HELLOmagazinegeorgia
Twitter.com/Hellomagazinege

**რედაქციის მისამართი**: აკაკი შანიძის ქუჩა 13, თბილისი, 0179, საქართველო; **ტელ**.: +995 032 298 03 98; **ელ-ფოსტა:** info@hellomagazine.ge; www.hellomagazine.ge

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა წარმოადგენს ჟურნალ HELLO!-ს საკუთრებას. ჟურნალში დაბეჭდილი ნებისმიერი მასალის გამოყენება გამომცემლობის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია.



www.facebook.com/ioverdegeo

ვერტიკალური
ბაღი
ახალი სიტყვა ინტერიერის დიზაინში

IO
VERDE



CASCADE 360° CONSTRUCTION
სახლი, რომელიც თქვენს ცხოვრებას შეცვლის!
• გარემონტებული ბინები 1 კვ.მ. 1000$-დან
• 3 წლიანი უპროცენტო შიდა განვადება 10, 20 ან 30% პირველადი შენატანით
• ბახტრიონის და ფანასკერტელის ქუჩების მიმდებარედ
სრულიად განსხვავებული, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა, საუცხოო 360 გრადუსიანი ხედები.
მყუდრო, კომფორტული, დაცული ბინები 56კვ.მ-დან დასრულებული რემონტით, დახვეწილი დიზაინით.
25%-მდე ენერგოეფექტურობა, „პერლიტის“ ბლოკით ნაშენი დათბუნებული კედლები. უმაღლესი ხარისხის „შინდლერის“ ლიფტები.
ეკოლოგიურად სუფთა გარემო, 500კვ.-მდე გამწვანებული ეზო. სკვერი და სათამაშო მოედანი ბავშვებისთვის.
+995 322 430 360
+995 551 702 702
info@cascadeconstruction.ge
CASCADE 360